

ქართველ ებრაელთა  
ხალხური სიტყვიერება





საქართველოს ფოკლორის  
სახალხო ცენტრი  
THE FOLKLORE STATE CENTRE  
OF GEORGIA



# ქართველ ებრაელთა ხალხური სიტყვიერება

ჩამწერი რობა თავდიდიშვილი



ერთობლივ და ურთიერთობის ფესტივალი  
შოლომ 2014 თბილი

ცეკვის დღე და ურთიერთობის ფესტივალი  
შოლომ 2014 თბილი

თბილისი  
2014

უძველესი ერების შემოქმედებითი ნიჭი, ქმნადობის უნარი  
პოტენციალი, ხელოვნების სხვა სფეროებთან, დარგებთან, მართლებებთან ერთად, მის ზეპირსიტყვიერებაშიც თვალწიფლება  
მშლავნდება და შეიცნობა.

ფოლკლორული რეპერტუარი ხომ ის უძირო, უფსკერო „რეზერ-  
ვუარია“, სადაც თანამედროვე ყოფისთვის ნიშანდობლივი თემების,  
მოტივებისა და რეალიების გვერდით არქაული რწმენა-წარმო-  
დგენების მძლავრი ნაკადებიც მიმოიქცევა...

და ვის, თუ არა ქართველ ებრაელობას უნდა შეექმნა მკითხვე-  
ლისთვის დღემდე თითქმის უცნობი უნიკალური ტექსტები ხალხური  
სიტყვიერებისა, რომელთა მსოფლმხედველობრივი მხარე, მხარე-  
რული სამყარო თუ ლექსიკური ქსოვილი ძირისძირეულ კავშირსა  
და ნათესაურ სიახლოეს ავლენს წვენს უმდიდრეს და უმრავალფე-  
როვანეს ფოლკლორულ ნიმუშებთან...

და მანც, ეს გახლავთ დამხვდურთა დიდბუნებოვნებით მად-  
ლიერი ქართველი ებრაელების უძვირფასების სულიერი საგანძუ-  
რი, რომელიც, შეიძლება ითქვას, კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს  
ორი ერის მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ისტორიაში.

შემდგენელ-რედაქტორები  
ეთერ თათარაიძე  
აშირან არაბული  
  
კონსულტანტი  
მამუკა ბუცხრივიძე

წიგნი დაიბეჭდა შპს სტამბა „ფავორიტი სტილში“

© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

ISBN 978-9941-0-7052-5

## ურთიერთთანადგომის მადლით და სიკეთით

ქართულ-ებრაელი ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ფურცლებზე და ზეპირ ბრუნვაში პატიოსანი ქვებივით ბრწყინავენ „მიამიტერი“ ხალხური ტექსტები, გარეგნულად სადა და უხამკაულო სიტყვიერი ნიმუშები, რომელთა სიუჟეტურ პერიპეტიებსა და ლექსიკურ ქსოვილში ნათლად იკვეთება ამ ორი ბიბლიური, უშორეულეს წარსულში ნაშობი ამ ორი ღვთივებურთხეული ერის სულიერი სიმტკიცე, სიახლოეს და ბევრ რამეში მსგავსი, თანაზიარი შემოქმედებითი პრინციპები.

ქართველებისა და ებრაელების მეგობრული, ჰუმანიზმის („ჰუმანუს“ – ლათინურად „ადამიანს“ ნიშნავს) მყარ ლიბობზე დამყარებული და დაშენებული თანაცხოვრება ზოგადსაკაცობრიო რეზონანსის უპრეცედენტო ფაქტია, სხვადასხვა აღმსარებლობისა და მენტალობის ხალხთა დიდბუნებოვნებასა და უცვეთ-უბერებელ ადამიანურ ღირსებებზე რომ მეტყველებს.

სახელმწიფოებრივი რეალიების ქმნადობისა და ფორმირების აღიონზე იწყება ქრისტიანთა და იუდეველთა ერთ მიწაზე, ერთ ჭერქვეშ ცხოვრების ხანგრძლივი პროცესი და მოდის დღემდე, ჩვენს ეპოქამდე, როგორც სუფთა, აუმღვრეველი, ორმხრივ სარგო და სასიკეთო საქმეებზე ორიენტირებული ღონიერი მდინარე.

საქართველოს მიწა-წყალზე ებრაელების მასობრივ მიგრაციას ძვ. წ. მე-6 საუკუნეში ეძღვევა დასაბამი; მაშინ,

როცა ნაბუქოდონოსორმა სასტიკად დაარბია და ჭაიმი  
ჩილა იერუსალიმი. აწიოკებული, ყოველმხრივ დაჩამუშავა  
ლი და გაჩანაგებული ერი იძულებული იყო მიეტოვებონა  
მშობლიური გარემო, სამლოცველოები, წინაპართა საფ-  
ლავები და ეძებნა უსაფრთხო, შედარებით მშვიდი და უხი-  
ფათო თავშესაფარი. თურქეთიდან, ერაყიდან, ირანიდან  
შემოდიოდნენ დევნილ ებრაელთა დიდ-პატარა ნაკადები  
და, გარდა მცხეთისა და სხვა ქალაქებისა, საქართველოს  
ცალკეულ კუთხეებსა და დასახლებულ პუნქტებში (ბოდბე,  
ურბისი, კოდისწყარო...) ფუძნდებოდნენ.

სიმბოლურია და ნაცვალგების ისტორიულ კანონბომი-  
ერებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ქართული მართლმა-  
დიდებლური ეკლესიის პირველი წმინდანია ებრაელი ქალი  
სიდონია, ხოლო ქრისტეს კვართის საქართველოში ჩამო-  
მტანი – ქართველი ებრაელი ელიოზ მცხეთელი.

ამდენად, ჩვენში ახლად ნაქადაგარი მონოთეისტური  
სარწმუნოების სათავეებთან ებრაელების დგომა და მათი  
მისიის საღვთო შინაარსი წარმატებული წინაპირობა იყო  
საიმისოდ, რომ ქართველებს შესაშური შემწყნარებლო-  
ბა და ტოლერანტული სულისკვეთება გამოეჩინათ და თა-  
ვიანთ მამულში ებრაელთა დამკვიდრებისთვის და მათი  
უფლებების დაცვა-შენარჩუნებისთვის შეეწყოთ ხელი.

საგულისხმოა, რომ არც ებრაელები რჩებოდნენ ვალში  
და თავიანთი „კომპეტენციის“ ფარგლებში მონაწილეობდ-  
ნენ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წარმოებაში,  
ბაკრატიონთა სამეფო კარის ცხოვრებაში, მოძალადე მომხვ-  
დურთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლებში...

ერთი სიტყვით, უმტკივნეულოდ, ხელოვნური ხლართე-  
ბისა და წინაღობების გარეშე მიმდინარეობდა ებრაელე-  
ბის ინტეგრაცია ქართველებთან. მათი ერთი ნაწილი მარ-  
თლმადიდებელი ეკლესიის ყმად და მსახურად თვლიდა

თავს. მატელობდა და მრავლდებოდა ე.წ. უბნური დასახლებები. არანაირ ძალდატანებას, იძულებას და სერიოზულ ანტისემიტურ ექსცესებს, მიუხედავად რუსეთის ნეგატიური როლისა, მათ მიმართ საქართველოს სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია, შეუზღუდავნი იყვნენ ვაჭრობის სფეროშიც. ქმნიდნენ ამხანაგობებს – წვრილსა თუ მსხვილ სახელოსნოებს, საწარმოო გაერთიანებებს, სადაც საქმიან კონტაქტებში აქტიური ჩართულობის საშუალება ეძლეოდათ...

საყოველთაოდაა ცნობილი ებრაულ და არამეულ ენებზე შესრულებული ქართველ ებრაელთა ეპიგრაფიკული ძეგლები. ცნობილია ისიც, რომ იმიერ საქართველოში დასახლებულმა ებრაელებმა იმთავითვე შეისწავლეს ქართული ენა. გაეცნენ და გაითავისეს ადგილობრივთა არაერთი ნაციონალური ადათ-წესი, ტრადიცია, ზნეობისა და ჩვეულებითი სამართლის ნორმები...

ღვთისმსახურებასა და ლოკალური ხასიათის სხვა საკრალურ რიტუალებში ივრითს – მშობლიურ (ბიბლიის) ენას მიმართავდნენ (და მიმართავენ დღესაც), ხოლო სადაც, ყოველდღიურ ყოფასა და კომუნიკაციაში კარგად ათვისებულ ქართულ ენაზე მეტყველებდნენ (და მეტყველებენ ახლაც).

უფრო მეტიც: შეგვიძლია ვისაუბროთ არა მხოლოდ იმაზე, რომ ქართველმა ებრაელებმა შესანიშნავად იცოდნენ (და იციან) ქართული ენა, არამედ იმაზეც, რომ არსებობს მათი სალაპარაკო ქართული ენის საჩხერული, ქუთაისური, ონური, ახალციხური... კილოკავები.

იმერეთის რეგიონში ქართველი ებრაელების, ანუ ისრაელების, ერთ-ერთი დიდი სამოსახლო პუნქტი, ვანთან და კულაშთან ერთად, ქუთაისია. და სავსებით ბუნებრივია, რომ სწორედ აქ, იმერეთის ამ უპირველეს კულტურულ ცენტრშია შეკრებილი წინამდებარე კრებულში წარმო-



დგენილი ზეპირსიტყვიერი მასალა.

უანრული თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი ებრაული ხალხური სიტყვიერება საქართველოს ფოლკლორის უძნელმწიფო ცენტრის არქივში აღმოჩნდა და მაშინვე მიიქცია ყურადღება თავისი თემატური განვითარებით, მოტივების სიუხვით და თვითკმარი მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულებით.

წიგნში თავმოყრილი მთელი ფოლკლორული რეპერტუარი ჩაწერილია ქუთაისში, 1937 წლის სექტემბერ-ნოემბერში, რომა თავდიდიშვილის (1886-1967) მიერ.

ორიოდე სიტყვა ჩამწერის შესახებ: რომა თავდიდიშვილი გახლდათ ცნობილი მწერალი, ჟურნალისტი, მხარეთმცოდნე და მუხლმოუხრელი საზოგადო მოღვაწე. იგი თავგამოდებით ზრუნავდა ქალთა უფლებების დაცვაზე, უპირისპირდებოდა და ღიად ილაშქრებდა დისკრიმინაციის, კუთხურ-ეთნიკური კარჩაკეტილობისა და რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ; გმობდა და ებრძოდა გაუნათლებლობას, წერა-კითხვის უცოდინრობას. ბევრ ბარიერს აწყდებოდა, მაგრამ უკან არასდროს იხევდა სანუკვარი მიზნისკენ და სასურველი შედეგისკენ მიმავალ უსწორმასწორო გზაზე. მტრობდნენ, ემუქრებოდნენ... მიუხედავად ყოველივე ამისა, პირნათლად იხდიდა თავის პირადადამიანურ ვალს მშობელი ერისა და ეროვნული კულტურის წინაშე. ინტერესთა მრავალმხრივობისა და დიდად ფასეული პრაქტიკული მოღვაწეობის გამო (უაღრესად მნიშვნელოვანია რ. თავდიდიშვილის ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისის ებრაელთა ძველი ყოფაცხოვრებიდან, რომელიც 1940 წელს გამოქვეყნდა ს. მაკალათიას რედაქტორობით) თანამედროვეებმა მას „განმანათლებელი სიდონიაც“ კი შეარქვეს... და მისი მამულიშვილური მეშრომეობის კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა საბჭოური რეპრესი-

ების მძვინვარების უამს ქუთაისში შეგროვებული ქართველი ებრაელთა ხალხური სიტყვიერება, რომელიც გარდა სამი-ოთხი ნიმუშისა, აქამდე, ფაქტობრივად, უცნობი იყო არათე ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის, თვით სპეციალისტებისთვისაც კი...

როგორ თავდიდიშვილის მსგავს რეგიონალური მასშტაბის მოღვაწეებსა და ენთუზიასტებს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ გადარჩა და დღევანდელობამდე მოვიდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ის სანიშანსვეტო ნიმუშები, რომელთა წიაღ ყველაზე მკაფიოდ, ყველაზე ცხადად და ცხოვლად იკითხება მათ შემქმნელ-შემოქმედთა ბედი, სულიერი სამყარო, ცხოვრებისეული ცოდნა და გამოცდილება, ხასიათი, ნიჭიერება და ემპირიულ სინამდვილესთან ცნობიერი დამოკიდებულების არსებითი ასპექტები...

უმთავრესი, რაც ამ ტექსტების გაცნობისას თვალში მოგხვდება და გენიმნება, არის თხრობის ღრმა რელიგიურობა, კრძალული და მოწინებითი მიმართება სიწმინდეებთან, „თორის მოჟირნახულე“ ბატონებისა თუ უბრალო, უჩინარი ადამიანებისადმი პატივისცემის გამოვლინება, სუბორდინაციის დაცვის აუცილებლობა („— მოწყალეო ხელმწიფევ და ბატონო მამავ! — მიმართავს შვილი მშობელს „ნანახას ზღაპარში“) და სიავეგზე სიკეთის გარდაუვალი გამარჯვების უალტერნატივობის განცდა და შეგნება...

აი, ერთი ნიშანდობლივი ეპიზოდი „მეფიჩხის არაკიდან“: „მეფიჩხის ცოლი ღვთის მოყვარული იყო: ინახავდა ყოველ ოთხშაბათის ძალას, პარასკევის ძალას და კვირაძალს წმინდად. რომ კიდეც ჰქონოდა ხორცეული, ოთხშაბათს და პარასკევს მაინც არ შეჭამდა. კვირაძალს, რაც გინდა საჩქარო საკერავი ჰქონოდა, მზის ჩასვლამდე ნემსს ხელს გაუშვებდა...“

და კიდევ: ქართველ ებრაელთა ზეპირსიტყველების  
მკითხველი უმაღ მიხვდება და დაინამდვილებს, რომ  
დენად ავსებს და ამრავალფეროვნებს დამხვდერი შემოწმედებით  
(ეთნოსის) სულიერი საგანძური მოსულის შემოქმედებით  
სფეროს; რაზომ ძალმოსილია და იოლად შესამჩნევი ის  
კეთილისმქმნელი გავლენა, რასაც მასპინძლის ხატოვანი  
აზროვნება ახდენს სტუმრის სახისმეტყველებით სამყარო-  
ზე.

ვის არ გაახსენდება მშვენიერი მეგრული ლექსი უცნო-  
ბი ებრაელი ავტორის ამგვარი სტრიქონების დახედვისას:

მზევ, ჩემო დედაო,

მთვარევ, ჩემო მამაო,

ვარსკვლავებო, ჩემო ძმანო...

ახლა ვნახოთ ამონარიდი „ხან-ჩობანის ზღაპრიდან“:  
„ღამით საწყალმა ნახა სიზმარი: თავით მზე ადგა, ფეხთით  
მთვარე, ორივე გვერდებზე კი ვარსკვლავები...“

სტუმრის ღვთისმიერობის ქართული სტერეოიპის  
პირდაპირი ანალოგი ერთ-ერთ ებრაულ ზღაპარში: „სტუ-  
მარი ღვთისაა, თუკი გვიკადრებ, ამობრძანდი!“

სხვაგან: „სტუმარი ღმერთსაც უყვარს, მობრძანდით!..“

თუმცა... ტიპობრივი მოტივებისა და პარალელების მი-  
ყოლა შორს წაგვიყვანდა.

მთავარია ერთი რამ: ხელთ გვაქვს წიგნი, რომელიც,  
შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, კიდევ უფრო გაამყარებს,  
განამტკიცებს და ერთიორად მშვენიერს გახდის ქართულ-  
ებრაული ურთიერთობის 26-საუკუნოვანი მატიანის დიდ,  
დაუსრულებელ, უბურუსო გზა-სავალს!

ამირან არაბული  
ეთერ თათარაძე



# ა წერასა და მო

ବିଜ୍ଞାନାର୍ଥ

იყო ერთი თორის მოჭირნახულე ბატონი. დღე და ღამე თორას კითხულობდა. დიდი სიმდიდრის პატრონი იყო, მაგრამ გარჯუ მაინც უყვარდა.

ბატონს ყავდა სამი ვაჟი, სამივე ზარმაცები, არც ერთმა მამას არ გაუგონა და ვერ შეეჩვიენ გარჯას. მამამ კი იცოდა, თუ ქონებას არ მიემატებოდა, მალე გამოილეოდა, ამის გამო ეცოდებოდა შვილები.

ბატონს სიკვდილი მიუახლოვდა, დაიბარა სამივე ვაჭი და უთხრა:

— სანამ ეს ჩემი ქონება გეყოფათ, სჭამეთ, აღალი იყოს თქვენზე, შეგარგოთ ღმერთმა. რომ გამოილევა, შვილებო, მერე მაინც გაისარჯეთ, გახსოვდეთ ჩემი ან-დერძი — თუ არ გაისარჯოთ, პური არ სჭამოთ.

გარდაიცვალა ბატონი, შვილებმა ღირსეულად და-  
ასაფლავეს, თერთმეტ თვეს ისრაელის დინზე იგლოვეს.  
არ დაუკლიათ კადიში, მაპტირი, მენუხა, ზეთი და სანთე-  
ლი (სულის ხსენება). მეთორმეტე თვეზე ლიმუდი გადა-  
უხადეს, რაც კი იმ ქალაქში ხახამ თალმიდი იყო, ყველა  
მოიწვიეს. გაათავეს სპეტაობა. გამოიცვალეს ტანსაცმე-  
ლი (მგლოვიარეს თერთმეტ თვეს ახალი არ ჩაეცმება)  
და შეუდგენ უდარდელ ცხოვრებას; სანამ მამის დატო-  
ვებული ქონდათ, არ მოგონებიათ მამის ანდერძი, არც  
გარჯილან.

როდესაც აღარაფერი გააჩნდათ, წავიდნენ სამუშაოს მოსაძებნად.

ბევრი ხეტიალის შემდეგ მივიდენ ერთ სახელმწიფოში, მოითხოვეს სამუშაო. სამივე ძმებმა სასადილოში იშონეს საქმე. მუშაობდენ, მზარეულს ეხმარებოდენ, საჭმელი არ აკლდათ. მაღვე ტანისამოსი შემოაცვდათ და უკეთესი სარფიანი საქმის ძებნას შეუდგენ.

გაიგეს, რომ მეფეს ყოლია ერთი ლამაზი ქალიშვილი, რომელზედაც ბევრი ხელმწიფის შვილს უკავია თვალი, მაგრამ იმ ქალს ისე ვერავინ შეირთავს ცოლად, სანამ მეფის დავალებას არ შეასრულებს, დავალება კი ჯერ არავის შეუსრულებია, ის ქალიც ვერავის შეურთავს.

ძმებმა იმსჯელეს, რა დავალება იქნება ისეთი, რომ ვერ შევასრულოთო და პირველად უფროსი ძმა წავიდა მეფის ქალის სათხოვნელად.

მეფემ მისცა დავალება:

- წაიყვანე ჩემი ძროხა, სადაც ის ყოველ დღე წყალს სვამს სამოთხის წყაროში და ისევ შინ მოყევი, თუ ამას შეასრულებ, ჩემი სიძე გახდები.

უფროსი ძმა გახარებული წავიდა ხტუნვით, ამაზე იოლი დავალება რაღა უნდა იქნესო. მიაბა ძროხის კისერზე ბაწარი და მიდის. გაიარეს თუ არა პატარა მანძილი, ძროხამ ჰკრა თავი, აიწყვიტა ბაწარზე და მიიმალა, მისდევს ვაჟი უკან, მაგრამ თვალიც ვერ მიაწია.

ძროხა მივიდა წყაროზე, დალია წყალი და უკანვე სწრაფად გამობრუნდა. სანამ ვაჟი გონს მოვიდოდა, ძროხა უკვისასახლეში მეფის ლამაზ ქალიშვილს ეთამაშებოდა.

დაღონდა უფროსი ძმა, ვერ შეასრულა მეფის დავალება, მეორე ძმა გააგზავნა, იქნება შენ მაინც გხვდეს მეფის ქალიო.

მივიდა მეორე ძმა მეფესთან, იგივე დავალება მიიღო. უფრო მსხვილი ბაწარი ამოარჩია და მიაბა, მაგრამ მეორე ძმასაც იგივ ბედი ეწია, რაც პირველს.

მიდგა კერი მესამე ძმაზე, წავიდა ისიც მეფის სასახლეში და მიიღო მეფისგან იგივე დავალება. წაიყვანა ძროხა წყალის დასალევად, მაგრამ ბაწარი კი არ მიაბა, მიჰყვა ძროხას ნება-ნება, ძროხა ნელი ნაბიჯით მიდიოდა, ვაჟიც ისევე მიჰყვებოდა. იარეს ნელ-ნელა და მიადგენ სამოთხის წყაროს. ძროხა სასმელათ მივიდა, სანამ ძროხა წყალს სვამდა, ვაჟმა სამოთხეში შეიხედა; დაინახა, იმოდენა წვერთეთრი ხალხი თორას ჭირნახულობს, მათში მხოლოდ ერთი მოკუტული ზის, არც თორას კითხულობს.

მიუახლოვდა და შეეკითხა:

— რად ხართ მარტო თქვენ მოკუტული და რად თქვენს თორას არ კითხულობთ?

— ჩემი შვილი იმ ქვეყნად ნამეტანს კოხტაობს, სალაპარაკოთ არავის კადრულობს, თავის დღეში თორას ხელში არ აიღებს და არ წაიკითხავს თორის პასუხებს მე ვინ მაღირსებს, ან თორა წავიკითხო და ან წელში გავსწორდე. შენ რადგანაც გნახე, აი, ეს წერილი წაუღე ჩემს შვილს და ჩემი გაჭირვებაც აუხსენი, იქნება ღმერთმა ინებოს და ვამოიცვალოს ხასიათი, მიამადლე ღმერთს, შვილო.

წამოიღო მესამე ძმამ წერილი და ძროხას გამოყვა, მოიყვანა ძროხა მეფის სასახლეში, მას შეეგება მეფის მშვენიერი ქალიშვილი, მოჰკიდა ვაჟს ხელი და მამას წარუდგინა:

— ეს ყოფილა, მამავ, ჩემი ყისმათი, დაგვლოცე. მეფემ გადაკოცნა ორივენი და დანიშნა ქორწილის დღეც, მაგრამ სიძემ სთხოვა:

— მე ერთი საქმე მაქვს გასაკეთებელი, კერძოდ მოვრჩე და ქალს მერე ვითხოვ, მანამ კი ვერ დაგვიწყოთ წინდები.

დაეთანხმა მეფეც.

სიძემ მოიწვია მთელი სახელმწიფოს ხალხი და სთხოვა კარისკაცებს, რომ იმ მოკუტული კაცის შვილი აუცილებლად მოეწვიათ. რისთვის — ის კი არავის გაუმნილა.

კარისკაცებმა ერთმანეთს შეხედეს და სიცილი დაიწყეს. უთხრეს სიძეს, ის ვაჟი არასოდეს არსად არ ყოფილა და არც ახლა აქ არ მოვაო. სიძე კი ძალიან შეეხვეწა, რამენაირად მოეყვანათ.

მოვიდა მეფის სასახლეში მოწვეული ხალხი, მოვიდა ის ვაჟიც, ბევრი ილხინეს, იმხიარულეს, როდესაც წასვლას დაეპირენ, სიძემ ჩუმად დაუძახა იმ ვაჟს, შეიყვანა ცალკე ოთახში, გადასცა მამამისის გამოტანებული წერილი, აუხსნა მისი მდგომარეობა და უთხრა, რაც კი თავის თვალით ნახა სამოთხეში.

ძალიან გაეხარდა ვაჟს, რომ არც ისე ძნელი ყოფილა მამის შველა და უთხრა:

— მე არასოდეს არ ვკითხულობ თორას, მართალია, არც არავის ვკადრულობდი, აქამდი ვკოხტაობდი, მაგრამ რაც კი მამაჩემს შეუმსუბუქდება, ემეთ დღეიდან გავხდები ჩვეულებრივი კაცის მსგავსი, ოღონდ მე საიდან შევიტყო, რომ მოვეხმარე მამას.

მეფის სიძემ უთხრა, თვითონვე აცნობებდა თავის მამის ამბავს და გამოემშვიდობენ ერთმანეთს,

გამოიცვალა ვაჟი, ვეღარავინ სცნობდა, ისეთი თავ-მდაბალი გახდა, დაიწყო სალოცავში სიარული, თორას კითხვა, ზეთის დასხმა, ერთი სიტყვით, გამოიცვალა,

თუკი მამას უშველიდა. ინანა წარსულზე, სხვა ქცევის  
გახდა.

მეფის სიძე ისევ წავიდა. ძროხის წაყვანა მოიმიგე-  
ზა, რომ სამოთხეში ენახა, რა ამბავი იყო. ძროხა რომ  
წყლის სმას შეუდგა, ის სამოთხეში იჭვრიტებოდა, და-  
ინახა, ის მოკუტული კაციც წელში გასწორებულა, ხელში  
თორა უჭირავს და ჭირნახულობს, სხვების მსგავსად.

მოხუცმა შეხედა, დაუძახა, შეიყვანა და აჩვენა ერთი  
ოთახი, სადაც ანთია ყანდილები, ზოგი ინთება, ზოგი  
ქრება, ზოგიც ბჟუტავს, აიღო ერთი ბოთლი ბეთი და ერთ  
ყანდილზე დაასხმევინა, მეფის სასიძოს თავისი ხელით  
გაამსებინა და უთხრა:

— რაკი შენ ჩემი დახმარება იკისრე და დამიხსენი  
ტანჯვისაგან, წადი, შვილო, სანამდე ჩემი ხელით ოქროს  
ქოხი არ შემოგრა, მანამ იცოცხლე ბედნიერად და არ  
მოკვდეო.

დაბრუნდა გახარებული მესამე ძმა, უამბო მეფეს სა-  
იდუმლო, რა საქმეც ქონდა, მეფემ მოუწონა, კარგი საქმე  
გაგიკეთებიაო.

მოაწყვეს დიდი ქორწილი, რომელშიდაც ჩიტის რძეც  
კი არ აკლდათ, იმისთანა სუფრა გააწეს. მოიწვიეს იმ  
ქვეყნის ყველა ცნობილი და დიდებული, ერთი კვირა  
დღე და ღამე ქეითობდენ.

მეფემ სიძის ძმებსაც კარგი თანამდებობა მისცა, სიძე  
გვერდზე მოისვა და მის დაუკითხავად არც ერთ საქმეს  
აღარ აკეთებდა, რადგან სიძე შორსმჭვრეტელი იყო,  
ფრთხილი და აუჩქარებელი, რითაც წყაროს წყალივით  
წინ მიდიოდა მეფის სასახლე.

ნათქვამი სიმხა ბერიძისა

ნანახას გლობარი

ერთი ხელმწიფე მოხუცდა. მას ყავდა ვაჟი, რომელიც  
ქალს არ ირთავდა.

ერთ დროს შეუჩნდა ხელმწიფე შვილს და უთხრა, რომ აუცილებლად ცოლშვილობას მოჰკიდოს ხელი.

შვილმა იუარა და უპასუხა:

- მოწყალეო ხელმწიფევ და ბატონო მამავ, ტყუილადი ირჯები, თავს იწეხებ, მე ცოლშვილობას არ მოვეკიდები.

ხელმწიფული იწყინა, დარღვეული გახდა და კვლავ უთხრა:

- ხომ ხედავ, შვილო, შენს მეტი სამოძირო არ გა-  
მაჩინია, ვის უნდა დავუტოვო ჩემი საცხოვრებელი ან ტახ-  
ტზე შენს მეტი ვინ უნდა დავსვა.

შვილი დაფიქტრდა, აღარ უნდოდა მამისთვის გული  
მოეკლა, უბრძანა, შეეკაზმათ რაშები, მზად ყოფილიყვ-  
ნენ სანალიროდ.

მოახსენეს მეფის შვილს, მზად გახლავთ ყოველიო. გავიდნენ სანადიროდ, აიღო მეფის შვილმა ხელში შვილდ-ისარი, შორს გასტყორცნა და უბრძანა, მოეძებნათ, სად მოხვდებოდა ისარი.

წავიდნენ მხლებლები, ბევრი ეძებეს, ვერ იპოვნეს. მერე თვითონ წავიდა საძებნელად. მივიდა, გადაიხედა ერთ ბოსტანში, კამა ამოსულა, კამის გარშემო კი პრასა ერტყა. მივიდა, დახედა, შუა კამის კვალში ერთი დახვეული ქაღალდი ნახა. ეწყინა, ეს არის ჩემი ბეფი?! ეს ჩა-

ღალდი ჭიბეში ჩაიდვა და შინ წავიდა.

შევიდა შინ დაღონებული, ჩაიყო ხელი ჭიბეში, ჭიბე  
დამძიმებულა, ამოიღო ქაღალდი, ქალი ამოყვა ლამაზი,  
მზეთუნახავი, გაუკვირდა მეფის შვილს, როგორ მოხდა,  
ქაღალდი მზეთუნახავად იქცაო, შეეკითხა:

— ნანახავ, სულო და გულო,

მითხარ, გვარი რისა გაქს?

— კვალი მაქს კამისა,

გარს პრასა მარტყია. —

იყო პასუხი.

ითაკილა მეფის შვილმა, ამისთანა გვარის ქალს რო-  
გორ შევირთავო. დაენანა ამ მშვენიერი ქალის მიტოვე-  
ბა, რამოდენიმე დღეს შეინახა მზეთუნახავი სასახლეში,  
ყოველ დღე კითხავდა:

— ნანახავ, სულო და გულო,

მითხარ, გვარი რისა გაქს?

— კვალი მაქს კამისა,

გარს პრასა მარტყია. —

უპასუხებდა ერთსა და იმავეს ნანახა.

მოსწყინდა მეფის შვილს ყოველ დღე მისი დაკითხვა,  
გაუშვა მზეთუნახავი, რადგანაც მისი გვარი არ მოსწონ-  
და, არც შეეფერებოდა მეფის ოჯახს.

ნანახამ მეფის სასახლის პირდაპირ გადასახა პირკ-  
ვარი მიწაზე და აშენდა მშვენიერი სასახლე, შიგ თვითონ  
ცხოვრობდა თავისი მოახლეებით.

მეფის შვილი წავიდა და სხვა მეფის ქალიშვილი  
მოიყვანა, ცოლათ ითხოვა.

ნანახა კი მის პირდაპირ თავისთვის ცხოვრობდა.  
ერთ დღეს ნანახამ უთხრა მხლებლებს, მოეტანათ მის-  
თვის აივანზე თითის ტარი და აბრეშუმის ძაფი, ნანახას

კვირისტავი ჩაუვარდა აივნიდან ძირს, აიღო, ცხვრის  
დანით მოიჭრა, ძირს ჩაუშვა, ცხვირმა ამოეტანა კვირის-  
ტავი, თავის ალაგს დასვა, თვითონაც ცხვირის ბრაგს  
მივიდა, ნანახამ ხელი მიუსვ—მოუსვა ცხვირთან და გამ-  
თელდა, მერე ისევ შეუდგა თითის ტარის ტრიალს.

მის პირდაპირ მეფის მხლებლები ხედავდენ ამ ამ-  
ბავს, შევიდნენ და დედოფალს უთხრეს:

— რა ქნა ნანახამ, რა ქნა, კვირისტავი ძირს დაუვარ-  
და, ცხვირი დანით მოიჭრა, ძირს ჩაუშვა, ცხვირმა კვირის-  
ტავი ქვევიდან ამოიტანა, თავის ალაგზე დასვა, ნანახამ კი  
ხელი მიისვ—მოისვა და ცხვირიც ისევ გაუმთელდა.

დედოფალმა არ გაიკვირა და უთხრა:

— თქვენ, გლეხების მოდგმას, ყველაფერი გაგიკვირ-  
დებათ, მეც მომიტანეთ თითისტარი და აბრეშუმის ძაფიო.

მიუტანეს, გამოვიდა აივანზე და დაიწყო ძაფის რთვა.  
კვირისტავი ძირს ჩაუვარდა, როგორც ნანახამ ქნა, იმა-  
ნაც მოიჭრა ცხვირი, ჩაუშვა ძირს, მაგრამ სანამ ცხვირი  
ძირს დაეშვებოდა, დედოფალს სული ამოხდა.

დაასაფლავეს დიდი ამბით მეფის ცოლი. გაიარა ერთმა  
ხანმა, მეფის შვილი ისევ მივიდა ნანახასთან და შეეკითხა:

— ნანახავ, სულო და გულო,

მითხარ, გვარი რისა გაქვს?

— კვალი მაქს კამისა,

გარს პრასა მარტყია. —

უპასუხა ნანახამ.

გაწყრა ისევ მეფის შვილი, კი სწვავდა ნანახას სიმშ-  
ვენიერე, მაგრამ ასეთი უგვარო არ იკადრა ცოლად.

წავიდა და კიდევ სხვა სახელმწიფოდან მოიყვანა  
ლამაზი ქალი, იქორწილა, ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ერთ დღეს ნანახამ უთხრა მოახლეებს:

- გამოიტანეთ და სამი შამფური დაურცეთ აივანში, ორ შამფურზე აბრეშუმის შულო ჩააგდო, მესამეზე თვითონ დადგა, ორივე შამფურზე მტრედები დასხა, თან აბრეშუმის შულოს ახვევდა და თან მტრედებიც ტრიალებდნენ.

დაინახეს მეფის მოსამსახურეებმა და მოახსენეს დედოფალს:

- თქვენი ჭირიმე, ეს რა დავინახეთ, ნანახამ სამი შამფური დაარჭობინა, ერთზე თვითონ დადგა, ორზე აბრეშუმის შულოს ახვევს, ზედ მტრედებია და ტრიალებენო.

დედოფალმა უბრძანათ, მისთვისაც გაეწყოთ. გამოიტანეს სამი შამფური, აბრეშუმის შულო, ორი მტრედი და დედოფალმა ფეხი შესდგა ერთ შამფურზე, ორზე მტრედები დასხა. მტრედები იქვე გაფრიდნენ, დედოფალს კი მყისვე სული ამოხდა.

დაღონდა მეფისშვილი, დამარხა მეორე ცოლიც. რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ მიაკითხა ნანახას, იქნებ გამოტყდეს, რომ კარგი გვარისა იყოს და ცოლად ვითხოვოთ, კვლავ შეეკითხა:

- ნანახავ, სულო და გულო,

მითხარ გვარი რისა გაქვს?

- კვალი მაქვს კამისა,

გარს პრასა მარტყია. —

კვლავ უპასუხა ნანახამ.

ისევ გაწილებული გაბრუნდა მეფის შვილი. რამდენიმე ხნის შემდეგ მესამე ხელმწიფის ქალიშვილი მოიყვანა და იქორწილა.

ერთ-ერთი დღე ნანახამ უბრძანა მხლებლებს:

- გამოიტანეთ ერთი დიდი ქვაბი რძე და ამ ამ აივანში აადუღეთო.

სწრაფად შეასრულეს ნანახას ბრძანება, აივანზე უჩარ-

მაგიარი ქვაბით რძე აადუღეს. გაშიშვლდა მზეთუნახავი ნანახა, ამ ადუღებულ რძეში სამჯერ ჩავიდა და ამოვიდა, კაანა.

დაინახეს მეფის აივნიდან, უთხრეს ისიც დედოფლალს, თუ რა გასაოცარი ამბავი ნახეს, ნანახამ მდუღარე რძეში როგორ იბანა. დედოფლმა უთხრა:

— გლეხის მოდგმას გაგიკვირდებათ, თვარა რა დიდი საქმეა, გამოიტანეთ ერთი დიდი ქვაბი ადუღებული რძე, ნახეთ, მეც თუ არ ვიბანო.

გამოიტანეს ადუღებული რძე, დედოფლმა გაიხადა, ჩაჭდა შიგ და იქვე ჩაიხარშა.

დაღონდა მწარედ მეფის შვილი, ეს რა მემართება, მესამე ცოლიც ასე ნანახას წახედვით გარდაეცვალა. დაასაფლავა დიდი ამბით და თვითონ კი ლოვინად ჩავარდა. იავადმყოფა კარგა ხანს, ძალიან ცუდად იგრძნო თავი და შეუთვალა ნანახას, მნახეო.

წავიდა ნანახა მისი ყისმათის სანახავად, მეფის შვილი ისევ შეეკითხა:

— ნანახავ, სულო და გულო,  
მითხარ, გვარი რისა გაქს?

— კვალი მაქს კამისა,  
გარს პრასა მარტყია. —

მზევ, ჩემო დედაო,  
მთვარევ, ჩემო მამაო,  
ვარსკვლავებო, ჩემო ძმანო,  
ჩამოუშვით ოქროს კავი,  
აიყვანეთ თქვენი დაი.

გაიხსნა ცა, ჩამოვიდა ოქროს კავი, აიყვანეს თან ნანახა, ამის შემხედავი მეფის შვილი იქვე გარდაიცვალა, სული თან გაატანა.

ნათქვამი ეკატერინე ანტონოვისა  
1937 წ. ოქტომბერი

## ხან-ჩობანის ზღაპარი

იყო ერთი ძალიან საწყალი კაცი. ცოლი აწეხებდა: წადი, კაცო, სამუშაო რამე იშოვნე, რომ არ დავიმშეთო. ბევრი ეძება საწყალმა კაცმა სამუშაო, მაგრამ ვერაფერი იშოვნა, სახლში მოწყენილი დაბრუნდა.

ღამით საწყალმა ნახა სიჩმარი: თავით მზე ადგა, ფეხ-  
თით მთვარე, ორივე გვერდებზე კი ვარსკვლავები. გაეღ-  
ვიძა, გაუკვირდა თუ რას ნიშნავდა ეს სიჩმარი, ცოლს  
არ გაუმხილა, ადგა და გზას გაუდგა. გზაზე შემოაღამდა,  
ნახა ერთი ცხვრის ფარა, შეეხიზნა, სთხოვა, მიმიღეთო.  
მეცხვარემ უთხრა: „სტუმარი ღვთისაა, თუკი გვიკადრებ,  
მობრძანდი“.

ღამე იქვე გაათია, დილით წასვლა დააპირა, მეცხ-  
ვარემ არ გაუშვა, გადაეკიდა, მითხარი, სად მიდიხარო.  
საწყალმა კაცმა არ უთხრა, მეცხვარე მაინც არ მოეშვა,  
უნდა მითხრა აუცილებლად, სად მიდიხარო. თავი რომ  
მოაბეჭრა, უთხრა, სიჩმრის შესახებ თავისი წასვლის მი-  
ზებიც.

მეცხვარემ უთხრა: „ოღონდ შენი სიჩმარი მე დამით-  
მე და ეს ჩემი ამოდენა ცხვრის, ძროხის და კამეჩის ფარა  
შენთვის მიჩუქებიაო“.

გაეხარდა საწყალს, მობრუნდა შინ, იმოდენა საქო-  
ნელიც მორეკა. გაუკვირდა ცოლს, ვინ მოგცა, საიდან  
იშოვნე ამდენი საქონელიო, ქმარმა უთხრა, ნუ მკითხავ,



## ღმერთმა მომცაო.

მეცხვარემ აიკიდა გუდა-ნაბადი, აიყვანა ერთი ცხენის  
და გაუდგა გზას სიგმრის ასახსნელად.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ სახელმწიფოში მი-  
ვიდა. დაღამდა, ნახა ერთი მაღალი კოშკი და მის ძირში  
წამოწვა დასაძინებლად.

ამ კოშკში ცხოვრობდა ერთი მზეთუნახავი ქალი, რო-  
მელსაც სიტყვა ქონდა მიცემული აღმოსავლეთ ხელ-  
მწიფის შვილისთვის, ამომავალ დროს მოდი და ჩემად  
გავიპაროთო, რადგანაც მამამისი დასავლეთის მეფე არ  
აძლევდა ნებით.

დანიშნულ დროს მზეთუნახავი ჩამოვიდა კოშკიდან,  
ნახა მძინარე კაცი, რომელიც თავისი საქმრო ეგონა.  
იფიქრა, ჩემს ლოდინში დასძინებია და მე კი დავიგვი-  
ანეო, გააღვიძა:

— ადექი, ადექი, ბარემ გავსწიოთ, წავიდეთ, არავინ  
დაგვედევნოს. გაიღვიძა მეცხვარემ, მზეთუნახავმა შესვა  
რაშე და გასწიეს.

მიქრის რაში, ორივეს მიაქროლებს, მაგრამ ისე, რომ  
არც ერთს უკან არ მოუხედნია, ისე იარეს გათენებამდე.

გათენდა დილა, ნახა მზეთუნახავმა, არ არის მისი  
საქმრო, არამედ ვიღაცა ერთი ჩოფურა კაცია, დახეული  
გუდა-ნაბადით, უშნო ვინმე, მზეთუნახავმა გული არ გა-  
იტეხა, კითხა ვინაობა, რომ გაიგო, მეცხვარეა, უთხრა:  
დღეიდან შენი სახელია — ხან-ჩობანი, შენ ყოფილხარ  
ჩემი იღბალი და ერთად უნდა ვიცხოვროთო.

გაუდგენ ისევ გზას, მივიდნენ ერთ უცხო სახელმწი-  
ფოში, დაბინავდნენ და დაიწყეს ცხოვრება, მზეთუნახავ-  
მა იცოდა ოქრომკედის ხელობა, კერავდა, სხვადასხვა

ქისებსაც ქსოვდა, ატანდა ქმარს გახაყიდად, კარგად ცხოვრობდნენ, ფულიც ბლომად მოაგროვეს, კარგი ხახულები შეიძინეს, მეცხვარემ მეორე ცოლიც შეირთო. პირველი ცოლიდან ერთი ვაჟი შეეძინა, მეორედანაც ერთი, ისე გამდიდრდა მეცხვარე, რომ თვითონვე უკვირდა, ყველანიც ხან-ჩობანს ეძახდნენ.

ერთხელ დილა-ადრიან ადგა ხან-ჩობანი, ბაღში ჩავიდა, გადახედა მშვენიერ ბაღზას, მწვანე მოლს, დიდხანს უყურა, შემდეგ მოაგონდა თავისი მეცხვარეობა, მოლგე წამოწვა და ჩაეძინა.

პირველ ცოლს გამოეღვიძა, ნახა, ქმარი არსად არის, მოძებნა, მიიარ-მოიარა, ბაღში ჩავიდა, ნახა მისი ქმარი წამოწოლილა და მოლგე დასძინებია; ჩუმად, ფეხაკრეფით მიუახლოვდა და თავთან მიუჯდა.

ამასობაში მეორე ცოლსაც გამოეღვიძა, იმანაც მოძებნა ქმარი, ვერსად ნახა, ისიც ჩავიდა ბაღში, დაუწყო ძებნა, ბევრი ძებნის შემდეგ ნახა, ქმარს მოლგე სძინავს და პირველი ცოლი თავით უზის, ისიც მივიდა და ჩუმად ფეხთით მიუჯდა.

გაეღვიძა პირველ ვაჟს, ნახა, ოთახში არც დედა, არც მამა. ადგა, მიიარ-მოიარა, ბაღში ჩავიდა, დაუწყო ძებნა, ნახა, მამას სძინავს მოლგე, თავთით ერთი ცოლი უზის, ფეხთით მეორე, ისიც მივიდა და მარჯვნივ გვერდით ჩუმად მიუჯდა მამას.

მეორე ვაჟს რომ გამოეღვიძა, ოთახში ვერავინ დაინახა, შეშინებულმა საღამურით და ქოშებით ოთახები შემოირბინა, რომ ვერავინ ნახა, ძირს ჩაირბინა, ნახა, მამამისს სძინავს, ერთი ცოლი თავთით უზის, მეორე ფეხთით, მისი უფროსი ძმა მარჯვნივ, თვითონაც მარცხ-

ნივ მიუკდა, ყველანი ერთმანეთს მისჩერებიან და ჩემად  
არიან.

გაიღვიძა ხან-ჩობანმა, ნახა თავთით და ფეხთით ცო-  
ლები სხედან, მარჯვნივ და მარცხნივ ვაჟები. წამოიწია,  
თვალები მოიფშვნიტა, მიიხედ-მოიხედა, მოაგონდა დი-  
დიხნის სიზმარი, რომელიც თავისი მეცხვარეობის დროს  
საწყალმა კაცმა დაუთმო, თავთით მზე, ფეხთით მთვარე,  
მარჯვნივ და მარცხნივ ვარსკვლავები და აიხდინა დიდი  
ხნის სიზმარი კეთილად.

ნათქვამი ეკ. ანტონოვისა  
1937 წ. ოქტომბერი

## ქრისტე ღმერთის ზღაპარი

იყო ერთი ძალიან ღარიბი კაცი, ისე გაუჭირდა ცხოვ-  
რება, რომ თავი მობეგზდა, ოჯახში მუდამ ჩხები ქონდა,  
წალი, საბრდო მოგვიტანეო, — ეჩხებებოდნენ.

თავმობეზრებული ადგა და კლდეზე წავიდა, გადა-  
საჩეხად, გადახედა კლდის უფსკრულს, დაენანა სიკვდი-  
ლი, ისევ მობრუნდა; ასე იარა სამ დღეს, მაგრამ ყოველ  
დღე უკანვე ბრუნდებოდა, არ მივცემ ეშმაკს სულსაო.

როდესაც ცოლმა მეტისმეტად შეაწუხა, უღრან ტყემი წავიდა, ნადირმა შემჭამოსო.

ტყეში რომ შევიდა, ერთი კაცი შეხვდა, გამოკითხა ვინაობა, ღარიბმაც აუხსნა თავისი მდგომარეობა, კაცმა უთხრა:

- ერთ ძროხას გაგატან იმ პირობით, რომ ათი წელი შენი იყოს, ათი წლის შემდეგ მოვალ, შენი და შენი მოდგმის სული უნდა წავილო.

ღარიბმა იფიქრა, ჭანდაბას ჩემი თავი, კი დაენანა, მიხვდა, რომ ხეირიან ვინმესთან საქმე არ ქონდა, ათი წლის შემდეგ, ან ვირი და ან ვირის პატრონიო, ღაეთანხმა.

მოიყვანა ღარიბმა კაცმა შინ ძროხა, ცოლს გაეხარდა, ძროხა იმდენს იწველიდა, რომ კიდეც რჩებოდათ, დღეში სამჯერ წველიდნენ, ზედმეტ რძეს საწყალსა და გაჭირვებულთ აძლევდნენ.

ასე იცხოვრეს კარგად ათი წელიწადი, ათი წლის შემ-

ელიან, შიშისაგან კანკალი გაუდით, რომ რაიმე გაფანტუნდება, დავრიში გონიათ, გასუსული არიან.

გაიხედეს, ვიღაც სტუმარი მოვიდა, მიიღეს, ერთმანეთს გადახედეს, დაენანათ სტუმრის დაღუპვა, ვერ გაუბედეს უთხრან, რომ მოელიან დავრიშს, რომელმაც შეპირების თანახმად ყველა ოჯახში მყოფის სული უნდა წაიღოს. ივახშემეს, ყური კარისკენ აქვთ.

ვახშმის შემდეგ სტუმარმა ითხოვა, ლოგინი შეიგ კა-  
რებთან გამიშალეთო, დიასახლისი შეწებდა, აბა, რა სა-  
კადრისია სტუმარი ღვთისა კარებთან დავაწვინოთ, აი,  
აგერ ლოგინი, მიუთითა კუთხეში გაწყობილ ლოგინთან.  
სტუმარმა უპასუხა:

- თუ კარებთან გამიშლით ლოგინს, დავრჩები, თქვენთან გავათევ ღამეს, თუ არადა ტყეში წავალ, შეიძლება იქ ნადირმაც გამაფუჭოს.

დიასახლისმა ვეღარ უთხრა უარი და გაუშალა სტე-  
მარს კარებთან ლოგინი. შინაურები გულის ძერით  
ელიან, სადაცაა მოვა დავრიში და ყველას ამოგვხოცავ-  
სო, სტემარი კი ებრალებათ, ცოდვააო.

შუაღამე რომ გადავიდა, ატყდა ქარიშხალი, ეზოდან  
ხმა გაისმა — ჰეეიო. პასუხი არავინ გასცა, კიდევ მეორეთ  
გაისმა ხმა — ჰეეიო. ახლაც არავინ უპასუხა, მესამეთ  
რომ გაისმა დავრიშის ცვირილის ხმა, ჰეეი, სადა ხარო,  
სტუმარმა უპასუხა, აქა ვარო.

- აქამდე სად იყავი, რომ მალოდინე?...

- პირველად რომ დამიძახე, ზღვის გაღმა ვიყავი,  
მეორეთ რომ მეძახდი, შეა ზღვაზეო, მესამეთ რომ დაიყ-  
ვირე, აი, აქა ვარო...

- ის როგორი ზღვა იყო, რომ ასე მაღლე მოხვედი?..
- ისე დიდი ზღვა იყო, რომ ფრინველებში ნაქები დიდი ფოსკუნჯი სამ დღეს ვერ გადმოფრინდებოდა.
- იქნებ ის ფრინველი ბაჭია იყო?..
- ისეთი ბაჭია იყო ის ფრინველი, რომ ის როდესაც ფრინავდა, მისი ცალი ფრთით სამი სოფელი იფარებოდა.
- იქნება პატარა სოფელი იყო?..
- როგორი პატარა, იმ სოფლის თავში ვირი რომ დაიყროყინებდა, ბოლოში ვერ გაიგონებდნენ.
- იქნება ის ვირი პატარა იყო?..
- როგორი პატარა იყო, მისი ტყავით ქურქი შეიკერა და კიდევ მორჩა,
- ეგება ის კაცი პატარა იყო, რომელსაც ვირის ტყავით ქურქი შეუკერეს.
- როგორი პატარა იყო, მის ფეხთით რომ მამალი ყიყლიყოს დაიყივლებდა, იმ სიმაღლე იყო, ყურამდე ვერ მიაწევდა.
- იქნება ის კაცი ყრუ იყო და ვერ გაიგონა მამლის ყივილი.
- მაშ შენ დაგაყრუა ქრისტე ღმერთმა, გაქცია მუხის ხეთ, გამოვიდეს საწყალი კაცი, მოგჭრას და მუდამ მით იცხოვროს.

გარეთ სიჩუმე ჩამოვარდა, შინაურებს ჩაეძინათ არხეინად. გათენდა დილა, სტუმარი აღარსად სჩანდა. გამოვიდნენ ეზოში, ნახეს ერთი დიდი მუხის ხე ამოსულიყო.

მიხვდნენ, რომ სტუმარი ქრისტე ღმერთი იყო, რომელიც იმ დროს ქვეყნად დადიოდა და საწყალ ხალხს ეხმარებოდა.

დარჩათ დავრიშის ძროხა, რომელმაც კიდევ უმატა  
ტა წველას, სჭრიდნენ მუხას, ახალს იყრიდა, საწყლებს  
ურიგებდნენ, რძეს და მუხის შეშასაც. ცხოვრობდნენ ბედ-  
ნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

ნათქვამი ეკ. ანტონოვისა

\*\*

იყო ერთი დიდებული ხელმწიფე, რომელსაც არ უნდოდა, რომ მის საბრძანებელში ვინმე იმაზე ჰქვიანი გამოჩენილიყო. ამის გამო მან გამოსცა ბრძანება, სადაც განკარგულება იყო გაცემული, რომ მის სახელმწიფოში არც ერთი მოხუცი არ დაეტოვებინათ ცოცხალი და რომ ყველასთვის თავები დაეჭრათ.

შეშინებული ხალხი დაემორჩილა მეფის ბრძანებას და იმ ქვეყანაში სულ თავები დასჭრეს მოხუცებს.

ერთ მოხუც ქვრივს ორი ვაჟი ყავდა გაზრდილი, ახალ-გაზრდა დაქვრივებულიყო, მაგრამ, დედინაცვალმა არ დამიჩაგროს შვილებით, ქალი აღარ შეერთო; თვითონ გაეზარდა თავისი ვაჟები და ეამაგნა. შვილებსაც მამა ძალიან უყვარდათ. რაც ხელმწიფემ ბრძანება გამოსცა მოხუცების ამოხოცვისა, ორივე ძმები მეტად დაჭავრიანდნენ, მამა თავივს მოსაჭრელად ვერ გაიმეტეს, ხელმწიფის რისხვისაც ეშინოდათ, არ გაეგო, რომ მათი მამა ცოცხალია, ამიტომ დღისით რომ საქმეზე წავიდოდნენ, კარს კეტავდნენ, მამას შინ ტოვებდნენ, ღამით კი ჰაერი მოხვდესო, დედაკაცის კაბით გამოყავდათ სასეირნოდ. არც ერთ ძმას ცოლშვილი არ ყავდათ.

ხელმწიფემ დაინახა, რომ ხალხში მშვიდობაა, ხალხი  
კიდევ ბევრია მის სამეფოში და კარგად მშვიდობიანაც  
ცხოვრობენ. იფიქრა, ნამდვილად მატყუებენ, არ ამო-  
უხოციათ მოხუცები, კიდევ იქნებიან შენახული და ჩემის  
თვალით უნდა ვნახო, რამდენი ხალხია ჩემს სამეფოშიო.  
ამის გამო ახალი ბრძანება გამოსცა. ბრძანა — ხალხმა  
ისეთი ხალიჩა უნდა მომიქსოვოთ სამ დღეში და მომარ-  
თვათ, რომელზედაც ჩემი ჭარი და ჭამათი ზედ უნდა დაკ-  
დესო, ოღონდ კი ხალიჩა უნდა იქნეს მოქსოვილი მიწის-  
განო.

ბევრი ეცადა ხალხი, მაგრამ არ იქნა, ვერავინ ვერ  
მოახერხა მიწისგან ხალიჩის მოქსოვა. შეწუხდა ხალხი,  
დაჭავრიანდა, აღარ იცოდნენ, რა ექნათ, მეფეს კი ვერა-  
ვინ გაუბედა წინააღმდეგობის გაწევა.

ქვრივი მოხუცის ვაჟებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, შინ  
ძალიან დაჭავრიანებული შევიდნენ, მამამ შეამჩნია და  
კითხა, რათა ხარ დარდიანიო, შვილებმა ეს ღამე ისე გა-  
ატარეს, არაფერი უთხრეს მამას. მეორე საღამოს უფრო  
მეტად დანაღვლიანებული დაბრუნდნენ შინ. მამამ შეამ-  
ჩნია და კითხა, რათა ხართ შვილებო დარდიანი, მითხა-  
რითო. ბევრი ყოყმანის შემდეგ უთხრეს შვილებმა:

— როგორ აგისხნათ, როგორ გითხრათ მამაჩვენს,  
ასეთი უბედურობა არის ქვეყანაზე, მეფის პირველი  
ბრძანება ჩვენ არ შევასრულეთ, შინ გამწყვდევთ, ამდენი  
ხანი შეგინახეთ, მაგრამ აწი რაღა ვქნათ, მეფემ ბრძანა,  
ისეთი ხალიჩის მოქსოვა სამ დღეში მიწისგან, რომელ-  
ზედაც მთელი მისი ჭარი-ჭამათი დაეტევა და თვითონ  
მეფემ ყველა ერთად უნდა დაინახოსო. თქვენ, მამა, ამ-  
დენი ხანი მზისა და მთვარის ნატრული შეგინახეთ, დაგ-  
მალეთ, აწი კი რაღა ვქნათ, ხალხმაც ვერ მოახერხა ასე-

თი ხალიჩის მოქსოვა და ძალიან შეწუხებულია.

მამას გაცინა და უთხრა:

— შვილებო, მაგას დარდობთი?. თუ შეიძლება მი-  
დით და სთხოვეთ მეფეს, რომ ერთი ნახევარი ადლი ნი-  
მუშად ვინმეს მოაქსოვინოს მიწისაგან ხალიჩის ნაჭერი  
და მერე თქვენც მოქსოვთ.

მეორე დღეს მთელი ქალაქი იმეორებდა ამ სიტყვებს,  
რომელიც ორმა ძმამ გაავრცელა ხალხში.

ახალგაზრდები პირისპირ წავიდნენ მეფესთან და  
სთხოვეს, მოექსოვინებინა ვინმესთვის ნიმუშად ნახე-  
ვარი ადლი მიწის ხალიჩა, რის შემდეგ მისი სახით ჯამა-  
ათიც მოქსოვდა.

მეფე ძალიან განრისხდა, უთხრა, რომ ეს ამბავი  
თქვენი ახალგაზრდების აზრი არ არის, ნამდვილად ვინ-  
მეს მოხუცი ყავს შენახული, დამალული და ეს მხოლოდ  
მოხუცის ჭკუას შეუძლია სთქვასო. ამ საათში გაიგეთ, ვინ  
სთქვა პირველად და მისი მთქმელი აქვე მომგვარეოთ,  
თვარა ყველას დაგხოცავთ. შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი,  
იმან იმას უთხრა, იმან იმას, ბოლოს გამოირკვა, რომ  
პირველად ორმა ძმებმა თქვეს ეს აზრი. დაიბარა მეფემ  
ეს ორი ძმა და უბრძანა, წადით, ახლავე მოიყვანეთ მო-  
ხუციო. შვილებმა მუხლმოდრეკით სთხოვეს:

— მეფეო, ოღონდ ჩვენს მამას ნუ მოგვიკლავ, ის  
არის ჩვენი მამაცა და დედაცა და ჩვენ ორივეს მოგვჰე-  
რი თავიო.

მეფე შეპირდა ვაჟებს, თქვენი მამა მოიყვანეთ და მას  
ცოცხალს დავტოვებ, ნუ გეშინიათო.

მოიყვანეს მეფესთან მოხუცი. მეფემ გვერდით მოის-  
ვა, გამოკითხა ძველი რამეები, მოხუცმაც ყველა აუხსნა,  
რაც იცოდა, მეფეს ძალიან მოეწონა მოხუცის ჭკუა და

მისი ნათქვამები, უთხრა, თქვენ ყოფილიხართ ხელმ-  
წიფობის ღირსიო. ეს მოხუცი თავისთავთან დატოვა-  
მრჩევლად, მისი შვილები კარგად დაასაჩუქრა და ისე  
გაისტუმრა.

## ნათქვამი ეკატერინე სერგეის ასული ანტონოვისა

\*\*

იყო ერთი დიდებული მეფე, რომელსაც ძალიან უყ-  
ვარდა ნადირობა. ერთ დღეს მეფემ ბრძანა, შეეკაზმათ  
რაშები და მომზადებულიყვნენ სანადიროდ.

მეფეს მოახსენეს კარისკაცებმა, მზად არის ყველა-  
ფერიო და წავიდნენ სანადიროდ. შეა ტყეში რომ შე-  
ვიდნენ, მეფეს შარდზე გასვლა მოუნდა, მხლებლებს  
უთხრა, თქვენ აქ მომიტადეთ და მეც მალე დავბრუნ-  
დებიო. გაიარა მეფემ ტყე, გავიდა მინდვრად, გაიხედა,  
ციდან ერთი შავი ღრუბელი მოდის, რომელიც მეფეს  
წინ მიუძღვის, თან მიყვება. დადგა მეფე, მის წინ დადგა  
ღრუბელიც, რომედან გამოვიდა ანგელოზი, მეფე შეშინ-  
და, მით უფრო, რომ მარტო იყო, თან ჭარი არ ახლდა და  
არც ერთი სულდგმული არხლოს არა სჩანდა. ანგელოზ-  
მა უთხრა მეფეს.

- მე თქვენთან გამომმგზავნა უფალმა, გაუწყოთ,  
რომ თქვენ გაწერიათ სიღარიბე ათი წელი, მხოლოდ  
უნდა აირჩიოთ დრო, ჯეელობაში ისურვებთ თუ მოხუცე-  
ბულობაში.

შეშინებულმა მეფემ ვერაფერი უპასუხა და სთხოვა,  
ერთი დღის შემდეგ მიიღეთ პასუხიო.

მობრუნდა მეფე თავის კართან, მკვდრის ფერი და მობრუნდა, კარი შემოეხვია და შეეკითხა, მშვიდობით ბრძანდებოდეს მეფე, რა არის, რათა ხართ შეწუხულია. მეფემ კარს ვერაფერი უთხრა, აღარცა ინადირა, შინ დარდიანი დაბრუნდა.

ცოლმა რომ მკვდრის მსგავსი მეფე დაინახა, უდროვოთ დაბრუნებული, შეეკითხა, რათა ხართ დარდიანიო. მეფემ ცოლს უამბო, რაც მოხდა. ცოლმა უთხრა, არა უშავს რა, ნუ ვიდარდებთ, სიღარიბე რაკი ჩვენს თავზე აუცილებელია, ბარემ ჯეელობის დროს გვირჩევნია, თვარა მოხუცებულობაში ძნელია სიღარიბე, წადი და უთხრი იმ ანგელოზს, რომ ახლა გვირჩევნია.

წავიდა მეფე მეორე დღეს იმავე ადგილზე, ნახა ის ანგელოზი და უთხრა, ახლა მირჩევნია სიღარიბე, რაკი ჯეელი ვარო.

მობრუნდა იქედან მეფე და დაინახა, რომ მთელ მის საბრძანებელ ქვეყნებს ცეცხლი მოდებია და იწვის, ილახები დახოცილა, სამეფო ისე მაღე დაემხო, რომ სულ მცირე დროის გამნავლობაში საცხოვრებელი აღარ ქონდა.

მეფეს ყავდა ორი მცირეწლოვანი ვაჟი. რადგანაც საცხოვრებელი აღარ ქონდათ, ადგენენ და სხვა სახელმწიფოში გადასახლდნენ, უცხო ქვეყანაში არ გვიცნობენ, ვინა ვართ და იქ ვიმუშავოთ, კიდეც ვიცხოვროთო.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ ერთ მდინარეს, სადაც ფეხით უნდა გასულიყვნენ: შვილები ერთი ქმარმა აიყვანა ხელში და მეორე კი ცოლმა, როგორც კი შევიდნენ შეა წყალში, წყალმა ერთი ვაჟი მოსტაცათ.

ძალზე შეწუხებულნი ცოლ-ქმარი გავიდნენ ნაპირზე, ერთი ვაჟიღა დარჩათ. გაუდგნენ ისევ გზას, რამოდენი-

მე ხნის სიარულის შემდეგ კიდევ შეხვდათ გასავლელი მდინარე, ისიც ფეხით უნდა გაევლოთ. მეტი გზა არ იყო, ეს მდინარეც უნდა გაევლოთ, ბავშვს ცოლი ქმარს არ ანებებს და ქმარი კი ცოლს, როგორც შევიდნენ ისევ შეა წყალში, მეორე ვაჟიც მოსტაცათ წყალმა. დარჩნენ საცოდავათ, წავიდნენ ტირილ-წეხილით და კიდევ ბევრი იარეს.

მოვიდნენ ერთ სახელმწიფოში, შევიდნენ ერთი მოხუცებულის ქოხში. შეეკითხენ, თუ როგორია ამ მხარეში ცხოვრება, ან სამუშაოს როგორ შოულობს აქ ხალხიო. მოხუცებულმა უთხრა:

— აქ ჩვენს მეფეს ერთი სკამი უდგია, ვინც იმ სკამზე მივა და დაჭდება, საქმეს აძლევენ.

მეორე დღეს თვითონ წავიდა, ცოლი კი დატოვა, მივიდა, დაჭდა იმ სკამზე.

მეფის სასახლიდან გადმოიხედეს, ვინმე უცხო კაცი ზის და ელოდება, დაუძახეს, ამოდიო. შეეკითხენ, რისთვის გარჯილხარო, უპასუხა:

— უმუშევარი ვარ, მინდა რაიმე საქმე მომცეთო.

მეფემ იკითხა, რა საქმის გამკეთებელი გვაკლიაო, მიიკითხ-მოიკითხეს და მოახსენეს, რომ მზარეული გვაკლია, სხვა ყველაფრის მომუშავე გვყავსო.

აიყვანეს მეფის კარგე მზარეულად. ითხოვა, ისეთი ოთახი მომეცით, რომ მარტო ერთი კარი ქონდეს, ფანჯრები კი არა და ღამითაც ერთი კერძი მომეცითო.

მისცეს ოთახი, სადაც ცოლი წაკეტა, არავის გაეგო, თუ ვინმე იმ ოთახში ცხოვრობდა, გარდა მზარეულისა, ყოველ ღამით წავიდოდა შინ და კერძიც თან მიქონდა. დილით წავიდოდა სამუშაოზე, კარს გარედან კეტავდა.

ასე გაატარა მზარეულმა ათი წელიწადი. ერთ მშვე-

ნიერ დღეს მეფემ გამართა დიდი წვეულება, სახელმწიფო, დაპატიჟა მთელი სახელმწიფო და მზარეულს სთხოვა ღამე იქ დარჩენილიყო. მზარეულმა უარი ეთხრა ღამე დარჩენაზე, ოთახს მარტო ვერ დავტოვებო. მეფემ უთხრა: – ნე გეშინია, ორ ყარაულს გავგზავნი, რომ არაფერი დაგეკარგოს.

გაგზავნა მეფემ ორი ყარაული, ერთი აქეთ დაუყენა მზარეულის ოთახს, მეორე – იქით; როდესაც ღამე გატყდა და და უმცროსი ყარაული ძალიან დაიღალა, უფროსს უთხრა:

– მეძინება, თან ძალიან მცივა, ერთი რამე ზღაპარი მითხარი.

დიდმა აინუნში არ ჩააგდო პატარას თხოვნა, პატარაშ კიდევ სთხოვა მეორეთ, მითხარი რამე ზღაპარიო.

– რა გითხრა, კაცო, ზღაპარი ჩემი თავია, მამა ჩემი აღმოსავლეთის ცნობილი მეფე იყო, მისი სიმდიდრე და ხელგაშლილობა ცის კიდედან-კიდემდე იყო ცნობილი; ერთ დღეს სანადიროდ წავიდა, მინდვრათ რომ გავიდა, ღმერთმა შავი ღრუბელი ჩამოაგდო, ღრუბლიდან გამოვიდა ანგელოზი და უთხრა მამაჩემს, რომ მას უწერია ათი წლით სიღარიბე, ოღონდ როდის ურჩევნია, მოხუცებულობის დროს თუ ჯეელობისას. მამაჩემმა ჯეელობის დრო არჩია, სულ მოკლე ხანში დავღარიბდით, ისე რომ აღარაფერი საცხოვრებელი აღარ გვქონდა, მამაჩემი და დედაჩემი სამუშაოს საძებნელად სხვაგან წავიდნენ, წვენ ორი ძმები ვიყავით, გზაზე მდინარე უნდა გაგვევლო, შეა წყალში მომიტაცა მე წყალმა და წამიღო, ვიღაც მადლიანმა კაცმა მიშველა, გამზარდა, ვაჟკაცი გავხდი, იმათი არაფერი ვიცი, ცოცხალი არიან თუ არა.

– მე შენი ძმა ვარ, მეც წყალმა წამიღო – უთხრა პა-



ტარამ, მეც იმ აღმოსავლეთის მეფის შვილი ვარ.

მოეხვივნენ ძმები ერთმანეთს, დედას დაკეთილ, ოთახში არ ეძინა, ეს ამბავი რომ გაიგონა, კარები გა-აღო, გამოვარდა გარეთ, ორივე შვილებს მოეხვია, მეც თქვენი დედა ვარ, გენაცვალოთ დედაო.

შეიყვანა შვილები ოთახში, ერთი ერთ მკლავზე დაიწვინა, მეორე მეორეზე, ასე ჩაეძინათ დედას და შვილებს.

გათენდა დილა, მოვიდა ქმარი, ნახა, მის ცოლს ორ მკლავზე ორი ყარაული უწევს, არ გააღვიძა, ძალიან ეწყინა, გაიქცა მეფესთან და მოახსენა:

— მოდით, ნახეთ, რა ამბავი ჩაუდენია ყარაულებს.

მეფემ გაგზავნა ხალხი, ნახეს, როგორ ეძინათ ყარაულებს მზარეულის ცოლთან, მოახსენეს მეფეს. განრისხდა მეფე ძალიან, უბრძანა, ორივესთვის საჭაროთ თავები მოეკვეთათ.

გამოიყვანეს ორივე ყარაული თავების მოსაკვეთად, თან დედა მოსდევდათ ყვირილით, თმების გლეჭით, ევედრებოდა:

— ნუ დამიხოცავთ, ორივე ჩემი შვილებია.

როდესაც გამოირკვა სინამდვილე, მამასაც გაეხარდა, მეფეს კი ძალიან ეწყინა, უსაყვედურა:

— ათი წელიწადი მემსახურებოდი, ამ დღეში ხარ და შენ არ გაამხილე თუ მეფე იყავი, რად დამიმაღე.

მეფე გადმოვიდა ტახტიდან, მზარეული დასვა მეფედ, თვითონ კი ხელქვეითად დაუდგა.

ნათქვამი ეკატერინე სერგეის ასული ანტონოვისა

## საწყალი კაცის გლობარი

იყო ერთი საწყალი და ძალიან ღარიბი კაცი, მუდამ დღე ცოლი აწესებდა, წადი, კაცო, იმუშავე და რამე მოიტანე შინაო. მობეზრდა საწყალს თავი. საცხოვრებელი არაფერი ქონდა, ადგა და წავიდა. იარა, იარა, მივიდა ერთ სოვდაგართან და წელიწადში ორ თუმნად დაუდგა მოჯამაგირედ.

როდესაც წელიწადი გათავდა, მოკამაგირემ უთხრა  
ბარონს:

- წელიწადი გათავდა, ცოლშვილი სარჩოს ელო-დება, გამისტუმრე.
  - სოვდაგარს დაეზარა მისი შელევა, რადგანაც ალალ-მართალი კაცი იყო, თან მომეტებული ერთგუ-ლიც და უთხრა:

- გაგისტუმრებ, რას გერჩი. მაგრამ მოდი, მეორე წელიწადი დარჩი ჩემთან, შენს კუთვნილ ჭამავირს კი, მე თვითონ მგზავრად მივდივარ და შენს ოჯახს გადავავ.

დაეთანხმა მოჯამაგირე. რის შემდეგ სოვიტაგარი შე-  
უკითხა:



სოვებარი გაუდგა გზას და მოჯამაგირის ორი შეურიცალებელი გაახვია, რომ არ შერეულიყო მის ფულთან.

სოვდაგარი მივიდა ერთ ქვეყანაში. გავიდა ხავაჭ-  
როთ. დაინახა, კატას ყიდიან ორ შაურად და გაიძიხიან; ა-  
- კატა ორი შაური, კატა ორი შაური!..

ადგა სოვდაგარი და მოჯამაგირის ორი შაურით იყი-  
და კატა.

მიდის სხვა და სხვა ქვეყნებში, ეს კატაც თან მიყავს,  
კარგად უვლის: ასმევს და აჭმევს, მის გვერდით აძინებს.  
ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სახელმწიფოში,  
ნახა, მეფეს დიდი ლხინი მოუწყვია, ალაგებენ სუფრას.  
დააწყობენ ძვირფას საჭმელებს, ამოდიან დიდი თაგვე-  
ბი, წაესევა ამ გაწყობილ სუფრას, ააოხრებენ, ერეკებიან  
კეთებით, ჭოხებით, ვერ ერეკებიან, ვერ იგერიებენ.

დაინახა ეს ამბავი სოვდაგარმა, ამოიყვანა კატა, და-  
ერია კატა თაგვებს და სულ ამოწყვიტა.

ამ სახელმწიფოში კატა არ ენახათ თავის დღეში,  
გაუკვირდათ, გადაეკიდა მეფე სოვდაგარს, ეხვეწება:

- ოღონდ ეს კატა მომეცი და რაც გინდა ის წაიღე.  
- სხვისი ამანათია, ვერ მოგცემ, ფეხი გაიდგა სოვ-  
დაგარმა.

- ამ კატამ გადამარჩინა, ასეთი სირცხვილი ამაშო-  
რა, ნუ გამაწბილებ, მეფე ვარ, რაც გინდა დამისახელე  
და სამაგიეროს გადაგიხდი, ოღონდ დამიტოვე მაგ კატა.  
არ მოეშვა მეფე.

ღამე სოვდაგარმა მეფის სასახლეში გაათია, ლხინს  
დაესწრო, რაც კი იმ სახელმწიფოში რჩეული კაცები იყო,  
ყველა ყავდა მეფეს მოწვეული, მათ შორის სოვდაგარიც  
გაერია.

მეტი გზა აღარ იყო. დაუტოვა მეფეს სოვდაგარმა  
კატა, სამაგიეროთ მეფემ მრავალი თვალ-მარგალიტი  
და ოთხი ჭორი და აქლემი ძვირფასი ფარჩეულით გა-

ატანა, თან სთხოვა, დღეიდან ძმად მიგულეო.

გამოემშვიდობა სოვდაგარი მეფეს, ორშაური ქანის სამაგიერო სიმდიდრე კი მოჯამაგირის ცოლს მიუტოვნა, ქმარმა გამოგიგზავნათ, კატის ამბავი კი არ გაუმხოლა.

როდესაც სოვდაგარი შინ დაბრუნდა, მოჯამაგირეს უთხრა:

— შენი ცოლშვილი შვიდობით, კარგად არიან, მოვიკითხეს, გადავეცი შენი გატანებული ალალი ორი შაური.

რაც მოხდა იმ ორი შაურით, არ გაუმხილა.

მოჯამაგირემ მადლობა გადაუხადა სოვდაგარს და ისევ ერთგულად შეუდგა მუშაობას.

გათავდა მეორე წელიწადიც. მოჯამაგირემ კიდევ სთხოვა სოვდაგარს, გაეშვა ცოლ-შვილის სანახავად, მაგრამ სოვდაგარი ისევ შეეკითხა:

— არამი ორი თუმანი გირჩევნია თუ ალალი ორი შაური?

დაფიქრდა მოჯამაგირე, რა ქნას, ორი წელიწადია ცოლშვილს მოშორებულია, სირცხვილით ვერ გამოუჩნდება, წელიწადში ორ შაურად მუშაობს, მაგრამ ისევ დასძლია ალამა და ორი შაური არჩია ალალი.

სოვდაგარმა კიდევ მისცა წინადადება და თან ფიცი, რომ თუ მესამე წელიწადსაც მასთან დარჩებოდა, მეტს აღარ გააჩერებდა და ბედსაც სწევდა. მხოლოდ მეორე წლის ჭამაგირს, ალალ ორ შარუს, ახლაც თვითონ წაუღებდა მოჯამაგირის ოჯახს.

დათანხმა მოჯამაგირე და გაატანა ორი შაური.

წავიდა სოვდაგარი სავაჭროდ. მივიდა ერთ ქვეყანაში, ნახა, ერთ კაცს დაუკავებია ხელში სარკე და გაიძახის:

— სარკე ორი შაური, სარკე ორი შაური!..

ბევრი არ უფიქრია სოვდაგარს, ადგა და მოჯამაგირის გატანებული ორი შაურით იყიდა სარკე, კარგად გაახვია და გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, სოვდაგარი მიადგა ერთი სასახლის კარს. სასახლეს გარს შემოხვევია აუარებელი ხალხი და მხიარულობს. იკითხა სიმხიარულის მიზეზი, გაიგო: მეფეს ქორწილი აქვს და ჭარიც იმისთვის ზეიმობს.

შევიდა სოვდაგარი მეფის სასახლეში, ნახა მეფე საქორწილოდ ირთობა, ნაზირ-ვეზირნი გარს ეხვევიან, უსწორებენ, კაზმავენ; მოუტანეს დიდი ტაშტით წყალი და წინ დაუდგეს მეფეს ჩასახედად. მოაგონდა სოვდაგარს ორ შაურიანი სარკე. გაბრუნდა, სწრაფად მოიტანა სარკე და მეფეს აჩვენა. მეფემ რომ თავისი თავი სარკეში ნახა, ძალიან გაუკვირდა, ეს რა ყოფილა ქვეყანაზეო. გადაეკიდა სოვდაგარს, ეგ სარკე მე დამიტოვე და აუარებელ სიმდიდრეს მოგცემ სამაგიეროდო. სოვდაგარი დაეთანხმა, ქორწილშიც კარგად მოილხინა, მეფე მეგობრად გაიხადა, მეორე დღეს მეფემ დიდი საჩუქრებით გაისტუმრა სოვდაგარი, მის გატანებულ ოქროსა და ვერცხლს ბევრი შეენატრა.

მეფის გატანებული სიმდიდრე სოვდაგარმა პირდაპირ მოჯამაგირის ოჯახს მიაყენა და უთხრა მის ცოლს.

- თქვენმა ქმარმა გამოგიგზავნათ და ერთი წლის შემდეგ თვითონ გეახლებათო.

გაჯარებული მოჯამაგირის ოჯახი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, იმოდენა სიმდიდრე სიზმარშიაც არ ენახათ.

ორი შაურის ამბავი არც ახლა უამბია.

დაბრუნდა სოვდაგარი შინ. მოჯამაგირეს ცოლშვილის-გან მოკითხვა გადასცა, სარკის ამბავი კი არ გაუმხილა.

გაათავა მოჯამაგირემ სამი წელიწადი სამხახური და  
თანახმად დაპირებისა, სთხოვა სოვდაგარს გაუსტუმრე-  
ბინა.

სოვდაგარი ახლაც შეეკითხა:

— არამი ორი თუმანი გირჩევნია თუ ალალი ორი შა-  
ური?..

— ალალი ორი შაური, — მიიღო პასუხი.

სოვდაგარმა მისცა მოჯამაგირეს ორი შაური და უთხ-  
რა:

— შენ სამი წელიწადი ერთგულად მემუშავე, წადი,  
წაღმა იარე, სამ რამეს გასწავლი, დაიხსომე, გამო-  
გადგება:

1) ვინც არ გვითხოს, შენ არა თქვა, მე ვიციო.

2) გზათ რომ მიდიოდე, როცა იპოვო, აიღე და შენი  
კარების წინ ჩაფალი.

3) შენი გულის პასუხი არავინ გაიგოს.

წადი, შვილო. თუ გაგიჭირდეს რამე — შემატყობინე.

წავიდა მოჯამაგირე, დარდიანი, რცხვენია ოჯახში  
მისვლა, სამი წლის წასულს მხოლოდ ორი შაური მიაქვს,  
მაგრამ — ალალი.

მიდის გზაზე ნაღვლიანი, თავჩაღუნული, შორიდან  
თვალი მოკრა, რამე ჭრელი აგდია ძირს, არ აიღო, გა-  
ნაგრძო გზა, მერე მოაგონდა სოვდაგარის დარიგება,  
მობრუნდა, აიღო, უბეში შეინახა და გასწია.

შინ რომ დაბრუნდა, ნახა, მეფის სასახლესავით მორთუ-  
ლი სახლი ხალიჩებით, ძვირფასი ავეჯულობით, გაუკვირ-  
და, ეგონა სხვის სახლშია; მორიდებით იკითხა, ამამავალი  
სადა ცხოვრობსო. ცოლმა იცნო, მიესალმა და უთხრა, რომ  
მისი გამოგზავნილი სიმდიდრით, რომელიც სოვდაგარმა  
მოუტანათ, ეს სახლი ააშენეს და ოჯახი გაუწყვეს.

მოჯამაგირე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მოიკითხა შინაურები, ეზოში მიიარ-მოიარა, ბაღი და ბახჩა დაათვალიერა და ისევ წინა კარს მიუბრუნდა. გზაში ნაპოვნი ამოილო, დახედა, დააკვირდა, ჭრელი გველის კუდი იყო, ჩუმად აიღო და კარის წინ მიწაში ჩაფლა.

დილა რომ გათენდა, დაინახა, მათი სახლის წინ კიბესთან მშვენიერი ალვის ხე ამოსულიყო, რომელზედაც ბევრი თვალ-მარგალიტი ესხა.

გამვლელ-გამომვლელი ყველა ამ ალვის ხეს მისჩერებოდა, უკვირდათ, საიდან იყო, ცოლსაც უკვირდა, გადაეკიდა ქმარს, გინდა თუ არა, მითხარი, რისგან არისო, მაგრამ ქმარმა არ უთხრა.

ყველას უკვირდა ალვის ხის უცბად ამოსვლის ამბავი და ამ კაცის გამდიდრების მიზეზი უნდოდათ რომ გაეგოთ.

ჩვენმა ახლად გამდიდრებულმა მოჯამაგირემ ერთი ისეთი ხანჯალი შეიძინა, რომ მისი ფასი იმ ქვეყანაში არაფერი მოიპოვებოდა. ამ ხანჯლის შეხედვა მეტად აწებებდა ერთ თავადს, რომელსაც უნდოდა რამენაირად ხელში ჩაეგდო ხანჯალი.

თავადმა გამართა დიდი წვეულება. მსახურებს უბრანა, რომ სუფრაზე არც ერთი დანა არ მოეტანათ.

ასეც მოიქცენ, სამეფო სუფრაზე იმ ქალაქის ყველა რჩეულნი იყვნენ მიწვეული, თავადმა ხანჯლის პატრონიც დაპატიჟა. როდესაც სუფრას შემოუსხდნენ, თავადმა ერთხელ კიდევ გააფრთხილა მსახურნი, რომ რაც არ უნდა ეძახნათ სტუმრებს, დანა არავის მიეტანა სუფრაზე.

ჩვენი ხანჯლის პატრონიც თავისი ხანჯლით წავიდა, ყველა მას მისჩერებოდა.

როდესაც სუფრაზე კერძი მიიტანეს, სტუმრებმა დანა მოიკითხეს.

ხანჯლიანმა სტუმარმა თავი ისახელა, წამოდგა ფქნებე, იძრო ხანჯალი და მიაწოდა.

როდესაც მასპინძელმა ხანჯალი დაინახა, მოუახლოებდა, დააკვირდა და სტუმარს (ხანჯლის პატრონს) უთხრა:

— ეს მამაჩემის ხანჯალია, შენ ვინ მოგცა, აღმართ მოგიპარია, შენ ქურდი ყოფილხარ და ეს ამოდენა სიმდიდრეც ამ გზით შეგიძენია.

შეწეხდა მეტად სტუმარი, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, შეედავა თავადს, თავადმა უთხრა:

— თუ მე გავიგო, შენ კიბესთან ალვის ხე რისგან არის ამოსული, რასაც მე სამჯერ ხელი დავადო, ჩემი იყოს, თუ არა — შენი.

შეთანხმდნენ, სანაძლეო დასდეს.

მოაგონდა ყოფილ მოჯამაგირეს სოვდაგარი, შეუთვალა და მოიყვანა, სთხოვა:

— გაჭირვებაში ვარ და მიშველე!

თავადმა, როგორც კი გაიგო, რომ ხანჯლის პატრონთან სოვდაგარი მოვიდა, ისე მოაწყო, რომ ორივე ცალ-ცალკე ოთახებში ჩააკეტია, სოვდაგარმა არ დაარიგოსო.

მეორე მხრით მის ცოლს შეუჩინა დედაკაცები, ზოგი მოხუცი და ზოგი ახალგაზრდა, იქნებ ვინმეს რამენაირად შეეტყო ალვის ხის ამოსვლის მიზეზი, რისთვისაც საწყალი კაცის ნახვა მარტო ცოლს შეეძლო.

შეუჩნდა ცოლი, დღე და ღამე აღარ მოისვენა, ეხვეწა:

— ხომ ხედავ, თვალი გვიდგება, თავადი გვარცხვენს და ქონებას გვართმევს, ახლა მაინც მითხარი, რისგან არის ის ალვის ხე ამოსული, ნეთუ ცოლი აღარ მიგაჩნია სანდობათ, რაღა ცოლი ვყოფილვარო...

საწყალმა კაცმა გაანდო ცოლს ალვის ხის ამოსვლის

საიდუმლო, ხოლო ცოლს კი ერთმა თილისმა მოხუცმა  
დედაკაცმა დასტყუა ალვისხის საიდუმლო, რომელმაც  
თავადისგან დიდი ჯილდო მიიღო.

სოვდაგარი წინასწარ მიხვდა, რომ საწყალ კაცს და-  
ავიწყდა მისი სამი დარიგება, მაგრამ გამოსავალი კიდევ  
ი პოვა.

როდესაც დადგა დანიშნული დრო, რომ სანაძლეო  
უნდა გადაწყდეს, სოვდაგარმა აიყვანა კატა, მუხლზე  
დაისვა, ზურგზე ხელს უსვამს, ელაპარაკება საწყალი კა-  
ცის გასაგონად:

— ფისიკო! მე შენ არ დაგარიგე, რომ შენი გულის პა-  
სუხი არავის უთხრა?.. ფისიკო! ხვალ რომ თავადი მოვა,  
შენ უთხარი, რომ მამაჩემი ყაჩაღებმა მოკლეს, ეს ხანჭა-  
ლი კი გულში ჩარჩა, შენ ყოფილხარ მამაჩემის მკვლე-  
ლი. ფისიკო! თავადი რომ კიბეზე ხელს დაადებს, შენ  
აიღე, წიხლი კარი, გადააგდე, კიბე გადაუხერხე და მი-  
ეცი, იმაზე მეტი არ გერგებაო.

საწყალ კაცს ესმის სოვდაგარის სიტყვები და სიხარუ-  
ლისაგან ფრთები გამოესხა, აწი ვეღარ აჭობებს თავადი.

მეორე დღით დილიდანვე მოგროვდა ხალხი საწყა-  
ლი კაცის სახლთან, სეირის საყურებლად.

მოვიდა თავადი თავისი მხლებლებით, უხარია, დას-  
ცინის საწყალ კაცს, იმედი აქვს გაიმარჯვებს. მიუახლოვ-  
და თუ არა საწყალი კაცის სახლს, საწყალმა კაცმა პირ-  
ველმა დაუძახა:

— მამაჩემი ყაჩაღებმა მოკლეს, ეს ხანჭალი გულში  
ჩარჩათ, შენ ყოფილხარ ყაჩაღი, მამაჩემის მკვლელი.

— შენ კიბის წინ ჭრელი გველის კუდი გაქვს დაფა-  
ლული, ალვის ხე მისგან არის ამოსული, მოგებული ვარ.

თავადმა ხელი დაადვა კიბეებზე სიტყვებით:

— ერთი, ორი, სამი...

სანამ მესამე კიბეს ხელს დაადებდა, საწყალმა გაცემა  
კიბე გადაუხერხა, კრა წიხლი და გადააგდო, მიაძახა:

— შენზე ესეც მეტია, გეყოფა-ო.

გაწილებული თავადი შერცხვენილი გაბრუნდა, პირ-  
გაშავებული.

საწყალი კაცი თავის ქონებას და ალვის ხეს დღესაც  
დახარის ცოლშვილით.

ნათქვამი ეკატერინე ხერგეის ახული ანტონოვისა

## ხალხური ზღაპარი

ერთ კაცს ქალიან გაუჭირდა ცხოვრება. სიღარიბემ მეტად შეაწეხა და რაკი თავის ქვეყანაში სამშაოს შოვნა გაუძნელდა, გადაწყვიტა ბედის საძიებლად შორ ქვეყანას წასულიყო. წვრილი ცოლშვილი ღვთის ამარა დატოვა, თვითონ კი გზას გაუდგა ფულის საშოვნელად. იმ დროს ფეხით მგზავრობდნენ ადამიანები და ისიც, ცხადია, ფეხით დადიოდა.

ბევრი იარა, ვერსად ვერაფერს გადაეკიდა სახეირო საქმეს და გულდაწყვეტილი, ძალგე მოქანცული ერთ ალაგზე შეჩერდა, იქვე დაიწყო მუშაობა.

რამოდენიმე წელმა გაიარა, ფული კი ვერ მოაგროვა, რასაც იშოვნიდა, თავს ძლივს ირჩენდა. ბევრი წვალებისა და ვაი—ვაგლახის შემდეგ, როდესაც ხუთი მანეთი შეაგროვა, დააპირა უკანვე დაბრუნება.

გზაზე შემოაღამდა. იკითხა და ასწავლეს ღამის გასათვი. შორიდან სინათლე მოჩანდა, მიჰყვა სინათლის შექს და მაღლობზე ქოხს მიადგა, მიუახლოვდა. დააკაკუნა კარზე, ქოხიდან მოესმა მოხუცებული კაცის ხმა:

— სტუმარი ღმერთსაც უყვარს, მობრძანდით!..

შევიდა ქოხში, დაინახა, ტახტზე ზის ფეხებმოკეცილი, ღრმად მოხუცებული კაცი, ხელში ქარვის მძივი უჭირავს და ატრიალებს: გაუკვირდა, იფიქრა, რას აკეთებს ამ ქოხში მარტო კაკალა ეს მოხუცებული კაციო და შეეკითხა:

— რას აკეთებს ამ ტყეში, ასე მარტო რომ ხარ, რა გინ-

და აქა, აქ ხომ ადამიანის ფეხი არ დაიდგმება!..

მოხუცს გაეცინა, ქარვის ტრიალი შეაჩერა, თავი მაღლა ასწია, შავ თვალებში მიაჩერდა და უპასუხა:

— მე აქ ხალხს ჭკუას ვასწავლი...

მგზავრს სულელი ეგონა, გაიფიქრა, ამან ვის რა უნდა ასწავლისო, მაინც შეეკითხა:

— რა ჭკუას ასწავლი?..

შენ ჯერ მითხარი, ვინ ხარ ან სადაური, ან აქ ჩემთან ვინ მოგასწავლა, შემდეგ გეტყვი დანარჩენსო.

მგზავრმა აუხსნა თავისი თავგადასავალი, უამბო თავისი ვინაობა და დაუმატა, რომ არ გაუმართლდა საქმე. ამდენი წლის ხეტიალის შემდეგ შინ მხოლოდ ხუთი მანეთი მიაქვს და შეეხვეწა, ჭკუა ესწავლებინა.

მოხუცმა უთხრა, რომ იმისთვის საჭიროა ფული – ერთი მანეთი. ძალიან დაეზარა მგზავრს, ისედაც მცირე თანხიდან ერთი მანეთის მოკლება. მაგრამ დასძლია ცნობისმოყვარეობას, მისცა ერთი მანეთი, რის შემდეგ მოხუცმა უთხრა:

— რაც გზით მიდიოდე, იარე სწორი შარაგზებით, ბილიკებში არ შეუხვიო...

— მერე?!

— მერე მეტი არაფერი, ეს არის.

— ამაში გამომართვი ერთი მანეთი, რომ ორი სიტყვა მითხარი?!

— ჰმ... თუ გინდა კიდევ ჭკუის სწავლება, კიდევ მოიტა ერთი მანეთიც.

მგზავრს ძალიან დაეზარა მეორე მანეთის მოკლება, მაგრამ კიდევ მისცა მოხუცებულს მეორე მანეთიც.

— სადაც შემოგაღამდეს, იქვე დარჩი...

— მეტი?.. ეს არის ჭკუის სწავლება?!

— მეტი არაფერი, დიახ, ეს არის ჭკუის სწავლება, თუ

კიდევ გინდა გასწავლო, კიდევ მოიტა ერთი მანეთი და  
კიდევ სხვასაც გასწავლი.

მგზავრს წელში წყვეტდა ყოველი მანეთის მოკლება,  
მაგრამ კიდევ მისცა ერთი მანეთიც.

- სხვის ოჯახურ საქმეში არ ჩაერიო...

- მერე?!.. კიდევ რას მეტყვი!..

- მეტი არაფერი, თუ კიდევ გინდა გასწავლო, კიდევ  
მოიტა ერთი მანეთიც.

გაბრაზდა მეტად მგზავრი, მოხუცებულს თვალებს უბ-  
რიალებდა, ღელავდა, ფიქრობდა გამომტყუა ფულიო,  
მაგრამ ამოილო ჭიბიდან მეოთხე მანეთიც და მისცა.

- კაცის მოკვლას ნუ გადაწყვეტ, სანამ კარგად არ  
გაერკვევი, თუ რისთვის კლავ.

- მეტი?..

- მეტი აღარაფერი. გახსოვდეს ჩემგან ნასწავლი  
ოთხი რამ და ვნახოთ, ცხოვრებაში როგორ გამოიყენებ,  
თუ არ დაივიწყებ.

- იდარდა მგზავრმა, გამომტყუა ფული, ვიღაც  
მატყუარას ჩაუვარდი ხელშიო, ერთი მანეთით ოჯახში  
რა პირით მივიდე ამდენი წლის წასული კაციო. მაგრამ  
მეტი რა გზა ჰქონდა, ღამე აღარ დაეძინა დარდით. დი-  
ლით ღმერთს გათენება აღარ აცალა, ადრე გაუდგა გზას.  
გზაში სულ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოტყუედა.

- მიდის, ამ დილით ადრიან გზაჯვარედინებიდან  
ყვირილი ისმის, მობრუნდა, უნდოდა იქით წასვლა, სა-  
იდანაც ყვირილი ისმოდა, შეჩერდა, მოაგონდა მოხუცის  
ნათქვამი, იარე სწორი გზით, ბილიკებში არ შეუხვიოვო  
და ისევ გზას გაუდგა: მერე გაიგო, იმ ბილიკებში ყაჩაღე-  
ბი თავს დასხმოდენ მიმავალ მგზავრებს, გაეძარცვათ და  
მოეკლათ. სთქვა:

- ნახეთ, როგორ გამომიდგა იმ მოხუცის დარიგება,

მე კი მეგონა ფული გამომტყუა და ვდარდობდი, კარგია  
რომ ჩამოვშორდი თვარა, მეც მომკლავდნენ, რომ მათი  
ვინაობა არ გამეგო, თვარა გასაძარცვი არა მქონდა რაო.

იარა, ისევ გზას გაუდგა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა,  
შემოაღამდა, შორიდან სინათლე დაინახა, გაეშურა, მი-  
ვიდა ერთ სახლთან, დაუძახა: მასპინძელმა მიიღო. შე-  
ვიდა დიდ დარბაზში, დაინახა, მშვენიერი დიასახლის  
ტრიალებს, მდიდრულად მორთულ დარბაზებში.

ქმარმა ცოლს სასადილო ოთახში ვახშამი გააწყობი-  
ნა, მერე ცოლს უბრძანა, თან გაჰყოლოდა. დიასახლისშა  
ქმარის ბრძანება შეასრულა, გაჰყვა. მგზავრმა დაანახა,  
რომ კუთხეში წევარი ძაღლია ჭაჭვზე დაბმული, ძაღლი  
აუშვა ჭაჭვიდან, ზედ ცოლი მიაბა, ძაღლი კი წამოიყვანა  
და სუფრაზე გვერდით მოისვა.

უყურებს ამას ყველაფერს მგზავრი, ძაღლიან უკვირს,  
რად იქცევა ამნაირად მასპინძელი, მაგრამ აგონდება  
მოხუცის დარიგება — სხვის ოჯახურ საქმეში ნუ ჩაერევიო  
და ხმის ამოუღებლად მისჩერებია ამ სურათს, კითხვით  
კი არაფერს ეკითხება, ისე იქცევა, თითქოს ვერაფერს  
ხედავდეს. ივახშმეს, ძვირფასი ვახშმის შემდეგ მასპინ-  
ძელმა ძაღლი მიიყვანა, ისევ ჭაჭვზე მიაბა, ცოლი აუშვა  
და უბრძანა, სუფრა აელაგებინა და ნასუფრალი თვითონ  
ეჭამა. მშვენიერი დიასახლისი ჩუმის ხმით ასრუღებდა  
ქმრის ყოველივე ბრძანებას. ვახშმის შემდეგ სტუმარს  
ძვირფასი ლოგინი გაუშალეს და მოასვენეს.

გათენდა დილა. ადგა სტუმარი, ხელ-პირი დაიბანა,  
მასპინძელს დიდი მადლობა გადაუხადა და წასვლას და-  
ეპირა. მასპინძელმა არ გაუშვა, ვინაიდან მას ჩვეულება  
ქონდა, სტუმარს სამი დღე და ღამე შეინახავდა. დაეზარა  
სტუმარს გაჩერება, ცოლშვილის ნახვა ეჩქარებოდა, მაგ-  
რამ მეტი ჩარა არ იყო, დარჩა. სამი დღე და ღამე დიდებუ-

ლად გაუმასპინძლდნენ ჩვენს მგზავრს, მაგრამ მგზავრი საშინლად იტანჯებოდა, როდესაც ხედავდა დიასახლისის სატანჯველს, რომელიც დღეში ოთხჯერ ძვირფას სუფრას გაუწყობდა, მისი ქმარი მას ძაღლის აღაგზე დააბამდა, ხოლო ძაღლს ყოველ ჭერბე გვერდით მოისვამდა. ასე ვაი-ვაგლახით გაატარა მან სამი დღე და ღამე, იწვოდა მშვენიერი დიასახლისის საცოდაობით; სამი დღე სამ წლად მოეჩვენა, მეოთხე დღეს კი დაეპირა წამოსვლას, მაგრამ მასპინძელმა თავის ბალში გაატარა, მიიყვანა ჭახ-თან, ჩამოსხდნენ. მასპინძელი შეეკითხა:

- რად არ შემეკითხე იმაზე, რაც ჩემს ოჯახში ნახე?
- რა ჩემი საქმეა თქვენი ოჯახის საქმეში ჩარევა.
- შენ ყოფილხარ იღბლიანი კაცი, ჩაიხედე ჭაში.

სტუმარმა ჩაიხედა ჭაში, დაიანახა იქ რამოდენიმე კაცის თავი ჩამოკიდებული, რაზედაც მასპინძელმა უამბო:

- მე ვიყავი განთქმული ყაჩაღი მთელს მხარეში, ჩემი შიშით განგარებდა არე-მარე, მე ვძარცვავდი ხალხს, შევიძინე აუარებელი სიმდიდრე, ეს ლამაზი ქალი კი შემიყვარდა და მოვიტაცე, ქალს კი არ ვუყვარდი.

ერთ ღამეს სახლში ვისვენებდი გაუხდელად. ცოლმა გამცა. იმ ღამეს თავს დამეხსნენ დასაჭერად. ძაღლმა გაიგო, მძინარე გამაღვიძა, გავუმკლავდი შიგნიდან თავდამსხმელთ, ყველანი ამოვხოცე და გადავრჩი, ქალს ვერაფერი ვკადრე, რადგანაც მიყვარდა, მოხაკლავად ვერ გავიმეტე, მხოლოდ რასაც შენი თვალით ხედავდი სამი დღის განმავლობაში, ამ სახით ვიყრი ცოლზე ჭავრს, ხოლო ძაღლს მეტად ვაფასებ, რადგანაც მან შემინარჩუნა სიცოცხლე და სიმდიდრე. ძაღლმა დამაფასა, სამაგიეროდ, პატივს ვცემ, ცოლს კი ნასუფრალს ვაჭმევ. ვიმეორებ, შენ ყოფილხარ იღბლიანი კაცი, რომ არ შემეკითხე, თვარა ვინც შემეკითხება, ყველას თავი ჩემს ჭაში ჩამოიკიდება.

გაიყვანა სტუმარი უკან, დაასაჩუქრა ძვირფასი საჩუქრებით: ოქრო-ვერცხლით, ოთხფეხით და გაისტუმრა.

ჩვენი მგზავრი წამოვიდა გახარებული, მრავალ სიმდიდრე, რომელიც სიგმარშიც არ უნახავს და მიუხარია სახლისკენ. როდესაც სახლს მიუახლოვდა, ღამე იყო. კარზე არ დააკაკუნა, მაღლა ქოხის სახურავზე ავიდა, გადასწია სახურავი და შიგ ჩაიხედა. დაინახა, რა დაინახა მისმა თვალებმა: მისი ცოლი გვერდით ვინმე ვაჟკაცს მოსწოლია და არხეინად სძინავს. გაბრაზდა, ჩამოვიდა ძირს, აიღო უშველელი დიდი ლოდი და უნდა ზევიდან დაარტყას ცოლს და გაჭეჭყოს ქვით ის ვაჟკაცი და ცოლი, რადგანაც იფიქრა, ცოლს მისი შინ არყოფნის დროს საყვარელი გაეჩინა, ასწია ლოდი ხელში, ის არის უნდა დაუშინოს, მაგრამ მოაგონდა მოხუცის დარიგება – კაცის მოკვლას ნუ გადაწყვეტ, სანამ კარგად არ გაერკვევი, თუ რისთვის კლავ. ჩამოიტანა ძირს ლოდი, ზედ ჩამოჭდა და ელოდა გათენებას.

გათენდა. ცოლმა კარი გააღო, გამოვიდა გარეთ, დაინახა მოსული ქმარი, გაეხარდა, მოეხვია, ქმარმა ხელი კრა, ლანძღვა-გინებით:

– შე კახბა დედაკაცო, შენ საყვარელი გაგიჩენია და არც კი გრცხვენია, კიდევ მეხვევიო.

გაკვირვებული ცოლი მისჩერებოდა და არ ეუბნებოდა, რომ ის ვაჟკაცი მათი შვილია, რომელიც მისი გამგზავრების შემდეგ დავაჟკაცდა. მათ ლაპარაკში შვილიც ჩაება, მოეხვია მამას, რომელნიც ძმებივით გავდნენ ერთმანეთს. მოისვა გვერდით ცოლშვილი, უამბო თავისი თავგადასავალი და მოხუცისგან ჭკუის სწავლება, რის შემდეგ შეუდგნენ ბედნიერ ცხოვრებას.

## სამი ხელობის ზღაპარი

ცხოვრობდნენ ერთი დედა-შვილი. შვილი სანამ წამოიზრდებოდა, დედას უკერებდა, ძალიან ღარიბად ცხოვრობდენ და როდესაც შვილი დავაჟვაცდა, დედას ეხვეწებოდა:

- დედილო, ოცი თუმანი მიშოვნე, შენი ჭირიმე, წავალ შორ ქვეყანას, რაიმე ხელობას შევისწავლი, მოვბრუნდები და ბედნიერად ვიცხოვრებთ, ხელობა მეცოდინება.

- შვილო, მე როგორდა ვიცოცხლო უშენოდ?..
- არა უშავს, დედი, ერთი წელიწადი ისე მაღე გაივლის, ვერც კი გავიგებთ. უნდა შევიწუხოთ თავი.

ძალიან დაეზარა დედას ერთადერთი შვილის მოშორება, მაგრამ მეტი ჩარა არ იყო, თუ რამე გააჩნდა თვალ-დგმუვლი, გაპყიდა, დააკერა შვილს ჯიბებე ოცი თუმანი. გზა დაულოცა და გაისტუმრა.

გაიარა ექვსმა თვემ. რის განმავლობაში ვაჟმა უცხო ქვეყანაში შეისწავლა საუცხოვო წერა-კითხვა რამოდენიმე ენაზე, მერე კი, როდესაც ფული გამოელია, დაბრუნდა შინ მოწყენილი.

- რა დაგემართა, შვილო. წახვედი ხელობის შესასწავლად, ერთ წლამდე არ გელოდი, მოხვედი ექვს თვეზე, ისიც დარდიანი, რა გაწუხებს, მითხარი!..

შვილმა არაფერი უთხრა, მხოლოდ შეიბრალა დედა,

რომ ვერ გაუმართლა იმედი და უპასუხა:

— დედი! სახლიდან რომ გავემგზავრე, გზაში გაძარცვეს და ექვსი თვეა გაჭირვებაში გავატარე, კარგი, რომ სულაც არ დავიკარგე, ხელობა კი ვერ შევისწავლე უფელობის გამო.

წერა-კითხვა თუ შეისწავლა, არ გაუმხილა დედას, დედამ ანუგეშა შვილი, შეპირდა, ისევ გაამგზავრებდა ხელობის შესასწავლად, ოღონდ არ ედარდებინა. დედამ გაყიდა სახლ-კარი, თვითონ ბეღელში გადავიდა საცხოვრებლად, შვილს ისევ დააკერა ჭიბეზე ოცი თუმანი, დაულოცა გზა და გაისტუმრა.

წავიდა ვაჟი უცხო ქვეყანაში, აქ მან შეისწავლა ბანქოს თამაში, ისე კარგად, რომ მისი მომგები კაცი აღარ იყო იმ ქვეყანაში. შესრულდა ექვსი თვე და ისევ მობრუნდა შინ.

მოეხვია დედამისი, შვილიც სიცილითვე შეეგება, შვილმა არც ახლა უთხრა, თუ ბანქოს თამაში ისწავლა, პირიქით, ღმერთს მადლობას უძლვნიდა, რომ დედას ცოცხალი დაუბრუნდა.

— ბედნიერი ყოფილხარ, დედაჩემო, რომ არ დაგეკარგა ჩემი საფლავი. რაც ხანია წავედი, სულ ავად ვიყავი, რაღა უნდა შემესწავლა, ხელობისთვის არც მიფიქრია.

— შეწუხდა ძალიან დედა, რომ შვილმა იავადმყოფა, ღმერთს დიდი მადლობა შესწირა, რომ ცოცხლად დაუბრუნა შვილი.

შვილმა უთხრა:

— დედი!.. მესამეთაც უნდა ვსინჯო, ვინ იცის, ახლა მაინც მივაღწიო მიზანს — შევისწავლო ხელობა.

დედამ გაყიდა უკანასკნელი ბეღელიც, სხვის ოჯახში

მოჯამაგირედ დადგა, ფული წინასწარ გამოართვა, ერთი წლის ქირა, შეუხვია შვილს ოცი თუმანი, დააკერა უბეზე, ისევ დაულოცა გზა და გაისტუმრა.

ვაჟი ახლა სულ სხვა სახელმწიფოში წავიდა. ნახა იმ ქვეყანაში, დიდი და პატარა საკრავზე უკრავენ, რომლის მსგავსი მას არასოდეს მოუსმენია: მოეწონა, მიებარა ერთ კარგსა და გამოჩენილ ოსტატს, ისწავლა საუკეთესოდ დაკვრა, შეასრულა კიდევ ექვსი თვე, ფულიც შემოაკლდა, დაბრუნდა ისევ შინ.

როდესაც შინ მოვიდა, დედას უთხრა:

— ჩემო დედა, ტყუილად შეგაწუხე, ვერაფერი ხელობა ვერ შევისწავლე, სახლი და ოჯახი აღარ გვაქვს, საცხოვრებელი არაფერი აღარ გაგვაჩნია, მეტი გზა არ არის, უნდა გამყიდო.

იმ დროს ყმებს ყიდდნენ ბაზარზე, ლამაზ ტყვეში ბევრ ფულს იღებდნენ, ვაჟი კი მეტისმეტად ლამაზი იყო, ვარსკვლავივით ბრწყინავდა.

დედასაც მეტი გზა აღარ ქონდა, დაუკერა შვილს და ბაზარზე გასაყიდად გაიყვანა, რაც კი ტყვეები გამოეყვანათ, ყველაზე ლამაზი ეს ვაჟი იყო, ხელფეხშეკრული დახეულ ტანისამოსში გამოირჩეოდა სხვებისგან.

დედამისს ენანებოდა შვილი სხვისთვის მიეყიდნა, ისე ძვირად აფასებდა, ვერავინ მოურიგდა. ბოლოს ერთი უცხო ქვეყნის სოვდაგარი მიუახლოვდა, რომელიც გააოცა ვაჟის სილამაზემ. ახედ-დახედა ტყვეს და ფასი იკითხა, დედამ ამასაც ძვირად დაუფასა, სოვდაგარმა გაიკვირვა ფასი და იკითხა:

— ასე ძვირად არცერთი ტყვე არ ფასობს, შენ, ქალო, ხომ არ გაგიშდი?! ვინ გადაიხდის მაგოდენა ოქროს...

ვაჟმა იწყინა და დედას უსაყვედურა:

- დედი!.. განა ყველამ იცის ჩემი ფასი?.. გაანებე  
თავი, ბოლოს ინანებს, ვინც ჩემში ფულს დაზოგავს. ემაგ  
კაცი სოვდაგარია, თვარა, თავში ჩემზე მეტი ქვეა როდი  
აქვს, პირიქით, ძალიან ნაკლებიც.

სოვდაგარი გაბრაზდა ამ სიტყვების გაგონებაზე, მობ-  
რუნდა და იყიდა ვაჟი, დედამისს მისცა იმდენი ოქრო,  
რაც დაუფასა.

წამოიყვანა სოვდაგარმა ტყვე ვაჟი ხელფეხ შეკრუ-  
ლი ზღვის პირად, იქვე წასასვლელად გამზადებულ გემ-  
ზე აიყვანა, უფროს მეზღვაურს ჩააბარა, თან წერილიც  
გაატანა და დაავალა:

- როდესაც გემს ჩემი კაცი შეხვდეს, ეს დაბეჭდილი  
წერილი და ეს ვაჟიც გულდაგულ მას გადაეციო.

გემზე ყველა ლამაზ ვაჟს მისჩერებოდა და ეცილებო-  
და. ზღვა წყნარი იყო, როდესაც შეა ზღვაში შევიდნენ,  
მგზავრებს შორის გაჩაღდა გახურებული ბანქოს თამაში.  
თამაშში გემის უფროსიც ჩაერია. ითამაშა, წააგო, ისეს-  
ხა, კიდევ წააგო: გაიხადა ძვირფასი ზედა ჩასაცმელი,  
დააგირავა, ითამაშა, მაინც კიდევ წააგო. აღარაფერი  
დარჩა, რაზე ითამაშოს — გაბრაზდა, დააპირა თავის მოკ-  
ვლა, შევიდა გემის უფროსი თავის ოთახში, მას თან შეჰ-  
ყვა ლამაზი ტყვე ვაჟი, როდესაც ნახა, რომ გემის უფრო-  
სი სამჭრელოს იღებს თავის მოსაკლავად, მიუახლოვდა  
და სთხოვა:

- უფროსო! ნება მომეცი მე გიხსნა გაჭირვებისაგან,  
დაგიბრუნო ყველა შენი წაგებული, ოღონდ ის წერილი,  
რომელიც სოვდაგარმა გაგატანა ჩემთან ერთად, წამა-  
კითხე...

გემის უფროსს გაუკვირდა, როგორ და რა გზით უშევ-  
ლიდა ტყვე ვაჟი, ან რით დაუბრუნებდა მის მიერ წაგე-

ბულს, მაინც დათანხმდა, ამოიღო უბიდან წერილი, მისცა  
ვაჟს წასაკითხათ, თვითონ კი დაფიქრებული ფანჯრიდან  
ზღვას გასცეკეროდა.

წაიკითხა ვაჟმა წერილი, რომელშიც ეწერა:

„ეს ლამაზი ვაჟი, როგორც კი ჩაიბაროთ, იქვე  
თავი მოჰკვეთეთ, რადგანაც მან მე შეურაცხყოფა  
მომაყენა“—ო.

ვაჟმა ამოიღო სხვა ქაღალდი და სოვდაგარის მსგავ-  
სი ხელით დასწერა: „ეს ლამაზი ვაჟი როგორც კი ჩაიბა-  
როთ, იქვე ძვირფასი ტანისამოსით მორთეთ. ჩემი ქა-  
ლიშვილი მიათხოვეთ, დააქორწილეთ, მე ნუ მომიცდით  
და ჩემს მოსვლამდე ჩემს საქმეებსაც მაგ განაგებდეს“—ო.  
დახურა წერილი, გემის უფროსს დაუბრუნა, რომელიც  
ისევ ზღვის ტაღღებს გასცეკეროდა და უთხრა:

— ჭიბეში იქნება ცოტაოდენი გროში სადმე ჩაგრჩათ,  
ნახეთ და გადმომეცით, წავიდე, ვითამაშო.

გემის უფროსმა გადმოაბრუნა ყველა ჭიბეები, ვერ-  
სად ვერაფერი ნახა, ბოლოს, როდესაც უბის ჭიბეს იბერ-  
ტყავდა, ერთი გროში გადმოვარდა, სტაცა ვაჟმა ხელი  
გროშს სწრაფად და გასწია სათამაშოდ.

დაიწყეს თამაში, იგებს ვაჟი, უკვირს ყველას. ერთი  
გროშით რამოდენი ფული მოიგო, თამაშობს და კიდევ  
იგებს, როდესაც ყველა მოთამაშენი გააცარიელა, მოუს-  
ვა ფულს ხელი, შეიტანა გემის უფროსის ოთახში და უფ-  
როსს გადასცა. გახარებული და გაკვირვებული უფროსი  
მაღლობის ნიშნად ტყვე ვაჟს ხელებს უკოცნიდა.

გემი დანიშნულ ადგილზე გაჩერდა. სოვდაგარის  
კაცი გემს დაუხვდა, უფროსმა მას გადასცა წერილი და  
ლამაზი ვაჟიც ჩააბარა.

წაიყვანეს — დაბანეს, გამოუცვალეს, ჩააცვეს საუკე-

თესო ძვირფასი ტანისამოსი, მიათხოვეს სოვდაგრძელიშვილი, დააქორწილეს, დაპატიჟეს მთელი ქალაქის ცნობილი და ღირსეული ოჯახები, ნეფე-დედოფალი შესა და მთვარეს ჰგავდენ. ილხინეს შვიდი დღე და ღამე განუწყვეტლივ.

როდესაც ქორწილი დასრულდა, სიძეს ჩააბარეს სიმამრის საქმეები, რომელსაც სიძე ღირსეულად გაუძღვა.

გაიარა კარგა ძალმა დრომ. სოვდაგარი არ დაბრუნებულა, სიძემ მის ქონებას ბევრი სიმდიდრე მიუმატა და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ერთ დღეს სიძე სასეირნოდ გავიდა ქალაქგარეთ, საუკეთესო ცხენით გაისეირნა, ნახა, მეფის შვილი კოშკის სიახლოვეს ადის და ჩადის, მიესალმა, მოიკითხეს ერთმანეთი. მეფის შვილმა უამბო თავისი გასაჭირი:

— ეხ, ძმაო, ამდენი წელია ვიტანჯები, მიყვარს, მას კი არ უნდივარ, დავდივარ ამ კოშკის ახლოს, აქ არის შენახული ჩემი ცეცხლის მომკიდებელი მზეთუნახავი და ერთი თვალიც კი ვერ მოვკარი, დავდნი ზეზეურ ვაჟვაცი, აღარც სამეფო მახსოვს და აღარც საბრალო მშობლები, რომელნიც ჩემს გამო იტანჯებიან.

— მეფის შვილო, მე დაგანახებ მზეთუნახავს. იმ პირობით, რასაც გთხოვ, უნდა შემისრულო.

— რაც გინდა მთხოვე, მზადა ვარ, მთელი სამეფო გადავაბრუნო, ოღონდაც ჩემს მწველს სადმე თვალი მოვკრა.

— ჩვენ ორივენი ხვალ აქვე შევხვდეთ ერთმანეთს ამ დროს, აწი კი ნახვამდის, მალე შენც გაიხარებ.

მეორე დღეს სიძემ აიღო ხელში საკრავი და ისევცხენით წავიდა იმ ადგილს, სადაც მას მეფის შვილი ელოდებოდა.

## შეხვდენ ერთმანეთს, მიესალმენ და შეუდგნენ მზადე- ბას.

სოვდაგრის სიძემ წინასწარ უთხრა მეფის შვილს?

— შენ უნდა გასცე განკარგულება, როდესაც სოვ-  
დაგარი გემიდან ნაპირზე გადმოვა, იქვე ბაწრით შეკ-  
რან, შენ წარმოგიდგინონ და შენ კი იმისთვის თავი უნდა  
მოაკვეთინო; ჩემი თხოვნა ეს არის, მეტი არაფერი, თუ  
ამის შესრულების პირობას მომცემ, მზად ვარ მეც გემსა-  
ხურო და გაგახარო.

მეფის შვილმა თანხმობა გამოუცხადა.

ორივენი ჩამოსხდნენ კოშკის ძირს, სოვდაგრის სი-  
ძემ ამოიღო უბიდან საკრავი, მეორეც ისეთი მეფის  
შვილს მისცა ხელში, დაუკრა ისეთი სასიამოვნო ხმით,  
რომ ირგვლივ ყოველივე სმენად იქცა. საკრავის ხმა-  
ზე ხალხიც მოგროვდა, მეფის შვილმა არ იცის დაკვრა,  
მაგრამ ხალხს ჰგონია, ორივე უკრავს. სოვდაგრის სიძემ  
მოუმატა და მოუმატა მაღლა ხმით სიმების ჟღერა. მზე-  
თუნახავს რომ საკრავის ხმა მოესმა, მაღლიდან გადმო-  
დგა და სმენად იქცა, მოიხიბლა საკრავის ხმით. ნელ-ნე-  
ლა ძირს ჩამოვიდა, მიუახლოვდა საკრავის ახლოს და  
იკითხა დამკვრელის ვინაობა. სოვდაგრის სიძემ მოახ-  
სენა, რომ სწავლობს მეფის შვილისგან დაკვრას, მეფის  
შვილიც მიესალმა.

მოხიბლული მზეთუნახავი დათანხმდა, ცოლად გაჰ-  
ყოლოდა მეფის შვილს. შეუღლდნენ, დიდი ქორწილიც  
გადაიხადეს.

ამასობაში სოვდაგრის წერილიც მიიღეს, რომ ის აპი-  
რებს დაბრუნებას, სიძემ მოაგონა მეფის შვილს, დაპი-  
რებული არ დავიწყებოდა.

მეფემ გასცა ბრძანება, როგორც კი სოვდაგარი გემი-

დან გადმოვიდოდა, მისთვის მოეყვანათ ხელფეხშეკრული იქვე.

გადმოვიდა თუ არა სოვდაგარი გემიდან, იქვე შეკრულადა მეფეს მიგვარეს.

მეორე დღეს მთელი ქალაქი უნდა დასწრებოდა სოვდაგარის თავის მოკვეთას.

შეინძრა ქალაქის ცნობილნი, მიდიან მეფესთან, სთხოვენ, ნუ მოჰკვეთენ სოვდაგარს თავს, გაიკითხეს თუ რა დანაშაული აქვს, მაგრამ მეფე ყველას უარით ისტუმრებს.

მოიყარა ხალხმა თავი, შეიქნა ხმაურობა, ტირილი და ვაება, სტირიან ცოლი და შვილი, სოვდაგრის ახლობლები იმდუღრებიან, მაგრამ მეფის განკარგულება უნდა შესრულდეს, არავის ყურადღებას არ აქცევენ.

გამოიყვანეს ხელფეხშეკრული სოვდაგარი, მიიყვანეს თავის მოსაკვეთად, მისჩერებია ჭარი და ჭამაათი, იმატა ყვირილ-კივილმა, ტირილმა შეზარა ქვეყანა.

სოვდაგრის სიძე წარსდგა მეფის წინაშე და სთხოვა, ეპატიებინა, არ მოეკვეთა თავი მისი სიმამრისთვის.

მეფემ იქვე შეუსრულა თხოვნა, გასცა ბრძანება, შექსნათ ხელ-ფეხი სოვდაგრისთვის და გაენთავისუფლებინათ.

გაანთავისუფლეს სოვდაგარი, გადარჩა თავის მოკვეთას, მაგრამ არ იცის, თუ ვინ გადაარჩინა.

მიუახლოვდა სიძე და შეეკითხა:

- სოვდაგარო, გახსოვს თუ არა ლამაზი ტყვე, რომლისთვისაც შენი ბრძანებით თავი უნდა მოეკვეთათ, უბრალოდ.

- მახსოვს...

- მე ვარ ის ტყვე, ხომ გამოსცადე, რა ძნელია უდა-

ნაშაულო კაცისთვის თავის მოკვეთა, მეც არ მინდოდა  
სიკვდილი და დღეს შენი სიძე ვარ, რომელიც შენს ქონე-  
ბას შენზე უკეთ ვუვლი.

მოეხვია სოვდაგარი სიძეს, მერე ცოლშვილს და  
ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ეს მოხდა იმით, რომ ლამაზმა ვაჟმა ისწავლა:

რამოდენიმე ენაზე წერა-კითხვა,

ბანქოს თამაში და

საუკეთესო საკრავზე დაკვრა.

მთქმელი ეკ. ანტონოვი  
ოქტომბერი 1937 წ.

## ოქროს ქოჩრიანი ვაჟის ზღაპარი

ერთ დიდებულ მეფეს ვაჟი არ ყავდა: ყავდა სამი ქალიშვილი. იმ ქვეყანაში წესი იყო, ვინც ქალიშვილს მოეწონებოდა, მას უნდა გაჰყოლოდა ცოლად.

როდესაც მეფის უფროსი ქალიშვილი გასათხოვარი შეიქნა, იმ ქვეყნის წესისამებრ, მეფემ ოქროს სინით მწიფე ნესვი გაუგზავნა ქალიშვილს, მის ნიშნად, რომ დრო არის შენი გათხოვებისა და ვინც მოგეწონოს, ამოირჩიეო.

ქალიშვილმაც მიიღო ნესვი — თანახმა ვარო.

მეფემ გამართა დიდი ლხინი, მოიწვია, რაც კი რამ მის საბრძანებელში ხალხი მოიპოვებოდა, ყველასათვის სუფრა გაშალა.

მოვიდა დაძახებული ხალხი, გაიგხო მეფის დარბაზი, როდესაც ყველანი სუფრას შემოუსხდნენ, მეფემ მისცა ქალიშვილს ოქროს ბურთი. ქალიშვილმა ხელში ოქროს ბურთით რამდენიმეჯერ აიარ-ჩაიარა, მაგრამ არავინ მოეწონა, ბურთი ისევ ხელში ეჭირა, ბოლოს თავისი მამის ნაზირს ჩაუგდო ბურთი კალთაში, მის ნიშნად, რომ მოეწონა.

ძალიან ეწყინა მეფეს, არ უნდოდა ნაზირი სიძედ, მაგრამ რას იზამდა, დააქორწილა და დალოცა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი, მეფის მეორე ქალიშვილიც გასათხოვარი გახდა. მამამ მასაც გაუგზავნა ოქ-

როს სინით მწიფე ნესვი, მეორე ქალიშვილმაც მიიღო, მეფემ კვლავ წვეულება გამართა, ქალიშვილს მისცა ოქ-როს ბურთი საქმროსთვის კალთაში ჩასაგდებად. მეორე ქალიშვილმაც რამოდენიმეჯერ აიარ-ჩაიარა, არავინ მოეწონა, ადგა და მეფის ვეზირს ჩაუგდო ბურთი კალთა-ში.

ეს ამბავიც ეწყინა ძალიან მეფეს, მაგრამ მეტი ჩარა აღარ იყო, მეორე ქალიშვილიც ვეზირს მიათხოვა.

დარჩა მეფეს მესამე ქალიშვილი, სულ იმაზე ოცნე-ბობდა, რომ მესამეს მაინც აერჩია მეფის ფასის ღირსი სიძე, რომელსაც ტახტიც დარჩებოდა.

მესამე ქალიშვილი ერთ მშვენიერ დღეს ბაღში სეირნობდა, გაიხედა, დაინახა ერთი ლამაზი მებატე ბიჭი, ხელში ჯოხი უჭირავს, თავზე ტყაპუჭი ახურია, კოჭლობს და ბატებს ლალამს. მებატე რუს გადაახტა, ტყაპუჭი თა-ვიდან მოძვრა, ძირს დაუვარდა, მეფის ქალიშვილმა და-ინახა, მშვენიერი ოქროსფერი ქოჩორი ქონდა, მებატემ სწრაფად აიღო ტყაპუჭი, თავზე დაიხურა და განაგრძო ბატების ლალვა.

მეფის მესამე ქალიშვილს მოეწონა კოჭლი მებატე, თვალში ჩაუვარდა და შეუყვარდა. იმ დღიდან ხშირად უკვრეტდა ხოლმე ჩუმად მებატეს, ვინ რას იფიქრებდა თუ უყვარდა.

როდესაც ქალიშვილი გასათხოვარი გახდა, მეფემ იმასაც, როგორც მის უფროს დებს, ოქროს სინით მწიფე ნესვი გაუგზავნა. ქალიშვილმა სიხარულით მიიღო.

მეფემ გასცა ბრძანება, რომ მის სახელმწიფოში არა-ვინ დარჩენილიყო წვეულების გარეშე.

მოვიდა ჭარი და ჭამაათი, გაივსო მეფის დიდი დარბა-ზი წვეულებით, თავადისა და ღირსეულის ვაჟებს თვალი

ეჭირათ მეფის მესამე ქალიშვილზე და მეფის ტახტზე დაც, მოვიდა მრავალი დიდებულის შვილნი ჩატმულ-მოკაზმულნი, ბრჭყვიალებით გამოწყობილნი. შემოუსხდნენ დიდებულ სუფრას, მეფემ მისცა ქალიშვილს ოქროს ბურთი, აიღო ქალიშვილმა, ადის და ჩადის, ათვალი-ერებს, ზღვა ხალხში ეძებს, ვერ დაინახა მებატე ვერსად, რამოდენიმეჯერ ავლა-ჩავლის შემდეგ მივიდა მამასთან და უთხრა:

- მამაო, ჩემო მეფეო, ვინც მე მომწონს და მიყვარს, ის აქ არ არის...

მეფემ გაგზავნა კარისკაცები. მოეყვანათ თუ ვინმე დარჩენილა სადმე, ენახათ, ვინ აკლდა მათ სუფრას.

მოიარეს ქვეყანა, წავიდნენ, ნახეს, არავინ დარჩენილა, მარტო ერთი კოჭლი მებატეა, ბატებს ლალავს, უთხრეს:

- შე საწყალო, მეფე ქალიშვილს ათხოვებს, დასცინეს, შენ გიცდის, ადექი და წამოდიო.

მიატოვებინეს ბატები და წამოიყვანეს, მის მეტი სხვა ყველა მეფის სუფრაზე იყო, არავინ ჩანდა არსად.

წამოიყვანეს მებატე, გზაში მათ შეხვდა ბუჩქებში კურდღლები, მებატე მისწვდა ერთ ბაჭიას, დაიჭირა და უბეში ჩაისვა. მეფის კაცებიც სწვდნენ კურდღლებს დასაჭრად, მაგრამ სანამ ისინი გადახტებოდნენ, კურდღლები მიიმალნენ: ეწყინათ, მებატეს ჰკითხეს:

- რა თილისმა გაქვს, შენ დაიჭირე, ჩვენ კი ვერა!..

მოვიდა მებატე მეფის სასახლეში, კოჭლობს, თავზე ისევ ის ტყაპუჭი ახურავს, უბეში კურდღლის ბაჭია უზის, მოვიდა და ერთ კუთხეში დაჭდა.

მეფის ქალიშვილს გაეხარდა მებატეს დანახვა, გაიარა მის წინ, კურდღლელმა იღლიიდან თავი გამოყო და მიიმალა.

შერცხვა მეფის ქალიშვილს კურდღლის დანახვაზე, უხერხულობა იგრძნო და ვერ ჩაუგდო მებატეს ბურთი კალთაში, კიდევ გაიარა, გამოიარა, ყოველთვის მის გავლაზე კურდღელი თავს გამოყოფდა, ქალს შერცხვებოდა და ვერ უგდებდა მებატეს კალთაში ბურთს. ბოლოს, როდესაც დაიღალა ავლა-ჩავლით, აიღო ოქროს ბურთი და მებატეს შიგ კალთაში ჩაუგდო.

მეფეს ეწყინა, იმედი გაუცრუვდა ტახტის მემკვიდრეზე, უფროსი ორი ქალიშვილი მაინც ნაზირსა და ვეზირს გაჰყვნენ ცოლად, ამან კი სულ ოხერი და უთვისეობო ვინმე მებატე ამოირჩია, კოჭლი და გაჭირვებული. ხალხსაც ძალიან გაუკვირდათ, ეს ვინ მოიწონა მეფის შვილმაო.

გაჯავრებულმა მეფემ ცალკე ბინაში ჩაასახლა მებატე და მისი ცოლი, რადგანაც გულნაკლული იყო, უფროსი დები ქმრებით დასცინობდნენ და ახლოსაც არ იკარებდნენ.

მეფემ იმდენი იჯავრა, რომ დაბრმავდა, მებატეს ახლოს არ იკარებდა.

მებატე და მისი ცოლი ცხოვრობდნენ თავისთვის ტკბილად.

გაიარა დრომ, მეფე გახდა ძალიან ავად, ბევრი იექიმებს, ვერ მოარჩინეს. ბოლოს ერთმა ძველმა, მოსწრებულმა დედაბერმა სთქვა, თუ ირმის ხორცს აქმევთ და ირმის რძეს ასმევთ, აუცილებლად მორჩებაო.

შეიარაღდნენ მეფის ორი უფროსი სიძეები, წაიყვანეს თან გამოცდილი მონადირეები და გავიდნენ სანადიროდ.

მებატეს ცოლმა სთხოვა:

- ერთი ცხენი თქვენს მესამე ქვისლსაც ათხოვეთ,

ესეც წამოვა, იქნებ დაგეხმაროთ.

სიცილი დააყარეს, თუ ვიშოვნით ირემს, სწორედ  
მაგისი წყალობით, თუ არა და ვერ ვიშოვნით. მისცეს  
ერთი ჭაგლაგი ცხენი.

გავიდა მებატე მინდორზე, ამოიღო ჭიბიდან გამო-  
ხვეული ძუა, გახსნა თუ არა, მის წინ გაჩნდა რაში, ფრინ-  
ველივით მოფრინდა, ახვისვინდა და დაუდგა წინ. შე-  
მოახტა რაშს, წაიყვანა შორიახლოს. ამოიღო მეორე  
ჭიბიდან პატარა ჭოხი, დაასო მიწაზე, დაეშვა ოქროს კა-  
რავი, შევიდა კარავში, შეიმოსა თავისი სამეფო ტანისა-  
მოსით, შემოიკრა ქამარ-ხანჯალი, გამოვიდა კარვიდან,  
ორი თითი პირში ჩაიყო, დაუსტვინა, მის წინ გაჩნდა ირე-  
მი, მოწველა, რძე ჭურჭლით დადგა, დაკლა ირემი, დაჩე-  
ხა. ხორცი ჩამოკიდა. ელოდება.

ქვისლებმა ბევრი იხეტიალეს ტყეში, ველში, მაგრამ,  
ირმის კვალიც კი ვერსად იპოვნეს. ხელცარიელი შინ  
ბრუნდებოდნენ, რომ ოქროს კარავს მოკრეს თვალი. მი-  
ვიდნენ, იქვე ახლოს ირმის ტყავი და თავფეხი დაინახეს.  
იფიქრეს, სწორედ იქ ვიშოვით, რაც გვინდაო.

მიუახლოვდნენ ოქროს კარავს, გამოვიდა მეფის ტა-  
ნისამოსში გახვეული ოქროს ქოჩირიანი ჭაბუკი, ისეთი  
სილამაზის, რომ მზეს აბნელებს. ჭაბუკმა მიიღო, უთხრეს  
ქვისლებმა მათი მისვლის მიზეზი. ჭაბუკმა უთხრა:

— ხორცსაც მოგცემთ ირმისას და რძესაც, ოღონდ  
თქვენ მეფის ორივე სიძეებს ჩემი რაშის ნიშანი უნდა  
დაგისვათ დუმაზე და ორივეს მარჯვენა ყურის ბიბილო  
უნდა გაგიჭრათ.

მეფის სიძეები დათანხმდნენ.

როგორც თქვა ჭაბუკმა, ისეც მოიქცა, მარჯვენა ყურის  
ბიბილო ორივეს გაუჭრა და საჯდომის დუმაზეც ორივეს

თავისი რაშის დაღი დაუსვა. ნიშანი და რაშის დამრა არაფრად ეამათ ქვისლებს, მაგრამ მეტი რაღა გზა ქონდათ, წამოიღეს ირმის ხორცი ბლომად, რძეც სავსე დიდი ოქროს ჭურჭელით მოიტანეს სიმამრთან, მართლაც შეჭამა თუ არა მეფემ ირმის ხორცი, მორჩა; რძეს კი ასმედნენ და ხელპირსაც მითივე ბანდნენ, მეფეს თვალებიც აეხილა ყველას გასაკვირად.

წამოვიდა მებატე, გაიხადა სამეფო ტანისამოსი, დაკეცა, შეახვია, ამოიღო პატარა ჯოხი მიწიდან, ოქროს კარავიც გაპქრა, რაში, რომელიც მინდორზე ხვიხვინებდა, მიუახლოვდა მებატეს, ფეხებით ბდლვერს ადენდა. ამოიღო მებატემ ძუა, შეახვია, ისევე ჯიბეში შეინახა და რაშიც თვალის დახამხამების უმაღლ გაპქრა, დაიხურა თავზე თავისი ტყაპუჭი, ჯაგლაგს მისდია.

მოვიდა მებატე შინ, ჯაგლაგი ცხენი დაუბრუნა და ერთიც დაცინვა მიიღო, ამას რომ არ ეპოვნა ირემი და ირმის რძე, რა გვეშველებოდა, მან არაფერი არ სთქვა, არც ცოლს გაუმხილა, რაც მოხდა, განაგრძეს ცხოვრება ჩვეულებრივად.

მორჩა მეფე, თვალებიც აეხილა. ერთ დროს მეფეს ომი გამოუცხადეს. შეიარაღებულ ჯარს მეფე თვით მიუძღვოდა წინ, სიძეები კი მთავარსარდლებად დანიშნაორივენი.

დაიწყო ომი, მეფეს მტერმა დიდი ძალი გაუწყიტა, მისი მთვარსარდალი სიძეები კი ერიდებიან ხელჩართულ ბრძოლას, მებატე კი შორიახლოს მიჩერებია ამ სურათს, თუ როგორ მარცხდება მეფის ჯარი. ამოიღო ჯიბიდან შეხვეული ძუა, გაჩნდა მის წინ, ისევ ხვიხვინით მისი რაში. მოიხადა თავიდან ტყაპუჭი, გადმოეყარა ოქროს ქოჩორი მხრებამდე, შემოტრიალდა, შეიმოსა სა-

ომარ ტანსაცმელში, ხმალ-ხანკლით ხელში, დატრიალ-და ბრძოლის ველზე, ჩაერია მტრის ბანაკში, რამდენიც ხმალს მოიქნევდა, ათობით იხოცებოდა მტრის ჯარი. რაშის ფეხქვეშ ჭიანჭველასავით ისრისებოდნენ. უკვირს ყველას, ვინ არის ეს ოქროსქოჩრიანი ჭაბუკი, რომ მტრი მთლად გაწყვიტა და თვითონ კი არწივივით დაქროლამსო.

შეშინებული და დაბნეული მტერი დამარცხებული გაბრუნდა. ოქროსქოჩრიანმა თავისი ხელი გაიჭრა, მეფემ ამოიღო ჭიბიდან ბალდადი და შეუხვია, გადაკოცნა და თავისი ბეჭედიც თითზე გაუკეთა.

გამარჯვებული მეფე დაბრუნდა შინ, ძალიან უნდოდა იმ ოქროსქოჩრიანი ჭაბუკის ვინაობა გაეგო.

მებატემ კი, როგორც შეახვია ძუა, რაში გაქრა, თავზე თავისი განუყრელი ტყაპუჭი დაიხურა და შეხვეული ხელით გასწია შინ.

გამარჯვებულ მეფეს იმ ღამეს მოაგონდა თავისი დაჩაგრული ქალიშვილი, სთქვა: წავიდე, ერთი ვნახო რასა იქმს ის ჩემი გაჭირვებული შვილიო.

მივიდა ქალიშვილთან, მებატეს ცოლს ძალიან გაუკვირდა მამის მისვლა, გაეხარდა კიდეც, იქნება შემირიგდესო.

მეფემ დაინახა, სიძე დაღლილი ისვენებს, ხელი მაღლა აუწევია, მეფის ბალდადით შეხვეული უჩანს, მეუკითხა:

- ვინ არის, შვილო, ეს კაციო?!
- შენი სიძეა.
- რათ წევს?
- გუშინ გვიან დაღალული მოვიდა და ისვენებს.

მეფემ იცნო თავისი ბალდადი და ბეჭედი, გააღვიძა,



გამოკითხა ვინაობა. სიძემ კითხა:

- ვინ მოგარჩინა, ვინ გამოგიგზავნა ირმის ხორცი და რძე?..
- არ ვიციო.
- მე გამოგიგზავნე, ორივე ჩემს ქვისლებს ნიშანი მე დავუსვი.

- დაუჭერებელი ამბავია, რად არ თქვეს სიძეებმა!..
- ნახეთ მეფე, ორივეს მარჯვენა ყურის ბიბილოებია გაჭრილი და საჯდომის დუმაზე დაღი აქვთ ჩემი რაშის ნიშნით.

მეფეს მაინც ეჭვი ეპარებოდა, რომ ეს კოჭლი და ტყა-პუჭიანი მებატე ასეთ გმირობას ჩაიდენდა, მაგრამ მისი ბეჭედი და მისივე შეხვეული ბაღდადიც მის თვალწინ იყო. მაინც მეფემ მოიწვია მთელი თავისი სახელმწიფოს ჯარი და ჯამაათი, გამართა დიდი ლხინი.

წვეულნი შეიკრიბნენ, ილხინეს. ბოლოს მეფემ გამოაცხადა ყველას გასაგონად:

- ჩემო ერთგულო ხალხო, მე ვიყავი ბრმა და მძიმე ავადმყოფი, თქვენ იცით, მომარჩინეს ირმის რძით და ხორცით, ის კი არ ვიცი, ვინ გამომიგზავნა, ამისთვის ჩემი ბრძანებაა, ყველამ მოიხადოს თავზე ქუდები და ჩაიხადოთ ნიფხვები და მე ჩემის თვალით უნდა დავინახო, ვის ამის ნიშანი გამომგზავნისა.

ხალხი იქვე დათანხმდა, მეფემ ყველას ჩამოუარა, ვე-რავის უნახა. ნაზირი და ვეზირი კი ჩუმად შორიახლოს უყურებდნენ სეირს, თვითონ არც ქუდები მოიხადეს და არც ნიფხვები ჩაიხადეს, ეგონათ, ჩვენ ვინ გვაკადრებსო. მეფე მიუახლოვდა ნაზირსა და ვეზირს, თავისი ხელით მოხადა ორივეს ქუდები, ნახა მარჯვენა ყურის ბიბილოები გაჭრილი, საჯდომის დუმაზე ორივეს დაღი ასვია

რაშის ნიშნით.

ნაზირი და ვეზირი შერცხვენილნი და გაწბილებულნი მიიმალნენ. მეფის სტუმრებმა გაიგეს, რომ მეფეს ირშია ხორცი და რძე გამოუგზავნა თავისმა მესამე სიძემ და ომშიაც მტერი დამარცხებული უკუაგდო.

მეფე შეეკითხა ხალხს:

— ჯამაათო, ვის ეკუთვნის ჩემი ტახტი და მემკვიდრეობა?

— მებატეს, მებატეს! — იყო ხალხის ხმა.

მებატემ მოიხადა თავზე ტყაპუჭი, გამოუჩნდა ოქროს ქოჩორი, ამოიღო პატარა ჭოხი, დაასო, გაჩნდა ოქროს კარავი, შევიდა, ჩაიცვა სამეფო ტანსაცმელი, ამოიღო, გახსნა შეხვეული ძუა, გაჩნდა მის წინ რაში. უყურებს ამას ყველაფერს ხალხი და მხიარულობს, იცინის, აღტაცებაშია.

გადმოვიდა მეფე ტახტიდან, დაულოცა სიძეს და იცხოვრეს ბედნიერად, ნაზირი და ვეზირი კი გაწბილებულნი დარჩნენ.

ნათქვამი: ეკ. ანტონოვისა

„კეგეწია“

## ლეგენდა სოლომონ ბრძენზე

დავით მეფის დროს, როდესაც მისი შვილი სოლომონი ჯერ კიდევ მხოლოდ ცხრა წლისა იყო, მოხდა ასეთი ამბავი:

ერთ ქალსა და კაცს ჰყავდათ ერთადერთი ვაჟი, სხვა შვილი არ გააჩნდათ და ძალიან გულით უნდოდათ, რომ მათი ვაჟი ნასწავლი გამოსულიყო. სიმდიდრე ბევრი ჰქონდათ, ყმებიც ბლომად ჰყავდათ, თვითონ კი ერთ მოყრუებულ ადგილზე ცხოვრობდნენ, სადაც ადამიანის ფეხი იშვიათად დაიდგმებოდა.

მშობლებმა თავისი შვილი ერთ-ერთ დიდსა და სახელოვან ქვეყანაში გაგზავნეს სასწავლებლად. არაფერს ზოგავდენ მისი სწავლისთვის, მამა ხშირად მიაკითხავდა შვილს, ინახულებდა, ცოლისა და ოჯახის ამბავს აცნობებდა, დატკბებოდა თავისი საყვარელი შვილის აღერსით და შინ დაბრუნდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ვაჟის დედა გარდაიცვალა, ქმარება დაასაფლავა ისრაელის წესისამებრ, იგლოვა თერთმეტი თვე და როდესაც გლოვა გაათავა, ისევ შვილს მიაკითხა, მხოლოდ დედის გარდაცვალება არ გაუმხილა, რომ გული არ აეცრუებინა შვილს სწავლაზე. ჩვეულებრივ დაბრუნდა შინ, გახდა ავად და მამაც გარდაიცვალა. თავისი ქონების მომვლელად ერთ-ერთი უერთგულესი ყმა დატოვა, შვილის დაბრუნებამდე.

გაიარა რამოდენიმე წელიწადმა, შვილმა სჩავლა  
დაამთავრა და ოჯახს დაუბრუნდა. წინ მამის დატოვებუ-  
ლი ყმა გადაეღობა და არ შეუშვა სახლში:

— ვინა ხარ, ან სადაური ხარ, ეს სახლი და ქონება, მე  
მამაჩემმა დამიტოვა, შენ საიდანაც მოსულხარ, იქითვე  
წადი, შენი აქ არაფერია.

დაღონებული შვილი გამობრუნდა და დაიანისთვის  
მეფე დავითს მიმართა და აუხსნა საქმე, როგორც მოხდა.

დავით მეფემ დაიბარა ის ყმა, ბევრი დაკითხა, ბევრი  
ცნობა ჩამოართვა, მაგრამ არ იქნა და ვერ ათქმევინა,  
რომ მემკვიდრე თვითონ არ იყო. შვილი კი დაჟინებით  
მოითხოვდა თავისი ქონების დაბრუნებას. მხოლოდ მო-  
წამე კი არავინ აღმოჩნდა, დაედასტურებინა შვილის სი-  
მართლე.

პატარა სოლომონი მიუახლოვდა მამას და მოახსენა:

— მამა ბატონო, თუ ნებას მომცემთ, მაგ საკითხს მე  
გამოვარკვევ, სულ მოკლე ხანში.

დავით მეფეს გაეცინა, გაიფიქრა, ამ პატარა ბავშვსა  
რა უნდა გამოარკვიოს, ან საიდან შეუძლია სიმართლე  
გაიგოსო, მაგრამ მაინც მისცა ნება ჩარეულიყო ამ საქმე-  
ში. პატარა სოლომონმა ჰკითხა ნამდვილ მემკვიდრეს:

— სად არის მამაშენი დასაფლავებული?..

შვილმა მიუგო:

— მე სასწავლებლად ვიყავი, არ გამიგია მამის  
გარდაცვალება, არც ვიცი მისი საფლავი.

მერე ყმამ უთხრა სოლომონს:

— ჩემი მამის საფლავიც მე ვიცი და მისი ქონებაც ჩე-  
მია.

სოლომონმა გაგზავნა ყმა და დაავალა, იმ საფლავო-  
დან მიცვალებულის პატარა ძვალი მოეტანა.

ყმა მიტრიალდა, გასწია და მოიტანა მიცვალებულის  
საფლავიდან პატარა ძვალი, გახარებულმა გადასცა სო-  
ლომონს.

სოლომონმა ძვალის მიმტანს გამოადენინა ნეკიდან  
სისხლი, შიგ ძვალი ჩაჰყო, მაგრამ ძვალი ოდნავაც არ  
შეიღება, არ მიიღო უცხოს სისხლი.

სოლომონმა ნამდვილ შვილს გამოადენინა ნეკი-  
დან სისხლი, ყველას თვალწინ ჩაჰყო შიგ ძვალი და და-  
ინახეს, რომ შვილის სისხლი მამის ძვალმა მთლიანად  
შეისრუტა და შეიძლება, რაც დამადასტურებელი გახდა,  
გამოცნობილიყო ნამდვილი მემკვიდრე.

ყმას პირი გაუშავდა, რაღა უნდა ეთქვა, ხოლო ნამდ-  
ვილ შვილს კი ჩააბარეს მამის დატოვებული ქონება.

პატარა სოლომონის სიბრძნე კი უკვე ცის კიდიდან  
კიდემდე მოეფინა.

დავითსაც მოეწონა შვილის სიბრძნე და გვერდით  
მოისვა ყოველი რთული საქმეების გარჩევაში დასახმა-  
რებლად.

ძველ ებრაულიდან ნათქვამი მოშე დავარაშვილისა

## დედინაცვლის დარუში

როდესაც ისრაელებს თავისი საკუთარი სახელმწიფო ქონდათ, ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი პატიოსანი ოჯახი.

ქმარი წავიდა სამუშაოზე, რასაც ღმერთი მისცემდა, ოჯახში მოჰქონდა. ცოლიც ოჯახს ემსახურებოდა. იყო მეტის მეტი ღვთის მოყვარული და ღარიბის შემბრალებელი ქალი, უკანასკნელს ღარიბს აჩუქებდა, შინ რომ არა დარჩენოდა რა, უარით არ გაისტუმრებდა.

ყოველ პარასკევ დილით ქმრის მოტანილ შაბათის ულუფას შეაზე გაყოფდა — ღარიბებს დაურიგებდა. ქმარიც არ უსაყვედურებდა, თვითონაც ებრალებოდა ღარიბი და გაჭირვებული.

ცოლ-ქმარს დაებადათ ქალიშვილი, რაც ძალიან უხაროდათ. ცოლი სწებდა, რომ ხარჯი მოემატათ ბავშვის დაბადების გამო და ღარიბებს იმდენად ყურს ვეღარ უგდებდა, როგორც წინათ, არავის კი არ ეუბნებოდა თავის მწუხარებას.

ერთხელ, როდესაც ქალმა დაიძინა, ხუთშაბათი ღამე იყო, ნაღვლიანი დაწვა, ხვალ პარასკევია, შაბათის ულუფა, ჩვენი ოჯახის სამყოფი ძლივს მაქვს და გაჭირვებულ ღარიბებს რაღა დაურიგოვო.

მას დაესიზმრა ელიაუ ნაბი, რომელმაც აჩუქა ისეთი ცხვირსახოცი, რამდენსაც გაშლის, იმდენიც ასი მანეთი

გაჩნდება ცხვირსახოციქე, მხოლოდ არავის უნდა უთხრას. ქალმა გამოიღვიძა გახარებულმა, ნახა, ხელში ცხვირსახოცი უჭირავს, გაშალა, ასი მანეთი გადმოვარდა. სიხარულისგან ცას ეწეოდა. მოიგონა სიზმარში ნათქვამი, რომ საიდუმლოდ შეინახოს.

ამიერიდან გამდიდრდა მათი ოჯახი, თვითონ არაფერი აკლდათ, ყოველ პარასკევს, დილაობით, გაშლიდა ქალი ცხვირსახოცს, გადმოდიოდა ასმანეთიანი, ყოველ გაშლაზე, რომელსაც ღარიბ-ღატაკთ ურიგებდა, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

ზემოხსენებული ეშეთხაელი ქალი გახდა ავად, დაუძახა ქალიშვილს და უთხრა სიკვდილის წინ:

— შვილო, შენ უკვე მოზრდილი ხარ, ვიცი, ჩემი გარდაცვალების შემდეგ მამაშენი მეორე ქალს მოიყვანს. აი, ჩემო შვილო, გახსოვდეს, გებრალებოდეს გაჭირვებული, არასდროს მათხოვარი ცარიელი არ გაისტემრო; ეს ცხვირსახოცი შენ შეინახე, რამდენჯერაც გაშლი, იმდენი ას მანეთს აიღებ. როგორც ჩემთვის შეგიხედნია, ყოველ პარასკევ დილით დაურიგე გაჭირვებულ ხალხს, მხოლოდ არავინ გაიგოს, თვარა ცხვირსახოცს ძალა გაუბათილდება.

გარდაიცვალა დედა, ქმარმა იგლოვა ერთი წელი-წადი, მანამდე ქალიშვილი ოჯახს კარგად უძღვებოდა, დედის ანდერძს ასრულებდა: ერთი წლის შემდეგ მამამცოლი მოიყვანა, რომელსაც გერი ჭირივით სძულდა, გერის სილამაზე კი იმ ქვეყანაში გაითქვა, ნამდვილი მზე-თუნახავი იყო.

მამისა და დედინაცვლის ჩუმად ქალიშვილი ურიგებდა ფულს ღარიბებს ყოველ პარასკეობით, შაბათის ულუფისთვის.

დედინაცვალი ეძებდა მიზეზს, რამენაირად თავისუან  
მოეშორებინა გერი, ეჩიჩინებოდა ქმარს, მოეჭდა ქა-  
ლიშვილი, მაგრამ მამას ეცოდებოდა შვილი.

დედინაცვალსაც მოყოლილი ქალიშვილი ყავდა, რის  
გამო უფრო აითვალისწუნა გერი. ყველანაირად ცდი-  
ლობდა მისი თავიდან მოშორებას.

ერთ პარასკევს დიღლით, როდესაც გერი ღარიბებს  
ფულს ურიგებდა, წაასწრო დედინაცვალმა, მიუტანა  
ქმარს ამბავი, რომ შენი ქალიშვილი სახლიდან იპარავს  
და სხვებს აძლევსო.

მამა გაუჯავრდა ქალიშვილს, ქალიშვილმა კი ვერ  
სთქვა, საიდანაც მას ფული ქონდა, ჩუმად დაკეცა ცხვირ-  
სახოცი და შეინახა.

რაკი ქალიშვილს „ქურდობა“ შეარქვა, მამამისიც გუ-  
ლაცრუებული გახდა, ცოლიც სულმუდამ ეჩხუბებოდა,  
მოეშორებინა მისთვის „ქურდი“ ქალიშვილი.

თავმობეზრებულმა ცოლის ჩხუბით ერთ ღამეს მძინა-  
რე ქალიშვილი აიყვანა და საწნახელში ჩასვა, ორი ნა-  
ტეხი ხმელი პური თან ჩაუგდო, საწნახელს თავი მაგრად  
დაახურა, ზედ ქვები დააწყო და მიატოვა.

დედინაცვალს უხარია, თავიდან მოიშორა გერი;  
მეოთხე დღეს ქმარს უთხრა:

— წადი, კაცო, ი აყეფებულის დატოვებული ჩაკვ-  
დებოდა, აყროლდება საწნახელში, სუნი შეგვაწეხებს,  
ამოათრიე და სადმე ჩუმად დამარხე.

როდესაც დაღამდა, მივიდა საწნახელთან მამა, მო-  
ხადა თავი, ძლივსღა ასწია მძიმე ქვები, უყნოსა, არავი-  
თარი ცუდი სუნი არ ამოდის საწნახელიდან. გაუკვირდა,  
მოხადა თავი, შიგ ჩაიხედა, რაღაც ბრწყინავს, დააკვირ-  
და, ნახა თავისი ქალიშვილია, კი არ მომკვდარა, ფუანი

პურივით გაღუებულა, ანათებს ყველაფერს მისი სიღა-  
მაზე, სძინავს ანგელოსივით წყნარად; დახურა ისევ და  
ცოლს აცნობა, რაც ნახა.

გაბრაზებული ცოლი დორბლებს ყრიდა სიმწრისგან,  
როდესაც გერის სიცოცხლე გაიგო, ქმარს უთხრა:

— წადი ახლავე, იცოდე, ორივე ხელები მოსჭერი და  
ტყეში სადმე კაცის მიუვალ ადგილზე დააგდე, რომ გზა  
ვერ გაიგნოს, თვარა მაგ შემოჩენილია, რამე ხიფათს  
გადაგვკიდებს აუცილებლად.

— ქალო, შვილია, მეცოდება, როგორ გავიმეტო ამის-  
თანა მზისა და მთვარის მსგავსი შვილი, ხელები დავაჭრა,  
რას ვერჩით, იყოს სახლში, ერთი ლუკმა პური არ მიჭირს  
მაგისთვის, მაგ წმინდანი დედის შვილია, ეშეთხაელი  
იყო დედამისი, გამჩენი სწყალობდა, მაგასაც მისი მად-  
ლი აქვს, ასე რომ არ იყოს, რამ აცოცხლა სამი დღე და  
ღამე, თავდახურულ საწნახელში ჩაგდებული მზესა გავს,  
უფრო გამშვენიერებულა, თვალი რას ნახავს უკეთესს.

— მე შენ გიბრძანებ, ახლავე დასჭრა ორივე ხელები  
შენს ქალიშვილს და ტყეში წაიყვანო, თვარა მე თვითონ  
გამამ ჩემის ხელით.

შეშინებული ქმარი მიბრუნდა საწნახელთან, ამოიყ-  
ვანა ქალიშვილი, წაიყვანა უღრან ტყეში, თან ალესილი  
დანაც წაიღო; ხელფეხშეკრული ქალიშვილი ზურგზე  
მოისვა, მიდის ტყეში, ქალიშვილი იძახის: „გამაზელე-  
ტობ“ (ესეც კარგია), მამას უკვირს, რად იძახის საბრალო  
ქალიშვილი ამ სიტყვებს, მაგრამ ცოლის შიშით ხმას ვერ  
იღებს, რომ გამოელაპარაკოს გზაში შვილს, შეეცოდება,  
ხელებს ვეღარ მოჭრის, ცოლს რომ მისი მოჭრილი ხე-  
ლები არ მიუტანოს, შავს დღეს დააყენებს.

შუა ტყეში რომ შევიდნენ, ჩამოსვა ზურგიდან ქალიშ-

ვილი, ძირს უსულო საგანივით დააგდო, ამოიღო კაბი.  
დან ალესილი დანა, დასჭრა ორივე ხელები ქალიშვილს  
და ცოლს შინ მიუტანა.

დაწყნარდა ზერეში დედინაცვალი, როდესაც გერის  
ხელები დაინახა, მოისვენა.

დარჩა უღრან ტყეში საბრალო ხელებდაჭრილი, მაგ-  
რამ მაინც გაიძახის: „გამაზელეტობ“.

მობრძანდა ელიაუ ანაში, გამოეცხადა ხელებდაჭ-  
რილს და უთხრა:

— ნუ გეშინია, შვილო, ღმერთი მოწყალეა, ვინც გა-  
გაჩინა, ისევე დაგარჩენს, მე მისგან ვარ გამოგზავნილი,  
შენ როგორც საწნახელში არაფერი გაგჭირვებია, მე გი-  
ნახავდი, არც ამ ტყეში არაფერი გაგიჭირდება.

— „გამაზელეტობ“, — უპასუხა ქალიშვილმა.

აგდია ხელებდაჭრილი შეაგულ ტყეში, სადაც ადამი-  
ანის ფეხი არ დაიდგმება, იმედს არ კარგავს, არც შია და  
არც სწყურია, გული მაძღარი აქვს, ირგვლივ ანგელოზები  
— მალახ გაბრიელი და მალახ რეფიელი თავზე ადგიან. კუ-  
რავითარი ტყის ნადირი მას ვერ მიეკარება; სხვა ხელქვე-  
ითი ანგელოზები, დღეში ოთხჯერ, ცხელ—ცხელს საჭმელს  
მოართმევენ, რასაც კი მოისურვებს ხელებდაჭრილი.

ბრუნავს მისი სილამაზით არემარე, ვერავინ ბედავს  
ახლოს მიკარებას, მისი შექისგან თვალები ბრმავდება,  
ვერ უძლებს სინათლეს დამნახველი.

ზის ხელებდაჭრილი ხის ქვეშ და ანათებს მზის მსგავ-  
სად.

გაიარა მეფიჩხემ, ტყეში ფიჩხებს აგროვებდა, დაინა-  
ხა შორიდან, რაღაც ბრწყინავს, მიიწია ახლო, შეეკითხა:

— შენ ღვთისა ხარ, ღმერთი შენია, ვინ ხარ, რა სუ-  
ლიერი ხარ, მავნე ხარ თუ უვნებელი, ნუ დამაზარალებ,

ერთი გაჭირვებული მეფიჩხე ვარ.

ხელებდაჭრილმა უპასუხა სიცილით:

— ნუ გეშინია, არა ვარ მავნებელი, ცუდათ არ ვისუნდებ, ადამიანის შვილი ვარ, გაიარე შენს გზაზე, ახლოს ჩემთან ნუ მოხვალ.

გაკვირვებული მეფიჩხე გამოვიდა თუ არა ტყიდან, ხმა გაავრცელა, რაც ნახა ტყეში ან როგორ ანათებს ლამაზი ქალი, ბნელში მზესავით ბრწყინავს, არავის კი არ ერჩის.

იმ დროს მეფის შვილმა თავის ვეზირს დაავალა, წაეღო ოქროს ქოში, მის სახელმწიფოში ჩამოეტარებინა და რომელ ქალსაც ის ქოში ფეხზე მოერგებოდა, მოეყვანათ მისთვის საცოლედ.

ვეზირმა შემოიარა იმ ქვეყნის ყველა კუთხე, მაგრამ ქოში ფეხზე არცერთ მათგანს არ მოერგო. ჯერი მოვიდა ხელებდაჭრილის მამის ოჯახზე, მივიდნენ იმ სახლთან, დედინაცვალმა სიხარულით გამოართვა ქოში ვეზირს, შეუტანა თავის ქალიშვილს, ჩააცვა, არ მოერგო, ჩამოჭრა დედამ შვილს ქუსლი, მოერგო ოქროს ქოში ფეხზე, გამოუყვანა ვეზირს და მიახარა, რომ მისი ქალიშვილი ყოფილა მეფის შვილის ზიუღი, შემოუსვა ვეზირს ცხენზე და გაატანა.

გაიარეს ცოტა მანძილი, ვეზირმა დაინახა, ქალს ფეხის ქუსლიდან სისხლის სდის, გახადა ქოში, ნახა, ქუსლია ჩამოჭრილი, იქვე მობრუნდა და დაუტოვა დედინაცვალს თავისი ქალიშვილი.

დარდიანი დედინაცვალი ჰკუიდან იშლებოდა, რომ ქალიშვილს ფეხი დაუხინჯა, ქალიშვილიც დედას ეჩეუბებოდა, რას მერჩოდი, ფეხი წამიხდინეო.

ამასობაში დედინაცვლის ყურამდე მიაღწია მეფიჩხის

გავრცელებულმა ხმამ, ტყეში ლამაზი ქალი აშექებს.

მიხვდა, ჩემი გერი იქნებაო და ქმარს ჩხუბი დაუწიო.

— წადი ახლავე ტყეში, ის სულძაღლის დატოვებული აღბათ არ ჩაძაღლებულა, მოსჭერი მას ორივე ფეხებიც და აქ მომიტანე, თვარა მეფის შვილის ყურამდე მიაღწევს მისი სილამაზის ამბავი, ის ქოშიც მას მოერგება და კიდევაც შეირთავს მას მეფის შვილი.

შეწეხებული მამა წავიდა ისევ ტყეში, მონახა თავისი ქალიშვილი, მოსჭრა საბრალოს ორივე ფეხებიც და შორს ჭაში ჩააგდო უხელფეხო შვილი, მოჭრილი ფეხები ცოლს მოუტანა.

დაწყნარდა დედინაცვალი, აღარც ფეხები აქვს, ჭაში აგდია, ვინდა იპოვნის, მაგრამ ღმერთმა არ მოიძულა ობოლი.

როდესაც მამამისმა ის ჭაში ჩააგდო, მას თან ახლდა ელიაუ ანაბი, ანუგეშა, ამოილო ჭიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი, მისცა შიგ გახვეული ქეთუბით და უთხრა:

— საყვარელო შვილო, ეშეთხელისაო, შენ გითხოვს მეფის შვილი, ამ აბრეშუმის ცხვირსახოცში გახვეულია ქეთუბა, გამზადებული შენი საქორწილო, როდესაც შენი ზიუღი შენთან მოვა და სულ მელეც მოვა, გახსენი ცხვირსახოცი, მოისვ-მიისვი ხელ-ფეხზე და გაგიმთელდება, გაშალე ქეთუბა, მე იქვე გავჩნდები, მე თვითონ წავიკითხავ ქეთუბას, ნუ გეშინია.

გაქრა ელიაუ ანაბი, დარჩა ჭაში უხელფეხო ობოლი, აშექებს ჭა, როგორც მზის სვეტი, ანგელოზები ისევე თავს დასტრიალებენ და ემსახურებიან, წყალი კი არ ეკარება, არ სველდება.

ვეზირი ხელცარიელი დაბრუნდა. მოახსენა მეფეს, რომ არცერთ ქალს მის საბრძანებელში არ მოერგო ოქროს ქოში.

ნაწყენი მეფის შვილი თვითონ წავიდა ქალის საძებ-ნელად, თავისი მხლებლებით, შევიდნენ ერთ უღრან ტყეში, გაიარეს ტყე. შარაგზას მიუახლოვდნენ. მეფის შვილს წყალი მოსწყურდა, აიღო თავისი ვერცხლის სურა და მხლებელს მიაწოდა წყალის მოსატანად. მხლებელი მივიდა ჭახთან, ჩაიხედა შიგ, მზის მსგავსი ქალი ზის, შეკრთა, უკან დაიხია, თვალთ დაუბნელდა შიშისაგან, მხლებელმა რომ წყალის მოტანა დააგვიანა, მეფის შვილი თვითონ წავიდა, ენახა, რად დაიგვიანა მხლებელმა, მიუახლოვდა ჭას, ნახა, გულწასული მხლებელი იქვე წაქცეულა და სურა კი ძირს მიწაზე დავარდნია. მიიხედ-მოიხედა, ასწია სურა და ჭას მიადგა წყლის ამოსალებად, რომ გულწასული მხლებელი მოაბრუნოს, ჩაიხედა ჭაში, ქალი მზესავით აშუქებს, ჩასძახა:

— ვინ ხარ, ან სადაური ხარ, შენ მავნებელი იქნები, ეს ჩემი მხლებელიც შენ დაგიზარალებია, წყალს დაპატრონებიხარ, სასმელად აღარ ვარგა, სთქვი, ვინა ხარ?..

— ნუ გეშინია, ბატონო, მე ადამიანის შვილი ვარ, არც არავის ვაზარალებ, არც წყალს არავის ვუკავებ, ჩამო-უშვი ჭურჭელი, წყალი სუფთა არის და ინებე! — ამოსძახა ქალმა.

გაკვირვებული მეფის შვილი ჩავიდა ჭაში, ამოიყვანა უხელფეხო ქალი, რომელსაც იღლიაში გახვეული რაღაც ქონდა, დასვა მოლბე, მზეს აბნელებდა მისი სილამაზე.

გამოკითხა ვინაობა. ქალმა უამბო, რაც თავს გადა-ხდა. შეეცოდა მეფის შვილს და უთხრა:

— შენ რომ ხელფეხი გქონდეს, სწორედ შენ იქნებოდი ჩემი ყისმათი, უხელფეხოს კი ვერ გითხოვ, საბრალო!..

ქალმა გახსნა ცხვირსახოცი, უთხრა მეფის შვილს, მიესვ-მოესვა მისთვის, მეფის შვილი ასეც მოიქცა. ქალს

გაუმთელდა ხელფეხი. აიშოლტა მზეთუნახავი, შევწინ-  
ერი, უმზერს მეფის შვილი, უცინის ქალი.

ამოიღო მეფის შვილმა ოქროს ქოში, ჩააცვა ფეხზე,  
ქალს მოერგო. როგორც საკუთარ ფეხზე შეკერილი.

გაუწოდა მეფის შვილმა ქალს ხელი, სთხოვა, კინონი  
მიეცა, რომ ცოლად გაყვებოდა. ქალმაც გაუწოდა ვაჟს  
ხელი და გაშალა ქეთუბა. გაჩნდა ელიაუ ნაბი და დააზი-  
უღა ტყის პირად წყვილი, დალოცა ახალი დაქეთუბებუ-  
ლი ქალ—ვაჟი, ქალს უთხრა, ცხვირსახოცი დედის ან-  
დერძისამებრ გამოეყენებინა, ვაჟს გაუწოდა ერთი დიდი  
კელაპტარი, უთხრა:

— თქვენ, შვილებო, იცხოვრებთ ბედნიერად, თქვენზე  
ბეყებრათაელი ვერ ისუნტლებს ყაინარაყი, ვერც მეტ-  
რი გაიხარებს თქვენზე, სანამდე ტკბილად იცხოვრებთ.  
ერთი წლის შემდეგ დაგებადებათ ვაჟი, სახელად მას  
უწოდეთ ელიაუ, ეს კელაპტარიც მაშინ აანთეთ, მეც მო-  
ვალ იმ დროს და ვიქნები მოელი და სანდაკიც. იძლი-  
ერეთ, გამრავლდით, გაივსოს ქვეყანა თქვენი ნაშიერით;  
ერთიც გახსოვდეთ, მტერს არ უნაჭმეულოთ.

გაქრა ელიაუ ნაბი, ათასმა ანგელოზმა ზეციდან დას-  
ძახა: „ქალ სოსონ“.

მეფის შვილმა წაიყვანა სასახლეში მშვენიერი დე-  
დოფალი. ოთხი კუთხით მოდიოდნენ მეფის სასახლეში  
მზეთუნახავის სანახავად. მეფის სასახლეში მედამ სუფ-  
რა იყო გაშლილი, ყველა მომსვლელი იღხენდა. მეფეს  
ხელგაშლილი ცხოვრება მანამდეც უყვარდა, მაგრამ  
რძლის მოყვანის შემდეგ, უფრო გაშალა ხელი, ყველა  
გაჭირვებულს, ქვრივ-ობლებს და უპატრონოებს, უფრო  
მეტად ეხმარებოდა. რძალი ყოველ ცხვირსახოცის გაშ-  
ლაზე ას მანეთს იღებდა.

მეფის შვილი და რძალი ცხოვრობდნენ მხიარულად, ტკბილად, ცოლი ქმარს არ კითხავდა და ქმარი კიცოდას, ისინიც ისე ეხმარებოდნენ ღარიბებს და ქვრივ-ობლებს.

ასე გაიარა ცხრა თვემ. როდესაც შესრულდა ცხრა თვე, ცხრა დღე, ცხრა საათი და ცხრა წამი, მეფის რძალს ასტკივდა მუცელი, დაებადა მმვენიერი ვაჟი, რომელიც სილამაზით დედას არ ჩამოუვარდებოდა.

მეფეს ეწვიენ მრავალი სახელმწიფოს დიდებულნი, მიულოცეს სანდაკობა, ილხენდნენ და იმღერდნენ.

მერვე დღეზე, როგორც ისრაელის წესია, ბავშვის მოსანათლავი გაამზადეს, ოთხი კუთხივ გაწყობილი სუფრები სავსე ხალხით უცდიდნენ მოველს, სხვა ყოველივე მზად იყო, მოსანათლავი ბავშვი დაბანგული (ებრაული წესის მიხედვით, ბავშვს (ვაჟს) წინთდაცვეთამდე დაბანგავენ. ბანგს ამზადებენ ტკბილი ღვინით და შაქარყინულით) იყო, მამაც გამზადებული ხოსოფ თუფალინში გახვეული, როდესაც მეფემ იკითხა, მოიხმო შვილი.

— შვილო, ქვეყანა ხალხი მოწვეულია, სანდოთ ვემზადებით, მაგრამ მოველი ვინ არის, რად არ ვიცი?..

— მამაჩემო, ქისი ელიაუ (სანათლი მოწყობილობა, რომელზედაც, მორწმუნეთა აზრით, ელიაუ ანაბი უნდა დაჯდეს მიღის დროს) დადგი, ახლავე მოველიც გაჩნდება, მხოლოდ, მამაშვილობას, არ მკითხო მისი ვინაობა.

მეფეს ძალიან გაუკვირდა შვილისგან ასეთი გაფრთხილება, მაგრამ თავი შეიკავა, არას შეეკითხა, გაამზადა ქისიელიაუ.

გაიღო კარი, შემოვიდა თეთრწვერა მოხუცი, ჩამოჯდა ქოსი ელიაუზე. მეფის შვილმა იცნო, ვინც იყო, შეუდგნენ მზადებას სამილოთ. მეფეს უთხრა შვილმა, ხელში კილაპტარი მისცა.

— მამაჩემო, ბეხააბათ, შენია სანდაკობა, მოველუ  
მობრძანდა, ეს კელაპტარი შენ აანთე, სხვას არ მისცე

მეფემ მოსანათლავი კალთაში ჩაისვა, ჭამაათმა  
ეიშალამი დასძახა, დიდი ზეიმით მონათლეს ბავშვი, სა-  
ხელად ელიაუ უწოდეს. დალოცა მოველმა ახალი ოჯახი,  
თვითონ მხოლოდ კიდუში აკურთხა და წავიდა, სეყუდას  
აღარ მოუცადა, ჭამაათი მიცდისო. მოლას სეყუდა ქვეყა-  
ნას მოეფინა თავისი სიუხვით.

ქალის მამა მათხოვრად დატიოდა, მოესმა, მეფის  
სასახლეში მოლა არისო და გასწია, იქნებ ერთი ძვალი  
მაინც მერგოს. მივიდა, მიიწვიეს სუფრაზე, დაკონკილი,  
დაგლეჯილი ტანისამოსით, ხარბად დაიწყო ჭამა, თან  
ჯიბეები გაივსო საჭმელებით ოჯახში წასაღებად, ქალიშ-  
ვილმა იცნო მამა, მიუახლოვდა, გული აუჩუყდა, უბრძანა  
მოახლეებს, რომ ამ მენედაბესთვის გაეხვიათ ბლომად  
საგზალი, შინ გაეტანებინათ. ასეც მოიქცნენ, გაუკვირდა  
მოხუცს, რატომ მარტო მე მომექცნენ ასე ყურადღებითო.  
ახედ—დახედა ქალიშვილს და გაიფიქრა, სად გააჩინა  
ღმერთმა ჩემი უბედური ქალიშვილის მსგავსი, რომ ჩემი  
გასახმობი ხელებით არ დამეჭრა ხელფეხი და ჭაში არ  
ჩამეგდო, ის მეგონებოდაო. გადაუხადა დიდი მადლობა  
და შინ სავსე წავიდა.

მიეჩვია ეს მენედაბე მეფის სასახლეს, რამდენიც მივა,  
ქალიშვილი გაშლის ელიაუ ანაბის მიცემულ ცხვირსა-  
ხოცს, აიღებს ას მანეთ ფულს და გაატანს, დარიგებაც  
ახსოვს, მტერს არ უნაჭმეულოთო. მამას არ გაუმხილა  
თუ მისი შვილი იყო. ქმარს კი გამოუტყდა, რაც გაიარა  
დედინაცვლისგან, ან რაც მამამისმა უყო. ქმარიც არ უშ-  
ლიდა მამის შებრალებას.

ნათქვამი ხავა ხანანაშვილისა

## ძველებრაული დარუში

აღმოსავალი  
კა ქართველი დაცვისა

იყო ერთი დიდებული ხელმწიფე, რომელსაც ეპყრო  
ქვეყანა, აღმოსავლეთიდან – დასავლეთამდე და სამხ-  
რეთიდან – ჩრდილოეთამდე. მისი სიმდიდრე განთქმუ-  
ლი იყო ცის კიდიდან კიდემდე.

ხელმწიფეს ყავდა მთავარი ვეზირი და მრჩეველი  
ჰკვიანი კაცი გომენი, რომელსაც დიდ პატივს სცემდა და  
ძალიან ბევრსაც უჭერებდა.

ხელმწიფეს ყავდა აგრეთვე ერთი რაბი, ჰეკუისა და  
სიბრძნის დამრიგებელი. იმდენად აფასებდა და პატივს  
სცემდა ხელმწიფე რაბის, რომ მის შეუკითხავად არავი-  
თარ საკითხს არ გადაწყვეტდა.

იმოდენად უყვარდა ხელმწიფეს რაბი, რომ მისთვის  
ცალკე ქაშერი სასადილო ქონდა სასახლეში, რადგანაც  
რაბი, როგორც ებრაელი, არაებრაულ სასმელ-საჭმელს  
არ მიირთმევდა, ნდობითაც რაბის ყველაზე მეტად ენ-  
დობოდა, რადგანაც გამოცდილი ყავდა მრავალჯერ.

გომენს რაბი ეჭავრებოდა, არ იქნა და ვერაფერი ვერ  
მოახერხა, რომ ხელმწიფესთვის შეეძულებინა რაბი.

ხელმწიფე ურაბოთ არცა სვამდა, არცა სჭამდა. არადა  
არაფერ მნიშვნელოვან საკითხს კვლავაც არ სწყვეტდა.

გომენი კი უფრო და უფრო ბრაზდებოდა.

ერთ დღეს გომენმა დაინახა, რომ რაბიმ მეჩექმეს

სახელოსნოში შეუხვია. შორიახლოს უდარაყა, როდე-  
საც რაბი სახელოსნოდან გამოვიდა და ხელმწიფის სა-  
სახლისაკენ გასწია, გომენი სახელოსნოში შევიდა და  
იკითხა, რად იყო იქ რაბი. მეჩექმემ უთხრა, რომ შეუკე-  
თა ფეხსაცმელი და უნდა შეუკეროს რამდენიმე დღეში.

გომენმა უთხრა მეჩექმეს:

— მე, ხომ იცი, რომ ხელმწიფის უფროსი ვეზირი ვარ  
და უჩემოდ ხელმწიფე არავითარ საკითხს არ გადა-  
ჭრის... შენ ისიც იცი, რომ მე ვინც მინდა, მას გავაძედნი-  
ერებ და ვინც არ მინდა, მას გავაუბედურებ... პოო და შენ  
უნდა გააკეთო ის, რასაც მე გეტყვი. შენ რაბის ფეხსაც-  
მელის ორივე ქუსლებში უნდა დაატანო ის ქაღალდები,  
რომელსაც მე შენ მოგიტან.

— რისთვის ბატონო გომენო, რა დააშავა იმ ისრა-  
ელის რაბიმ, ისიც ხომ ჩვენი ხელმწიფის ერთგული კა-  
ცია, რას ვერჩი, ვერ ვიქ მასეთ საქმეს, რაც უნდა გეწყი-  
ნოს. — უპასუხა მეჩექმემ.

— შენ რომ გეუბნები, ის უნდა გააკეთო, თვარა ბო-  
ლოს იცოდე ინანებ. — მუქარით გაუმეორა გომენმა, მაგ-  
რამ მეჩექმემ მაინც უარით გაისტუმრა.

მეორე დღეს ისევ მივიდა გომენი მეჩექმესთან იმავე  
წინადადებით და მიუტანა ორი ქაღალდის ნაჭერი, რო-  
მელზედაც გამოხატული იყო ის კერპი, რომელსაც ხელ-  
მწიფე ეთაყვანებოდა.

ბევრი იუარა მეჩექმემ, მაგრამ როდესაც გომენმა მას  
ათი ცალი თითო თუმნიანი ოქრო წინ დაუწყო და თან შე-  
პირდა, რომ ამ ამბავს ვერავინ გაიგებს, ფულმა და მუქა-  
რამ გასჭრა. მეჩექმე დათანხმდა.

გაიარა რამდენიმე დღემ. დანიშნულ დროზე მოვიდა

რაბი, გაისინჯა ფეხსაცმელი, მოიწონა, გაუსწორა მეჩექ-  
მეს ანგარიში და წაიღო ფეხსაცმელი, რომელსაც ორივე  
ქუსლებში დატნეული ქონდა კერპის ხატი, ხელმწიფის  
სათაყვანებელი.

წაიცვა რაბიმ ახალი ფეხსაცმელი, ჩვეულებრივ მე-  
ფეხსთან გასწია.

გომენმა გაიხმო ცალკე ხელმწიფე და უთხრა:

— დიდო დიდებულო, ოთხი კუთხის მბრძანებელო  
ხელმწიფეო! დიდი ხანია, რაბის ორგულობას ვამჩნევ, ის  
თქვენთან მლიქვნელობს, თქვენი მტერია, თქვენი გულ-  
კეთილობით სარგებლობს და თქვენს სარწმუნოებას  
ფეხქვეშ სთელავს.

— ეგ შეუძლებელია, რაბი პატიოსანი და ჩემი ერთგუ-  
ლი კაცია, გომენ, ეგ ცილისწამებაა.

— დაგიმტკიცებ მეფეო, თუ მე ვსტყუი.

— ვერ დამიმტკიცებ, შეუძლებელია, ის შენ გძულს.

— ნუ განრისხდებით, დიდებულო მეფევ! დამიგდეთ  
ყური, ხვალ დილამდე გაიგებთ თქვენ რაბის ერთგულე-  
ბას...

— სთქვი... რაც იცი... აღელდა ხელმწიფე.

დიდი ხანია თვალს ვადევნებ რაბის, მაგრამ თქვენ  
ვერ დაგაჭერეთ, აწი კი ვეღარ იტყვით უარს, რადგანაც  
თქვენის თვალით ნახავთ, როგორ ფეხით სთელავს ის  
ურჯულო რაბი თქვენს სათაყვანებელ ხატს. უბრძანეთ  
კარისკაცებს და მზარულებს. ამაღამ მომეტებული ქაშე-  
რი ვახშამი გაამზადონ, ღვინოც მეტი დააწყონ სუფრაზე,  
რაბი დაათვრეთ, ამაღამ აქვე დააძინეთ, როდესაც ფეხ-  
საცმელს გახდიან, ააძრონ ქუსლები, უბრძანეთ მოგი-  
რანონ და თქვენი თვალით ნახავთ, როგორ აბიაბრუებს

რაბი თქვენს ხატებს.

ხელმწიფემ გასცა ბრძანება, გაამზადეს მომუტებული ვახშამი, დაათვრეს რაბი, იქვე დააძინეს, გააძრეს ფეხზე, ააცალეს ფეხსაცმელებს ქუსლები და ხელმწიფეს თვალწინ უჩვენეს ქუსლებზე დაკრული ხატები.

განრისხდა ხელმწიფე, როგორც არასოდეს, დააკვრევინა ისევ ქუსლები, რაბის არაფერი გაუმხილა, გომენს დიდი მადლობა გადაუხადა, რომ თვალები აუხილა.

ხელმწიფემ დაიბარა მეფეურნე და უბრძანა:

— შვიდი დღე და ღამე ფურნეს განუწყვეტლივ უმატეშა, გაახურე ფურნე, პური არ გამოაცხო, მერვე დღეს ვინც დილით ადრე მოვიდეს შენთან და გითხრას — ხელმწიფემ შემოგითვალა, რა ქენი, რაც მე გითხარი თუ შეასრულეო, — აიყვანე ის კაცი და გახურებულ ფურნეში შესდე დასაწვავად; რაც იმ შვიდი დღის განმავლობაში ფურნიდან შენ ზარალი მოგივა, მე აგინაზღაურებ და ათი იმდენის საფასურს დაგასაჩუქრებ, ოღონდ შენ არსად არაფერი სთქვა ამის შესახებ.

შეუთანხმდა ხელმწიფე მეფეურნეს.

გომენი სიხარულით ცას ეწევა, მიზანს მიაღწია, რაც უნდოდა შეუსრულდა.

რაბი ჩვეულებრივ დადის ხელმწიფის სასახლეში, არ ამჩნევინებენ არაფერს.

მეშვიდე დღეს საღამოთი, ხელმწიფემ უთხრა რაბის:

— დილით ადრე მიდი მეფეურნესთან და უთხარი — ხელმწიფემ შემოგითვალა, შეასრულე თუ არა ჩემი დავალებაო.

წავიდა შინ რაბი, ღამე გათენება ეჩქარებოდა, რომ ხელმწიფის დავალება პირნათლად შეესრულებინა, ის

კი არ იცოდა, თუ რას უპირებდა მას ხელმწიფე.   
გათენდა დილა. წამოდგა რაბი ლოგინიძან თუ არა, იქვე დააპირა მეფერნესთან წასვლა. კიბეზე რომ გამოვიდა, წინ ელიაუ ანაბი შეხვდა ჩვეულებრივი კაცის სახით.

— სად მიბრძანდები, რაბი, ამ დილით ადრე? — შეეკითხა.

— მეფერნესთან მივდივარ, ხელმწიფის დავალება უნდა შევასრულო, გუშინ საღამოთი დამავალა.

— რაბი, ჯერ ლოცვაზე წაბრძანდი, ჯამაათი გელოდება, ჯერ ღმერთს ემსახურე, მერე ხელმწიფეს.

დაფიქტდა რაბი, მობრუნდა, სალოცავში გასწია, იქ ჯამაათი ელოდა; შედგა თებაზე, ააბძანა სეფერ თორა, ორშაბათ დილა იყო, გაათავა ლოცვა, გაისტუმრა ჯამაათი და გამოვიდა გარეთ, მეფერნესთან უნდა წავიდეს.

გამოსცილდა თუ არა სალოცავის კარებიდან, წინ დაგლეჭილ-დახეულ ტანისამოსში კაცის სახით ისევ დაუხვდა ელიაუ ანაბი და შეაჩერა, შეეკითხა სად მიბრძანდებიო. რაბიმ უპასუხა:

— ხელმწიფის დავალება უნდა შევასრულო, მეფერნესთან მივირბენ, აგერ, ორ სიტყვას ვეტყვი და ახლავე მოვბრუნდები, ცოტა მომითმინეთ.

— რაბი, თორას მიამადლე, ცოლი ტყეში მომილოგინდა, უპატრონოდ მივატოვე, მეშინია ნადირმა არ შემიჭამოს, ვერც მოველი ვიშოვნე, ვერც ნათლია. იწამე გამჩენი, ნუ დამიბათლებ მილას, ახლოს ვარ, წამომყევი, მე ნათლიაც ვიქნები და მამაც, შენ მონათლე ბავშვი ისრა-ელის დინზე, მერე კი მეფერნესთან მიხვალ, მოესწრები.

რაბიმ ვერ იცნო ელიაუ ანაბი, შეეცოდა ღარიბი კაცი,

ადგა და წაყვა ტყეში. იქვე ახლოს იყო ტყეც.

რომ შევიდნენ ტყეში, ელიაუ ანაბიმ უთხრა:

– მე არც მოსანათლავი მყავს და არც მამა უარ, შენ კი  
ბოლოს გაიგებ, მე ვინც ვარ...

დაბრუნდა რაბი გაკვირვებული, ვერ მიმხვდარიყო,  
რად ემლებოდა ხელი, მისულიყო მეფერნესთან.

ამასობაში შუადღემ მოუწია, გომენმა ვეღარ მოითმი-  
ნა, სანამ გაიგებდა, რაბი მივიდა თუ არა მეფერნესთან,  
გამოეწყო გომენი ძვირფას ტანსაცმელში, გაიკეთა გულ-  
ზე ოქრო-ვერცხლის სამკაულები, აუარ-ჩაუარა ამაყად  
ხელმწიფეს გახარებულმა, ამბის ლოდინში. ეჩქარებო-  
და გაეგო რაბის ფურნეში დაწვა, ამბავი კი არსად ჩანდა.

მოთმინებადა კარგული გომენი თვითონ წავიდა მე-  
ფერნესთან და შეეკითხა:

– მეფერნე, ხელმწიფემ შემოგითვალა, შეასრულე  
თუ არა ჩემი დავალებაო.

მეფერნემ წაავლო ხელი გომენს, დასვა ნიჩაბზე, შეს-  
ვა პირდაპირ ფურნეში და დაწვა.


რაბი წამოვიდა. უკვე შუადღე გადასული იყო, მიადგა  
ფურნესთან და შეეკითხა მეფერნეს:

– შეასრულე თუ არა მეფის დავალება?!

მეფერნემ გაიკვირვა და უპასუხა:

– რაბი, შენ რაღა ცოდვამ აგატრუა, წადი, მოშორდა  
აქაურობას, ესეც არის ერთი საათია მას შემდეგ, რაც გო-  
მენი მოვიდა აქ და ხელმწიფის ბრძანებით, გახურებულ  
ფურნეში დავწვი, შენ რაღა გინდა, წადი, გამეცალე აქა  
დან.

დაფიქრებული რაბი პირდაპირ სასახლეში წავიდა.  
ხელმწიფემ რომ დაინახა, გაუკვირდა, აქ რა გინდაო,

რაბის ეჭვი შეეპარა, რადგანაც ყველა მას მიაჩერდა  და  
იკითხა:

– რას მომჩერებიხართ, რაშია ჩემი საქმე?.. მითხა-  
რით, რა მოხდა.

ეკითხებოდა გაკვირვებული რაბი და თვალებს აქეთ—  
იქეთ ატრიალებდა. სასახლის ხალხიც გაკვირვებით უმ-  
ზერდა ცოცხალ რაბის, რომელიც დამწვარი ეგონათ.

ბოლოს ხელმწიფემ უამბო რაბის, როგორ გაიგო რა-  
ბის „ღალატი“-ს ამბავი და შეეკითხა, რარიგ გადარჩა ის  
დაწვას. რაბიმაც უამბო, რაც მოხდა, ან როგორ გადარჩა  
ის იმ დილით ფურნეში დაწვას, მაგრამ რაც შეეხებოდა  
რაბისგან ღალატს, რაბიმ მოითხოვა, მოეწვიათ შვიდი  
სახელმწიფოსგან თავიკაცები და გამოერკვიათ, თუ რამ-  
დენად დადასტურდებოდა რაბისგან მეფისადმი ღალატი  
და ხატის ფეხქვეშ გათელვა.

მოიწვიეს შვიდი სახელმწიფოს წარმომადგენელნი,  
რაბიმ მოითხოვა, მოეწვიათ ის მეჩექმეც, რომელმაც მას  
ფეხსაცმელი შეუკერა და რაბის გარეშე დაეკითხათ, რო-  
გორ მოხდა, რომ ქუსლებში ხატები იყო ჩაწყობილი, რის  
შესახებ რაბიმ არა იცოდა რა.

დადგა გასამართლების დღე. მოგროვდა შვიდი სა-  
ხელმწიფოსგან წარმომადგენელნი, მოვიდა ის მეჩექ-  
მეც, რომელსაც სიცოცხლის ფერი სახეზე აღარ ედო ში-  
შისაგან. იმსჯელეს, არცერთი იმ ქვეყნის და არც უცხო  
ქვეყნის წარმომადგენელს არ გააჩნდა რაბის გასამტყუ-  
ნებელი საბუთი, პირიქით, ყველა რაბის სასარგებლოდ  
ლაპარაკობდა. მიდგა ჭერი მეჩექმეზე.

მეჩექმემ სთქვა:

– ვიცი, ასე თუ ისე მე ცოცხალს აღარ დამტოვებს

ხელმწიფის სამართალი, მაინც სიმართლე უნდა გაღარო, რომ ყველამ გაიგოს, რამდენად უდანაშაულო, რაბი ამ საქმეში და რა ბოროტება ჩაიდინა გომენმა.

და მეჩექმემ გულახდილად აღიარა, როგორც იყო, ან როგორ მოხდა, რომ ათი თითო თუმნიანი ოქროთი მოისყიდა ის გომენმა, რის შემდეგ აშკარა გახდა ყველა-სათვის, როგორ ვერ ინელებდა გომენი რაბის და უწყობდა, რამენაირად თავიდან მოეშორებინა სასახლიდან.

ხელმწიფისთვის ნათელი გახდა რაბის უდანაშაულობა. უფრო მეტად შეიყვარა მან ერთგული რაბი, უფრო მიიახლოვა, რომ რაბისგან მეტი სიბრძნე შეეძინა და მუდამ გვერდიდან არ იშორებდა, ტახტზე თავის მარჯვენა ხელი ყავდა ხელმწიფეს, წმინდა, პატიოსანი ისრეელი, ერთგული თავდადებული რაბი, მისი პატივისცემისთვის ისრეელის შვილსაც კაი თვალით უყურებდა და ეხმარებოდა.

გომენმა თვითონვე მიიღო სამაგიერო, რაბის ნაცვლად თვით დაიწვა საკირეს მსგავსად გახურებულ ფურნეში.

ნათქვამი დებორ ციციაშვილისა  
1937 წ. ნოემბერი, ქ. ქუთაისი

ຳ ດົກທຸກ

## დედინაცვლის არაკი

იყო ერთი კაცი, რომელსაც ყავდა სამი ქალიშვილი, ამ კაცს ცოლი გარდაეცვალა. გაუჭირდა შვილების მოვლა და მეორე ცოლი ითხოვა.

დედინაცვალს გერები ჭირივით ეზარებოდა, მუდამ დღე და ღამე ქმარს ეჩხებებოდა, თავიდან მომაშორე ეს გოგოები, თუ არა და მე თვითონ წავალო.

რა ქნას საწყალმა კაცმა, აღარ იცის, ბავშვები ეცოდება, ცოლსაც არ უნდა რომ შეელიოს. იფიქრა თავის მოკვლა, მაგრამ წარმოიდგინა, რომ მისი შვილები უარეს დღეში ჩავარდებიან. იფიქრა და გადაწყვიტა ტყეში წასკლა, იქნება რაიმე გამოხავალი იქ ვიპოვოო.

წავიდა ტყეში, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთი ვაშლის ხის ძირში, ნახა ზედ ვაშლები ასხია მწიფე და მშვენიერი, ძირში კი დიდი ორმოა, უძირო. იფიქრა, მოვიყვან ბავშვებს და სამივეს ამაში ჩავყრიო; მანამდე სამი კარგი ვაშლი მოკრიფა, ერთი ქუდში შეინახა, მეორე ზურგში, მესამე კი ფეხსაცმელში.

მოვიდა შინ მეტისმეტი დაღონებული, ჩამოჭდა ეზოში ქვაზე. დაუძახა უფროს ქალიშვილს:

— მამა გენაცვალოს, ერთი თავი მამიხილეო.

მოვიდა უფროსი ქალიშვილი, მოხადა მამას თავზე ქუდი, ნახა, ერთი მშვენიერი ვაშლი გადმოვარდა, გაეხარდა:

– შენი ჭირიმე, მამაჩემო, ეს რა მშვენიერი ვაშლიმო  
გიტანია, ნეტავი იმ ხესთან წამიყვანა, სადაც ეს ასხია...  
მერე მეორე ქალიშვილს დაუძახა:

– მოდი, შვილო, ერთი ზურგი ჩამფხანეო.

მოვიდა მეორე ქალიშვილიც, ჩაუყო ზურგში ხელი,  
ამოიღო მშვენიერი ვაშლი, შესძახა:

– ჩემო კარგო მამილო, ეს რა კარგი ვაშლი გიპოვნია,  
წამიყვანე იმის ხესთან.

მამაშ მესამე ქალიშვილსაც დაუძახა:

– მოდი, შვილო, ერთი ფეხზე გამხადეო.

მივიდა პატარა ქალიშვილი, გახადა მამას ფეხზე და  
ნახა, რომ მშვენიერი ვაშლი გადმოვარდა, გაეხარდა.

– მამაჩემო, ეს რა კარგი ვაშლი მოგიკრეფია, წამიყ-  
ვანე ამის ხესთან, ერთიც ბლომად ვჭამო და გამოვძღვეო.

შემდეგ ცოლს უთხრა ქმარმა, რომ შვილები ტყეში  
მიყავს და სამგზავროთ ერთი ხურჯინი პური გამოაცხეო.

ცოლმა გამოაცხო თონეში პური, მაგრამ ხურჯინში  
ქვეშ ძროხის ფუნა ჩააწყო, ზევიდან კი ოთხი პური და-  
ალაგა, რომ ქმარს არ შეემჩნია.

ქალიშვილებს უხარიათ, მიდიან ხტუნაობით და სიმ-  
ღერით ვაშლის საჭმელად, მამა კი დაღონებულია, გული  
ნაღველით ევსება, ქალიშვილები მიყავს ორმოში ჩასაყ-  
რელად, დასაღუპავად, ცხარე ცრემლებს ღვრის.

შევიდნენ ტყეში, ქალიშვილებს უთხრა:

– როდესაც მე ტყეში შევალ, ვნახო თუ კიდევ ასხია  
ვაშლი, დაგიძახებთ და თქვენ მერე მოდით, მანამ კი აქ  
მოიცადეთ.

გაუგონეს ქალიშვილებმა, შორიახლოს იცდიან. შე-  
ვიდა მამა ტყეში, მივიდა ხის ძირში და ორმოს ხალიჩა  
გადააფარა, ოთხი კუთხით მძიმე ქვები დააწყო, რომ არ

ჩაწერულიყო სიმძიმისგან შეუგულში.

დაუძახა ქალიშვილებს და უთხრა:

— მამა გენაცვალოთ, მე ხეზე ავალ, ვაშლს დავბერ-ტყავ, თქვენ კი მოაგროვეთ და ხალიჩასთან მიყარეთ, ხალიჩაზე კი, სანამ მე არ გითხრათ, ფეხი არ შედგათ.

ავიდა მამა ხეზე, ბერტყავს ვაშლს, გოგოები სიცილ—კისკისით აგროვებენ და ხალიჩაზე ყრიან, თვითონ კი როგორც მამამ დაარიგათ, ფეხს ხალიჩაზე არ სდგამენ. გაათავა მამამ ვაშლის ბერტყავა, ჩამოვიდა ხიდან ძირს და უთხრა შვილებს:

— აი, ახლა მისცვივდით, შვილებო, გენაცვალოს მამა, თქვენ ვაშლსა და სჭამეთ და აკრიფეთო.

მიადგნენ ქალიშვილები ხალიჩას ვაშლების ასაკ-რეფად, მაგრამ ჩაიწია ხალიჩა და სამივე ვაშლებიანად ორმოში ჩასცვივდნენ.

საბრალო მამა გულდანაღვლიანებული დასცექეროდა თავის შვილებს, დედინაცვლისგან ათვალისწინებულთ, უნდოდა ხურჯინის პური შიგ ჩაუყარა, რომ პატარა ხანს თავი შეექციათ, მაგრამ ხურჯინს მხოლოდ თავი მოხადა, დაინახა, შიგ ძროხის ფუნა აწყვია, გულს შემოეყარა, ეს თხხივე პური მაინც ჩაუყარა და თვალცრემლიანმა შინ ვასწია.

სამი და საცოდავად დარჩნენ ბნელსა და უძირო ორმოში, მწარედ ატირდნენ, არსაიდან სულდგმულის პვალიც არ ჩანდა, რომ ენუგეშებინათ. მერე, ტირილით რომ დაიღალნენ, შიმშილი იგრძვნეს, დაიწყეს ჭამა, სანამ ეყოთ პური და ვაშლი, არა უშავდა, მაგრამ, როდესაც გამოელიათ, მეტად შეწუხდნენ შიმშილისაგან. ბოლოს გადაწყვიტეს:

— მოდი, ვინც ჩვენში ცოტა შარდს იჩამს, ის შევჭამოთ.

ყველაზე ცოტა შარდი პატარამ ქნა, გადაწყდა, რომ  
ორ უფროს დას პატარა უნდა შეეჭამათ, მისცვიფრუნ  
დას შესაჭმელად, პატარამ დაიწყო ტირილი, შეენვეწა:

— ოღონდ ნუ შემჰამთ და მე ვიქნები თქვენი მარჩენა-  
ლი, ერთ ხელს ბარად გავიხდი, მეორეს კი ნიჩბათ.

დებმა დაიჯერეს, აცალეს, პატარამ დაიწყო ხელებით  
მიწის თხრა, თხარა მიწა, ძალიან შორს წავიდა, დებს კი  
შიმშილისაგან მოთმინება დაეკარგათ, იფიქრეს, ის ჩვენ  
გვატყუებს, მოდი, ვეცეთ და შევჭამოთო, მაგრამ ამ დროს  
პატარა დამ ერთი ნუშის კაკალი იპოვა, შუაზე გასტეხა.  
ერთი ნახევარი ერთ დას მისცა, აჭამა, მეორე კი მეორეს.  
დები შეჩერდნენ, აღარ შესჭამეს პატარა და.

პატარა კი თხრის და თხრის ხელებით მიწას, ბოლოს  
ერთი ჭუჭრუტანა დაინახა, საოდანაც სინათლე გამო-  
ჩნდა, გადასწია ხელებით ეს ჭუჭრუტანა ნელ-ნელა და  
დაინახა, ძვირფასი რაშებია დაბმული და ნუშ-ქიშმიშა  
სჭამენ. მივიდა ახლოს, მიიპარა, თითო მუჭი ნუშ-ქიშმიში  
თვითეულ რაშს გამოსტაცა, ჩაიყარა კალთაში, მიუტანა  
დებს და აჭამა.

პატარა დამ კარგა ხანი შეინახა უფროსები რაშების-  
გან მოტაცებული ნუშ-ქიშმიშით.

ერთ დღეს მეფემ რაშები დაათვალიერა და გაწყრა:

— ნამდვილად მსახურნი იპარავენ ნუშ-ქიშმიშს და არ  
აძლევენ სრულ ულუფას რაშებს, რომ გალახულან და არ  
გასუქებულან, ახლავე ყველას თავებს მივაჭრევინებო.

მსახურნი დაემხვენ მეფის წინაშე, მოახსენეს:

— შვიდობით ბრძანდებოდეს მეფე, ჩვენ არას ვაჭ-  
ლებთ, სრულ ულუფას ვაძლევთ რაშებს, ნუ გაგვირისხ-  
დები, თავს ნუ მოგვჭრი, იქნება ვინმე ქურდი ვნახოთო...

მიუჩინეს რაშებს ყარაული, რომ ნახონ, ვინ ქურ-

დობს. ერთმა ყარაულმა პირველი ღამე გაათია, ვერავინ იპოვა, მეორემ მეორე ღამე ათია. ვერც იმან ნახა, დაეძინა. მესამემ კი თითი გაიჭრა, ზედ მარილი გადაიყარა, არ დამეძინოს და წავიდა საყარაულოდ, თითი ეწვის, ვერ დაიძინებს.

შუაღამე რომ გახდა, ყარაულმა დაინახა, ერთი პატარა გოგო მივიდა, რაშებს ჩამოუარა, ყველას წინ თითო მუჭი ნუშ-ქიშმიში ამოსტაცა, კალთაში ჩაიყარა და გარბის. სტაცა ხელი ყარაულმა, იტირა პატარამ, შეეხვეწა ყარაულს:

— შენი ჭირიმე, ნუ მომკლავ, მე ამითი ორ დას ვარჩენ და ჩემს თავსაც ვინახავო.

ყარაულმა არაფრათ ჩააგდო მისი ტირილი, დაიჭირა და მოგვარა მეფეს, ეს ყოფილა ქურდიო.

პატარა მეფეს შეევედრა:

— მაპატიე, მეფეო, ჩვენ სამი დები, რამდენი ხანია, ამით ვირჩენთ თავს, შეგვიბრალეთ, ობლები ვართ.

მეფემ გასცა ბრძანება, მოეყვანათ ორივე დები და წარედგინათ მისთვის. შესრულდა მეფის ბრძანება. და-აყენეს სამივე დები და შეეკითხნენ ვინაობას.

დებმა უამბეს ყოველი, მათი თავგადასავალი, მერე შეფემ კითხა, რის გაკეთება შეგიძლიათო.

უფროსმა თქვა:

— მე იმისთანა ხალიჩის ქსოვა ვიცი, რომ რაც ამ სა-მეფოში ჯარი და ჯამაათია, ყველა ზედ ისხდეს და ნახევა-რი კიდევ დაკეცილი იყოსო, — იცრუა.

მეფეს მოეწონა, ადგა და უფროს ნაზირს მიათხოვა.

მეორემ თქვა:

— მე კვერცხის ნაჭუჭში ისეთ ულუფას გავაკეთებ, რომ მეფის ჯარი დაკმაყოფილდეს და ნახევარი კიდევ დარჩეს.

მეცნიერებების და კულტურული მიმღებელის მინისტრის  
მინისტრობის მინისტრობის

### პატარამ თქვა:

– მე იმისთანა შვილი მეყოლება, რომელიც იქნება  
ოქროს ქოჩირიანი ვაჟი და სხვა რომ წლობით გაიზრდე-  
ბა, ის დღეობით, საათობით და წეთებით იზრდებოდესო.

მეფეს ძალიან მოეწონა მესამე და, ადგა და თვითონ  
შეირთო ცოლად, რადგანაც ოქროსქოჩირიანი ვაჟი მე-  
ყოლება და სხვაზე ადრეც გაიზრდებაო.

გამოაწყეს სამეფო ტანისამოსში პატარა და, რომე-  
ლიც მზესა და მთვარეს გავდა, მისი მსგავსი იმ სამეფოში  
აღარაფერი იყო.

უფროს დებს შეშურდათ დის ბედნიერება, გულგე  
სკდებოდნენ, აღარ იცოდნენ, რით ეყარათ მასზე ყავრი,  
რომ თვითონ არ იყვნენ მეფის ცოლები.

პატარა და ფეხმძიმედ გახდა, მშობიარობის დროც  
დადგა, მეფე იმ დროს არ იმყოფებოდა შინ, თავის სამე-  
ფოს ბოლოში ათვალიერებდა, ნაზირ-ვეზირიც თან ახლ-  
და.

დებს აცნობეს, რომ დედოფალს მუცელი ატკივდა,  
დებმა წინასწარ მოილაპარაკეს, შეუთანხმდნენ ბებია  
ქალს, როგორც კი მათ დას ვაჟი შეეძინა, აიყვანეს ეს  
ახლადაბადებული ოქროსქოჩირიანი ვაჟი, გააპარეს და  
მის მაგივრად ძაღლის ლეკვი შეუწინეს, ვითომ ეს და-  
ებადაო. ოქროსქოჩირიანი ვაჟი კი ჩასვეს ხის ყუთში და  
მდინარე წყალს გაატანეს.

დაბრუნდა მეფე, უამბეს, რომ დედოფალს ძაღლის  
ლეკვი ეყოლა. განრისხდა მეფე. როგორ გამიბედა მე  
მაგან მოტყუება, ოქროსქოჩირიანი ვაჟი მეყოლებაო.

გადმოათრიეს საბრალო ქალი ლოგინიდან, დააგდეს  
კარს უკან, დაუძახეს მთელ სახელმწიფოს ხალხს, ვინც

გაივლიდა და გამოივლიდა, ყველა იმას აფურთხებდა.

ხის ყეთში ჩასმული ოქროსქოჩრიანი ვაჟი მეწისქვილემ ამოიყვანა, გახსნა ყეთი, ნახა შიგ მზისა და მთვარის მსგავსი ოქროსქოჩრიანი ვაჟი და თვითონ აიყვანა, თავის საკუთარ ვაჟთან ზრდიდა.

მეწისქვილის ვაჟი ჩვეულებრივ იზრდებოდა, ოქროს ქოჩრიანი კი ერთი დღისა ერთი თვისას გავდა, ერთი თვისა ერთი წლისას. ერთი წლისა კი ათი წლისას.

ერთ მშვენიერ დღეს ორივენი, ოქროსქოჩრიანი და მეწისქვილის შვილი, ყვავილებს კრეფდნენ წისქვილის გარშემო და მღეროდნენ. მეწისქვილის შვილი ამბობდა:

— ხუსუფანემ, მუსუფანემ, იშანსტე ჰაჩუანემ.

(ცხვრის ფეხები მოვაგროვო, ვირჩე დავჭდე, გავაჭენო)

ოქროსქოჩრიანი კი იმღერდა:

— კოშკ შინემ, სარათა შინემ, მეჩ ნსტემ დივანანემ (კოშკი ავაშენო, სასახლე ავაშენო, შიგ დავჭდე და სამართალიც გადავწყვიტო).

გამოიარა ერთმა მოხუცმა, ყური დაუგდო ყმაწვილების სიმღერას და გასწია. ორივე ბავშვი შორიახლოს მისდევდნენ ხელში ყვავილებით და თან მღეროდნენ. მოხუცს გაუკვირდა მათი სიმღერის სხვანაირობა, მაგრამ არაფერი არ სთქვა, აოცებდა ოქროსქოჩრიანი ვაჟის სილამაზე.

იარეს კარგა ხანს, მოხუცს თან მისდევდნენ ორივენი. როდესაც მეფის კარს მიადგნენ, მოხუცმა, თანახმად მეფის განკარგულებისა, კარზე დაგდებულ ქალს მიაფურთხა და გაიარა, მეწისქვილეს შვილმაც მოხუცის მსგავსად მიაფურთხა და გაიარა. ოქროსქოჩრიანმა კი, მივიდა, ხელში ყვავილი მიართვა და შებლზე აკოცა.

ყარაულებმა რომ ნახეს ეს ამბავი, შეწუხდნენ, მეფე  
მოახსენეს, რაც მოხდა. დაიჭირეს ის მოხუცი, ვისაც ვავი  
მოჰყვა. კითხეს, რათ გაბედა იმ ვაჟმა შეჩვენებულ ქა-  
ლის კოცნაო ან ყვავილის მირთმევაო.

მოხუცმა უფიცა, არ ვიცი, გზაზედ გამომყვნენო. გა-  
იკითხეს ვაჟის ვინაობა, გაიგეს, მეწისქვილისა იყო.

დაიჭირეს მეწისქვილე, მიუყვანეს მეფეს.

მეწისქვილემ უამბო მეფეს, როგორც იყო საქმე:

— ვაჟი ხის ყუთით წისქვილში მუშაობის დროს წის-  
ქვილს მოედვა, გავიხედე, ვნახე, ამოვიყვანე, გავხსენი  
ყუთი, ვნახე მშვენიერი ოქროსქოჩრიანი ვაჟი და ჩემს  
შვილთან გავგარდე, ერთი დღის ერთი თვისას გავდა,  
ერთი თვის კი ერთი წლისას, ერთი წლის ათი წლისას  
გავს, მეც მიკვირს, ვისია ან სადაურია, არ ვიცი.

მეფეს ეჭვი შეეპარა და დაიბარა ცოლის დებიც და  
ბებია ქალიც. ისინი გამოტყდნენ დანაშაულში, რადგან  
შეეშინდათ თავის მოჭრის, პირველად ბებია ქალი გამო-  
ტყდა, მერე დებმაც სიმართლე აღიარეს.

მეფემ ბრძანა დედოფლის ხელახლა სასახლეში აყ-  
ვანა, ისევ ახლად დაქორწინდნენ და ბედნიერი ცხოვრე-  
ბა დაიწყეს ოქროსქოჩრიანი ვაჟით.

ცოლის შურიანი დები და ბებია ქალიც ცხენის კუდგე  
გამოაბეს და დასაჯეს.

ნათქვამი ეგატერინე სერგეის ასული ანტონოვისა  
1937 წ. ოქტომბერი

## მეფიშეის არაკი

იყო ერთი საწყალი კაცი. ყავდა სამი ქალიშვილი. როდესაც ქალიშვილები გაიზარდნენ და გასათხოვარი გახდნენ, მამამ კითხა უფროსს:

- შვილო, შენი გათხოვების დრო მოვიდა, მითხარი, ვის გინდა რომ მიგათხოვო?..
- მამაჩემო, ჩემი ქმარი ოღონდ მდიდარი იყოს და თუ გიდა ბრძა და კოჭლიც იყოს.

მამამ მოუძებნა ისეთი ქმარი, კოჭლი კი იყო, მაგრამ ნახევარი ქალაქის პატრონი იყო. გაიარა ერთმა ხანმა. მერე მეორე ქალიშვილს შეეკითხა მამა:

- შვილო, შენი გათხოვების დროც მოვიდა და მითხარი, ვის გირჩევნია, რომ მიგათხოვო?

– მამაჩემო, კარგი ყოფილა სიმდიდრე, ჩემი და კარგად ცხოვრობს, სინის რძეც კი არ აკლია, მეც მდიდარს გამატანე. თუ გინდა მახინჯი ან გონჯი იყოს.

მამამ მეორე ქალიშვილიც ბრძა მდიდარს გაატანა. მესამე და ხედავს უფროსი დების სიმდიდრეს, მაგრამ დები ეცოდება, ერთს კოჭლი ქმარი ყავს, მეორეს კი ბრძა.

როდესაც მესამე ქალიშვილიც შეიქნა გასათხოვარი, მამა შეეკითხა, როგორც უფროსებს:

- ჩემო პატარა შვილო, მოვიდა შენი გათხოვების დროც, აირჩიე, ვინც გინდა, გაგატან.

– ჩემო საყვარელო მამავ! ოღონდ ჩემი ქმარი ლაპა-  
ზი და ჯეელი იყოს, თუ გინდა ღატაკზე ღატაკი იყოს, რა  
დავიწუნებ.

მამას ერთი მეფიჩხე ბიჭი ყავდა მხედველობაში, რო-  
მელსაც ყოველ დღე ვირით ფიჩხი ჩამოქონდა გახაყი-  
დად, ისეთი ლამაზი იყო, რომ მზესა და მთვარეს გავდა,  
მაგრამ ისეთი ღარიბი, რომ ძონძებში იყო გახვეული.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მეფიჩხე უკან ბრუნ-  
დებოდა, ქალის მამამ დაუძახა და წინადადება მისცა:

– შენ ჩემი სიძე უნდა გახდე, ჩემი პატარა ქალი შენია.

მეფიჩხეს გაუკვირდა, არაფერი გააჩნდა და ვინ აძ-  
ლევდა ქალს. მიიყვანა შინ სასიმამრომ, ჩაისიძა და და-  
აქორწილა.

ცხოვრობდნენ ბედნიერად, ტკბილად, მტრედებივით.

როდესაც ქალი ფეხმძიმედ გახდა, მამამ გამო-  
საცდელად უთხრა:

– თქვენი რჩენის თავი მე სადა მაქვს, ჩემი თავი  
მიჭირს, ხედავთ, მალე სამნი გახდებით, თქვენი თავი  
თქვენვე შეინახეთ.

ძალიან დაღონდა მეფიჩხე, აღარ იცოდა, სად წასუ-  
ლიყო უთვისტომო და გაჭირვებული კაცი, რით შეენახა  
ცოლშვილი, მაგრამ მეტი რაღა ჩარა ჰქონდა. წაიყვანა  
ცოლი ტყეში, ერთი დიდი ხის ძირში ფუღურო მონახა,  
მიწა მოთხარა, ზედ ჩალა გადახურა, წნელის კარი შეაბა,  
შევიდნენ და ცხოვრობდნენ ძალიან ღარიბად, მაგრამ,  
მაინც ძალიან ტკბილად. კმაყოფილი იყვნენ. დილით წა-  
ვიდოდა მეფიჩხე, ფიჩხებს მოაგროვებდა, გაპყიდდა და  
მისი განაყიდით იოლად გადიოდნენ.

ერთ დღეს მეფიჩხის ცოლს, ფეხმძიმედ მყოფს, წნი-  
ლი მოუნდა, ისე უნდოდა წნილის შეჭმა, რომ სურვილი-

საგან ცახცახი დააწყებინა. ქმარს უთხრა, წასულიყო მის უფროს დასთან, მას ბევრი წნილი ექნებოდა შენახული და შეიძრალებდა ფეხმძიმე დას, უარს არ ეტყოდა.

ძალიან დაეგარა მეფიჩხეს კუდაბზიკა ცოლისდასთან წასვლა, რომელიც მათ არ კადრულობდა ნათესავად, როგორც ღარიბებს, მაგრამ ცოლის სიყვარულით მაინც წავიდა.

მივიდა ცოლის დასთან და მორიდებით სთხოვა ცოლისთვის წნილი. ცოლის დამ მედიდურად უპასუხა:

— ლამაზი ქმარი რომ მოგძებნა ჩემმა დამ, სიღარიბეც უნდა აიტანოს, მე კი კოჭლასა და ულამაზოს იმისთვის გავყევი, რომ სიმდიდრე მქონოდა, არ მაქვს წნილი.

გაწბილებული მეფიჩხე ხელცარიელი დაბრუნდა შინ.

ეწყინა ცოლს, მაგრამ წნილის სურვილი მაინც კლავდა.

— შენი ჰირიმე, კი შეგაწეხე, მაგრამ ჩემს მეორე დას უფრო კეთილი გული აქვს, მან ქარქვეტას შენახვა იცის, წადი, მოთხოვე, იქნება მოგცეს, თვითონაც გამოუცდია ეს დღე.

გასწია მეფიჩხემ მეორე ცოლის დასთან ქარქვეტის სათხოვნელად. მეორე დამ ახედ-დახედა დახეულ ძონებში გახვეულ სიძეს, რა საამაყო იყო, ეთქვა მისი ნათესობა. კარებიდან უარით გაისტუმრა.

— ჩემსავით ბრმა ქმარს გაყოლოდა, ლამაზი ქმარი რომ მოძებნა ჩემმა დამ, ქარქვეტაც ბევრი ექნებოდა და სხვაც ყველაფერიო.

მიიხურა კარები და სიძეს არც კი მიუხედა. წამოვიდა გაწბილებული მეფიჩხე. წავიდა ფიჩხის გასაყიდად, რომ ცოლს სადმე წნილი უყიდოს, მიდის დაღონებული, შინ ვეღარ მიბრუნდა ხელცარიელი.

მეფიჩხის ცოლი ღვთის მოყვარული იყო. ინახავდა ყოველ ოთხშაბათის ძალს, პარასკევის ძალს და კვირას ძალს წმინდად. რომ კიდეც ჰქონოდა ხორცეული, ოთხშაბათ და პარასკევს მაინც არ შეჭამდა, კვირა ძალს, რაც გინდა საჩქარო საკერავი ჰქონოდა, მზის ჩასვლამდე ნემსს ხელს გაუშვებდა.

ხედავს მეფიჩხის ცოლი, მარტოა, ქმარმა დაიგვიანა, ასტკივდა მუცელი, ისე ძალიან ასტკივდა, რომ სიმწარით იტირია და კარში გამოვიდა, დაინახა შორიდან მომავალი სამი ქალი, ცოტა იმედი მიეცა, მუცელი უფრო მეტად სტკივა. მიუახლოვდნენ სამივე და ჰყითხეს:

– რად სტირი, დედიჯან, ასე მწარედ?..

– ძალიან ავად ვარ, ქმარი შინ არ მყავს და არც სხვა ვინმე, რომ მომხედოს.

– რა გტკივა?..

– მუცელი ამტკივდა ძალიან.

– არა უშავს, ჩვენ გიშველით.

შევიდნენ სამივე. მეფიჩხის ცოლს თან მუცლის ტკივილი აწუხებდა, თანაც სირცხვილი, რომ მოსამშობიარებლად არაფერი ქონდა, სიღარიბის გამო. სტემრებმა გაშალეს თავისი მოტანილი ბოხჩა, ამოალაგეს საგებსახვევი, გაივსო ქოხი.

მოამშობიარეს ქალი, დაებადა ქალიშვილი, როდესაც მშობიარეს დაეძინა დაღალულს, ბავშვი აბანეს და შეახვიეს ქალებმა.

ოთხშაბათის ძალმა სთხოვა კვირა ძალს:

– ამ საწყალს, რადგანაც ქალი ეყოლა და არა ვაჭი, თუ შეიძლება თითო რამე ვაჩუქოთ.

კვირა ძალს გაეხარდა და პირველმა თვითონ დაასაჩუქრა.

– მე მიჩუქებია, სხვა რომ ერთ წელიწადში გაიზრდება, ეს ერთ თვეში გაიზარდოს, იზრდებოდეს დღით, საათითა და წუთით, გაიზარდოს და აღმოსავლეთ მეფის შვილმა ცოლად ითხოვოს.

– თბილი წყლით დაიბანოს, სთქვა პარასკევის ძალმა, ოქროთ გაიყინოს, ცივი წყლით დაიბანოს, ვერცხლად გაიყინოს.

ოთხშაბათის ძალმა აჩუქა:

– იტიროს, თვალ-მარგალიტი გადმოუვიდეს თვალი-დან, იცინოს და ია-ვარდი პირიდან

გადასწერეს სამივემ პირჯვარი და წავიდნენ, ქალს კი სძინავს დაღალულს, ვერაფერი გაიგო.

მოვიდა მეფიჩხე, ფიჩხის განაყიდით წნილი უყიდია და მოაქვს სიხარულით ცოლთან. დააკაკუნა კარბე, ცოლმა უპასუხა, ავად ვარ და ვერ გამოვალო, კარს ვერ გაგიღებო. ქმარმა თვითონ გააღო კარი, შევიდა, ნახა, ცოლი წევს და შვილიც გახვეულია, შეეკითხა მზრუნველობით:

– ვაიმე, ვინ მოგეხმარა, ვინ გიშველა?!

ცოლმა უპასუხა:

– არ ვიცი, ვინ იყვნენ, სამი ქალი იყო, იმათმა მიშველეს, მე დამძინებია და არც გამიგია იმათი წასვლა.

ახადა ქმარმა ბავშვს პირსახურავი, ნახა, თვალ-მარგალიტი აყრია, გაეხარდა. ალბათ იმ ქალებს უჩუქებიათო. მეფიჩხემ გახარებულმა გადაიხედა ნატეხარში, ნახა რაღაც პრიალებს, ამოიღო, დააკვირდა, ოქროს ზოდია. იფიქრა, ესეც იმათმა აჩუქესო, აიღო და შეინახა.

გათენდა მეორე დილა, ნახეს, ბავშვი რამდენსაც იტირებს, თვალ-მარგალიტები სცვივა თვალებიდან. ცივით აბანებს, ვერცხლად იქცევა, თბილით აბანებს, ოქროდ იქცევა.

გამდიდრდნენ, ააშენეს დიდი სასახლე. იზრდება ქალიშვილი, მისი ბადალი არაფერია იმ ქალაქში, მზეთუნახავია.

შეიქნა თხუთმეტი წლისა და თხუთმეტი დღის. აივან-ზე გამოვიდა და სეირნობდა.

აღმოსავლეთ მეფის შვილმა ნაზირ-ვეზირთ უბრძანა:

— რაშები შეკაზმეთ, დღეს სანადიოდ უნდა გავიდე და ჩემს ბედს უნდა შევხვდე.

გავიდნენ სანადიოროდ, გადაისროლეს შვილდ-ისარი, ვის სახლსაც მოხვდებოდა, იმ სახლში იქნებოდა მისი ბედი.

შვილდ-ისარი პირდაპირ იმ აივანზე დაესო, სადაც მზეთუნახავი სეირნობდა.

ნაზირ-ვეზირებმა ნახეს, იმ აივანზე მშვენიერი მზეთუნახავი დადის, სადაც შვილდ-ისარი დაესო, მოახსენეს მეფის შვილს ეს ამბავი.

დაიბარეს მეფის სასახლეში მზეთუნახავის მამა, შეეშინდა საწყალს, რად მიბარებს მეფე, რა ღმერთი გამიწყრაო.

მეფესთან მუხლებზე ჩოქით მივიდა, ააყენეს, მეფემ კითხა:

— ვისია ის ქალი, შენს აივანზე რომ სეირნობდა, გასათხოვია თუ გათხოვილი?

— გასათხოვია, მეფეო, ჩემი ქალიშვილია.

— შეიძლება თქვენს ოჯახში მოვიდე, მოვილაპარაკოთ?..

— თუკი ღირსს გამხდით თქვენი მობრძანებით, რა ტომაც არა!..

წავიდა მეფის შვილი, ნახა მზეთუნახავი, მოჩვენებას გავდა, იმის სიმშვენიერები გააკვირვა, დაინიშნა და ქორ-

წილის დროც დაუნიშნა.

მოემზადენ ქორწილისთვის, ქალმა უთხრა ქმარს; კალმა ჩემს დებს დაუძახოთ ქორწილში, სირცეცილია.

დაუძახეს ორივე დებს. უფროს დას, კოჭლის ცოლს, ყავდა გონჯი ქალიშვილი, ელამი, შავი, ნაყვავილევლო-ჯებიანი.

მოვიდნენ ქორწილში, უფროსმა დეიდამ სთქვა:

— პატარძალს მარტო ნუ გავუშვებთ, მოდი, მე გავყვები.

მზეთუნახავის დედას გაეხარდა, ერთგულად გაყვებაო და დათანხმდა.

წაიყვანეს ნეფე-დედოფალი, ტყეს რომ მიუახლოვდნენ, დეიდამ ეტლი გააჩერებინა, დედოფალი საქი-როებისთვის უნდა გადავიყვანოო, თავისი გონჯი ქალიშვილი კი წინასწარ ყავდა მომზადებული, ვაჟურად გადაცმული, რომელიც იქ უცდიდა, მიიყვანა დედოფალი ხეეში, შესვა გამოქვაბულში, გახადა საქორწილო ტან-საცმელი და თავის შვილს ჩააცვა, დედოფალს თვალები დათხარა, მარჯვენა უბეში ჩაიწყო, ტყეში დატოვა, თავის შვილს პირი შეუხვია და მეფეს გვერდში მოუსვა.

მეფის სასახლეში დიდი მომზადებული დაუხვდნენ ნეფე-დედოფალს, დიდი ღხინი იყო გამართული, მეფეს ერთადერთი ვაჟის ქორწილისთვის ყველა ქვეყნებიდან ჰყავდა მოწვეული დიდებული.

როდესაც დედოფალს პირი შეუხსნეს, რა ნახეს საკვირველება, გონჯს თვალთაგან წირპლები გადმოდიოდა, პირიდან დორბლები. ყველანი ცუდ გუნებაზე გახდნენ, მეფის შვილმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ეს არ არის ის ქალი, გამოცვლილია, მისი ნაპოვნი — მზეთუნახავია.

მეფემ გასცა განკარგულება, რომ სასწრაფოდ ოთხივ  
კუთხით დაეგზავნათ მოსაძებნად ხალხი და უპოვნათ  
მისი შვილის დანაკარგი, ვისი ცოდვითაც ქვეყანა სტი-  
როდა.

შეინძრა მთელი სამეფო, ვინც დაკარგულ მზეთუნა-  
ხავს იპოვნიდა, დიდი ჯილდო მიეცემოდა.

წავიდა ყოველი მხრიდან ხალხი, მეძებარი ძაღლე-  
ბით, შეიარაღებულნი. მეფის მეძებრები ტყეს რომ მი-  
უახლოვდნენ, ქალის ტირილი შემოესმათ, ხმა უფრო და  
უფრო ახლოს ისმოდა. ძაღლებმა ყეფას უმატეს, მივი-  
დენ კვალბე, მათ მიპყვენ სასახლის კაცებიც, ნახეს თვა-  
ლებდათხრილი ქალი.

ქალმა უთხრა, რაც უქნა დეიდამ და რომ მისი თვალები  
მარჯვენა უბეში ჩაიყარა. ახარეს მეფის შვილს, რომელიც  
გულდადუღრული უიმედოდ მოსთქვამდა დაკარგულს.

წამოიყვანეს მზეთუნახავი მეფის სასახლეში, სიხარუ-  
ლიდან და სიბრალულიდან ქვეყანა ტიროდა.

შეუთვალეს დეიდას, შენი ქალიშვილი მძიმე ავად  
არის და ნახეო, რომელიც სიხარულით ცას ეწეოდა, რად-  
განაც თავისი გონჯი შეუცვალა დისშვილის სამაგიეროდ.

მოვიდა გონჯის დედა, აჩვენეს დისშვილი, შეეკითხ-  
ნენ, სადა გაქვს ამისი თვალებიო.

მეტი რაღა გზა ქონდა, ამოიღო უბიდან და დაუბრუნა.  
მზეთუნახავმა ყველას თვალწინ მარჯვენა თვალი მარჯ-  
ნით ჩაისვა, მარცხნა მარცხნით და ორივ საღი გაუხდა.

გახარებული მეფის შვილი ხედავს: სიხარულით მა-  
ყურებელი სტირის, დედოფალსაც გადმოცვივდა ცრემ-  
ლები, ნახეს მისი ცრემლები ძირს თვალ-მარგალიტად  
დაიბნა, მისჩერებია ხალხი, ხარობს, მოვიდა დედოფა-  
ლი ხელპირის დასაბანად, გამზადებულ თბილ წყალთან,

თბილით დაიბანს, ოქროს ზოდებად იქცევა, ცივით და-  
იბანს, ვერცხლად იქცევა.

გაივსო მეფის სასახლე სიხარულით და ოქრო-ვერ-  
ცხლით.

დანიშნეს ხელახალი ქორწილის დღე, დაურიგეს ღა-  
რიბ-ღატაკთ უამრავი საჩუქარი, ობოლსა და ოხერთ მი-  
ხედეს.

მეფემ ჩამოატარა თავისი ერთგული კაცები, რომ მის  
საბრძანებელში არსად გაჭირვებული აღარ ყოფილიყო.  
ყველას დახმარება აღმოუჩინეს.

დაიბარეს დედოფლის დედ-მამა და შეაერთეს თა-  
ვიანთი საცხოვრებელი.

შურიანი დეიდა და მისი გონჯი ქალიშვილი გამოაბეს  
ცხენების კუდზე და ისე ათრიეს, სანამ ცარიელი ყურები-  
ღა დარჩებოდა იმათვან.

გადაიხადეს ახალი ქორწილი, ნეფე-დედოფალი მზე-  
სა და მთვარესავით აშუქებდნენ ერთმანეთს.

სუფრაზე ერთად დააჭინეს, დედოფალი რომ გაიცი-  
ნებდა, ია-ვარდი გადმოდიოდა პირიდან, ეფინებოდა  
სუფრას და ხარობდა მთელი დარბაზი.

ერთი თვე დღე და ღამე ლხინი არ შეწყვეტილა. ხა-  
რობდა ნეფე-დედოფლის ბედნიერებით იმ ქვეყნის ხალ-  
ხიც. მამა გადმოვიდა ტახტიდან და შვილი დასვა მეფედ,  
თვითონ კი მოსვენებას მიეცა, რადგანაც მის სამეფოში  
ყველა ბედნიერი იყო.

ნათქვამი ეკ. ანტონოვისა  
1937 წ. ოქტომბერი

## ანჩხლი დედაკაცის არაკი

იყო ერთი ანჩხლი დედაკაცი, რომელიც ქმარს მუდაშ ეჩხებებოდა. ბევრი ეხვეწა ქმარი, ემუდარა, გაენებებინა თავი ანჩხლობისთვის, მაგრამ დედაკაცი უარესი ხდებოდა.

ერთ დარიან დღეს მობეზრებული ქმარი ტყეში წავიდა, ნახა, ერთი უზარმაზარი ხის ქვეშ დიდი ორმოა ამოთხრილი, ჩაიხედა შიგ და სთქვა, ეგებ ის წყეული დედაკაცი ამ ორმოში ჩავაგდო, ან იმან თვითონ ჩამაგდოს და მოვრჩე მის ჩხუბსაო.

წავიდა შინ. ცოლს ტომრები მოამზადებინა, უთხრა: ტყეში ერთი ორმო ვნახე ოქროებით სავსე, უნდა მოვიტანოვო. ცოლმა ლანძღვა-გინება დაუწყო, მეც უნდა წამოვიდეო. ქმარსაც ეს უნდოდა, თოკიც წაიღეს, რომ შიგ ჩასულიყვნენ.

ორმოსთან რომ მივიდნენ, ქმარმა უთხრა:

— დედაკაცო, ეს თოკი წელზე მომაბი, ჩამიშვი, ოქროს ტომარაში ჩავყრი, ამომწიე და ამოვიტანო.

ცოლმა ჩხუბი დაუწყო, მე თვითონ ჩავალო.

ქმარმა მიაბა წელზე ბაწარი და ჩაუშვა ორმოში, შეაზე რომ მივიდა, შეაჭრა ზედ ბაწარი, ჩააგდო შიგ ცოლი, მერე ზედაც ერთი დიდი ქვა დაახურა.

წავიდა ქმარი, შინ გაბრუნდა, მაგრამ ვერ ისვენებს, რომ ცოლი ორმოში ჩააგდო, მესამე დღეს წავიდა ისევ ტყეში. მივიდა ორმოსთან, ქვა ოდნავ გადასწია, ვნახო, რასა-იქმსო.

ორმოდან წივილ-კივილით ამოვიდა ეშმაკი, მოეხვია  
ამ კაცს და დიდი მადლობა გადაუხადა, რომ გადაარჩინა  
იმ წყეულ დედაკაცის ჩხუბს.

— რაკი იმ დედაკაცს გადაურჩი და მიშველე, მითხა-  
რი, რაც გინდა, იმას შეგისრულებ, რომ სამაგიერო გადა-  
გიხადო.

კაცმა არ უთხრა, რომ მისი ცოლი იყო, არც არაფერი  
სთხოვა.

ეშმაკმა ისევ უთხრა:

— რადგან შენ იმ დედაკაცის ჩხუბს გადამარჩინე და  
დამიხსენი, შენ არაფერს მთხოვ, მაგრამ მე უნდა გწიო  
ბედს, შვილი უნდა მოგინათლოთ.

— მე შვილი არა მყავს.

— მაშ კარგი, მე წავალ და ერთი მეფის ცხვირში შევ-  
ძვრები, სანამ მე მის ცხვირში ვიქნები, ექიმიც რომ მოიყ-  
ვანონ, მეფე არ მორჩება, მერე შენ სთქვი, რომ მოარ-  
ჩენ მეფეს, მეფის ცხვირთან ჭიქით წყალი მიიტანე, ჭიქას  
წკიპურტი სამჯერ ჰკარი, სამჯერ ჩუმად შეულოცა — ნათ-  
ლიმამ, მე ვარ, ნათლიმამ, მე ვარ, ნათლიმამ, მე ვარ... მე  
იქვე გამოვძვრები, როგორც შენ ხმას გავიგონებ, მეფე  
მორჩება, შენ გაგამდიდრებს, მაგრამ იცოდე, ერთხელ  
ვეტად არ ქნა ეს შელოცვა, გაფრთხილებ.

წავიდა ეშმაკი, შეუძვრა მეფეს ცხვირში, ასტკივდა მე-  
ფეს თავი, ქვეყანა მოიარეს, ვერ მოარჩინეს, მოვიდა ეს  
კაცი, სთქვა, მე მოვარჩენ მეფესო, გაეხარდათ, მიუყვა-  
ნეს მეფეს. კაცმა მიიტანა მეფის ცხვირთან ჭიქით წყა-  
ლი, ჰკრა წკიპურტი სამჯერ და სამჯერ შეულოცა, — ნათ-  
ლიმამ, მე ვარო. გამოვძრა მეფის ცხვირიდან ეშმაკი და  
მორჩა, განიკურნა მეფე.

დაასაჩუქრეს, აუარებელი ჭორი და აქლემებით

თვალ-მარგალიტი გაატანეს, ოქრო და ვერცხლიც ბლოკ, მად და გაისტუმრეს დიდის მაღლობით მეფის მომრჩენი.

გავიდა კარგა ხანი, ეშმაკმა სთქვა:

— ერთი უნდა გამოვცადო ჩემი ნათლია, შეასრულებს ჩემს სიტყვას, რომ მეორეთ არავის უმკურნალოს, თუ არა.

წავიდა ეშმაკი და მეორე მეფეს შეუძვრა ცხვირში, სხვა სახელმწიფოში.

გახდა დიდებული მეფე ავად, ასტკივდა ამასაც თავი, ვერაფრით ვერ უშველეს, ქვეყანა მოიარეს, ვერ მოარჩინეს.

მეფეს მოახსენეს, რომ ასეთი თავის ტკივილით დასავლეთ მეფეს ამამავალმა კაცმა შეულოცა და მოარჩინაო.

მოიყვანეს მეფესთან ეს კაცი, არ იცის, რა ქნას, მას ექიმობის არაფერი გაეგება, გამდიდრება კი მეტადუნდა, იფიქრა, შეიძლება ამასაც ის ეშმაკი შეუძვრა და ვსინჯავო.

მოატანინა ჭიქით წყალი, სამჟერ ჰკრა წკიპურტი და სამჟერ შეულოცა: „ნათლიმამ, ის წყეული დედაკაცი ამოსულა და გეძებსო“.

ეს რომ ეშმაკმა გაიგონა, წივიილ-კივილით გამოვარდა მეფის ცხვირიდან და გაიქცა, არ მომძებნოსო.

მორჩა მეფე, ამანაც ისევ დაასაჩუქრა ეს კაცი და გაისტუმრა დიდის მაღლობით.

ცხოვრობს კაცი მართალი და პატიოსანი ბედნიერად.

ეშმაკი კი იმალება, ვერ ჩნდება, იმ წყეულმა დედაკაცმა არ მომნახოსო.

მთქმელი ეკ. ანტონოვისა

## არაკი სიმართლეზე

ერთ ქვეყანაში ღმერთი აღარ სწამდათ. მეფემ გასცა ბრძანება, ვინც ღმერთს იწამებს, იქვე მე მაცნობეთო და სჭიდა ყველას.

იმ ქალაქში მუშაობდა ერთი ღარიბი ოსტატი – ოქრომჭედელი, ვინც არ უნდა მისულიყო მასთან, პირველად თვითონ ეტყოდა: – ღმერთო, უშველე მართალ კაცსაო.

მეფეს მოახსენეს, რომ ესა და ეს ოქრომჭედელი ოსტატი იძახის, ღმერთო, უშველე მართალ კაცსაო.

მეფე ძალიან გაწყრა, სთქვა, მე იმას ვაჩვენებ, როგორც უშველის მას ღმერთიო.

მეფემ წაიღო თავისი მამაპაპისეული ბეჭედი, ისეთი, რომ მისი ბადალი ქვეყნად არ მოიპოვებოდა. ჩაიცვა ჩვეულებრივ ადამიანურად, სამეფო ტანსაცმელი გაიხადა, თან ორი მხლებელიც წაიყოლა, მივიდა ოსტატთან, როგორც შევიდა, ოსტატმა იქვე მიაძიხა – ღმერთო, უშველე მართალ კაცსაო.

მეფეს გაეცინა გუნებაში, მისცა ბეჭედი და უთხრა:

- ეს ბეჭედი ასე და ასე გამიკეთე, იცოდე, არ გამომიცვალო, თვარა ბოლოს ინანებ.
- ღმერთო, უშველე მართალ კაცს, აბა, რასა კად-

რულობთ, ბატონი, მე ჩემს დღეში არც გამომიცვლია  
არავისთვის და არც მიღალატებია, ღმერთო, უშველე  
მართალ კაცსაო.

მეფე წავიდა სასახლეში, გზაზე მხლებლები აცინა,  
ერთი მაგას ვაყურებინებ, როგორ უშველის ღმერთიო.

ოსტატმა სახელოსნო დაკეტა, გასაღები ჭიბეში ჩაიდ-  
ვა, გასწია შინ და არხეინად დაეძინა, როგორც ყოველ-  
თვის.

მეფემ ღამით გაგზავნა სანდო კაცები, გააღეს ოსტა-  
ტის სახელოსნო, გამოიტანეს მეფის ბეჭედი, ისევ დაკე-  
ტეს კარები და მეფეს ბეჭედი მიუტანეს. მეფემ თავის ხე-  
ლით ზღვაში ჩააგდო.

გათენდა დილა, ოსტატმა გააღო სახელოსნოს კა-  
რები, შეუდგა მუშაობას, პირველად ის ბეჭედი უნდა გა-  
ეკეთებინა, რადგან სამ დღეში შეპირდა გაემზადებინა.  
გააღო ყუთი, ნახა, ყველაფერი რიგზეა, გუშინდელი მო-  
ტანილი ბეჭედი კი აღარ არის. ელდა ეცა, კიღამ გაგიჟდა,  
დახურა სახელოსნო, წავიდა შინ, ცოლს უთხრა, რაც მოხ-  
და, თან ბადე გაამზადებინა: „წავალ, ცოტაოდენ თევზს  
დავიჭერ დარდიან გულზე, სულ ერთია, ბეჭდის პატრონი  
სამი დღის შემდეგ ჩემს თავს მოაკვეთინებს, ცოტა ოდენ  
ხანს საჭმელი მაინც დაგრჩებათ, თევზი დაამარილე და  
შეინახეთ, „ღმერთო, უშველე მართალ კაცსაო“.

შეწუხდა ძალიან ოსტატის ცოლიც, მაგრამ მეტი რა-  
ღაც ჩარა ქონდა, მოუმზადა ქმარს ბადე და გაისტუმრა.

წავიდა ოქრომჭედელი წყლის პირად, გადაისროლა  
ბადე, სთქვა: „ღმერთო, უშველე მართალ კაცსო“.

გამოსწია ბადე, ბლომად თევზი ამოყვა, მეორეთ გადა-  
ისროლა ბადე, ახლა უფრო მეტი ამოყვა, უხარია, იძახის:  
ღმერთო, უშველე მართალ კაცსაო! კიდევ გადაისროლა  
ბადე, იმდენი თევზი ამოყვა, რომ ვეღარც კი მოერია  
წამოსაღებად. მოაქვს შინ, მოათრევს აუარებელ თევზს  
და გზაში იძახის: ღმერთო, უშველე მართალ კაცსაო!  
მივიდა შინ, ცოლს უთხრა წყალი მოედუღებინა, ზოგი  
მოეხარშა და ზოგიც დაემარილებინა, შეენახა. თვითონ  
კი შეუდგა თევზების გამოშიგვნას. გასჭრა ერთი თევზი,  
მეორე, მესამე... მესამე თევზი რომ გამოშიგნა, დაინახა,  
ნაწლავებიდან დაკარგული ბეჭედი გადმოვარდა, გაუკ-  
ვირდა და დაიძახა: ღმერთო, უშველე მართალ კაცსაო!  
ახარა ცოლსაც.

წავიდა ოსტატი თავის სახელოსნოში და შეუდგა ბეჭ-  
დის კეთებას, აკეთებს ბეჭედს და იძახის: ღმერთო, უშ-  
ველე მართალ კაცსაო! გააკეთა ბეჭედი, აიღო და უბეში  
ჩაიღო, შეეშინდა, კიდევ არ დაკარგოდა, შინ წაიღო.

გათენდა მესამე დღე. მივიდა მეფე, ისევ გადაცმული  
და მოსთხოვა ბეჭედი, ოსტატმა ამოიღო უბიდან და მი-  
აწოდა.

გაუკვირდა მეფეს, ახედ-დახედა ბეჭედს, იგივეა, უთხ-  
რა:

- შენ ეს ბეჭედი გამოგიცვლია.
- ღმერთო, უშველე მართალ კაცს, არ გამომიცვლია,  
ბარონო. ეს თქვენი მოტანილია, ღმერთმა ხომ კი იცის.
- მე ის ბეჭედი მოგპარე, ზღვაში გადავაგდე, შენ მას  
ვინ მოგცემდაო.

ოსტატმა უამბო, რაც მოხდა. მეფეს გაუკვირდა, ვე-  
ღარაფერი უთხრა, დაასაჩუქრა ოსტატი, უამრავი ნიშ-  
დიდრე მისცა და თვითონაც მიაძახა: „მეფე ვარ, მეგონა,  
გავიმარჯვებდი, მაჯობე, ოსტატო, ღმერთო, უშველე მარ-  
თალ კაცსაო!“

ნათქვამი ეკ. ანტონოვისა  
1937 წ. ოქტომბერი

# აქტები

## ერთი მოლას ამბავი

ერთი კაცი მოხუცდა, მეტად დაუძლურდა, სამი ვაჟი ჰყავდა, არცერთმა არ შეინახა. სამივე ერთი მეორეს ერეკებოდნენ, საბრალო მოხუცი ძალზე დაჯავრიანებული, გამოშეტერებული დაეხეტებოდა. როდესაც შიმშილი-საგან არაქათი გამოეცალა, იფიქრა, მოდი, ერთი რამე მოვიგონო, რომ შვილებმა შემინახონ.

ერთი ქილა სკორით გაავსო, მიწაში ჩაფლა, მივიდა უფროს შვილთან და უთხრა:

— შვილო, შენ ჩემი სიყმის შვილი ხარ, დღეს თუ ხვალ მე მოვკვდები, ჩემი ქონება შენთვის დამიტოვებია სიკვდილის შემდეგ, ოღონდ ფიცი მომეცი, რომ ჩემს სიცოცხლეში ხელს არ ახლებ, არც არავის ეტყვი, არ გაუმნელ.

უფროს შვილს ძალიან გაეხარდა, მამა შინ წაიყვანა, მოუარა, ასვა, აჭამა, გამოუცვალა, მოკეთდა მოხუცი, კარგი პატივისაგან კაჟივით გახდა. შვილი ხედავს, რომ მამამისი კი არ აპირებს სიკვდილს, პირიქით, ცოცხლობს, მობეზრდა მისი რჩენა, ადგა და გააგდო სახლიდან.

მოხუცი ახლა მეორე ვაჟთან მივიდა, ჩუმად უთხრა:

— შენ ჩემი შემბრალე შვილი ხარ, მე მალე მოვკვდები, არ მინდა მიწაში საიდუმლო წავილო, ამომავალ ადგილზე ოქრო მაქვს შენახული, მომეცი ფიცი, რომ ჩემს სიცოცხლეში ხელს არ ახლებ, არც ვინმეს ეტყვი, მერე კი

შენ მოგახმაროს ღმერთმა.

მეორე ვაჟს გაეხარდა, მამას მოეფერა, შინ წაიყვანა და კარგა ხანს მოუარა. ხედავს, მამამისი არ კვდება, მობეზრდა და იმანაც გააგდო სახლიდან.

მოხუცი ახლა უმცროს ვაჟთან მივიდა და უთხრა: შვილო, შენ ჩემი აკვანთუდგმელი შვილი ხარ, მე მაღვე შვილობას დაგიტოვებ, ისე არ მინდა მიწაში ჩავიდე, რომ შენ არ გამოგიტყდე, ერთი ქილა ოქრო მაქვს მიწაში დამარხული ამა და ამ ადგილზე. დაიფიცე, ჩემს სიცოცხლეში ხელს არ ახლებ, მერე კი შენთვის მიანდერძებია.

უმცროს ვაჟს სიხარულისგან ფრთხები გამოესხა, მამა შინ წაიყვანა, მეფეურად შეინახა და მოუარა. მოვიდა მოხუცის გარდაცვალების დრო და მიიცვალა.

შვილებმა დაასაფლავეს დიდებულად, წესიც აუგეს, როგორც საჭირო იყო.

ერთი კვირის შემდეგ უფროსმა ვაჟმა აიღო წერაქვი და წავიდა ოქროს მოსათხრელად, იქვე მეორეც მივიდა და მესამეც. დაიწყეს ჩხუბი, არა ჩემია ოქრო, არა ჩემია: ბოლოს, როდესაც ვეღარ მორიგდნენ, თქვეს, მოდი გავიყოთო.

მივიდნენ მოლასთან და უთხრეს, როგორც იყო საქმე.

მოლას თავზე ერთი ჩაღმა პქონდა შემოხვეული ჩვეულებრივად, მეორე და მესამეც შემოიხვია, რომ უფრო განიერი ყოფილიყო მისი თავსახვევი. შვილებს უთხრა:

— რა გაჩხუბებთ, სირცხვილია, დამიგდეთ ყური და დამიჯერეთ, რაც გითხრათ. ჩვენ ყველა შემოვუსხდეთ იმ ოქროს, აიღეთ სამივე ხელში კეტები, შემოპყარით მაგრად ქილას, ვისკენაც რამდენი ოქრო გადავარდეს, ის აიღებს, მე კი თქვენი გასარიგებელი, რაც ჩემს თავზე

დარჩეს, ის ოქრო მომეცით, ხომ ხართ ყაბულს?..

შვილები დაყაბულდნენ, აიღეს სამივემ კეტები, შე-  
მოკრეს ქილას, გადმოვიდა სიბინძურე, საშინელი, მყრა-  
ლი, ძმები სამივე გაითხეპნენ, ჰკრეს ფეხი და გაიქცნენ,  
მოლას კი სამი ჩალმა რომ ჰქონდა შემოხვეული, ისე გა-  
იწუმპა, რომ ირგვლივ ჩამოჟონავდა.

მოტყუებული მოლაც ჩუმად გაიპარა.

## თულუხჩის ამბავი

ერთი თულუხჩი წყალს ზიდავდა, ფულს კი მოლას  
აბარებდა, ცოლშვილი სოფლად ყავდა და არ შემომე-  
ხარჯოს, ერთად მექნებაო.

ერთ ქალბატონსაც უზიდავდა წყალს და ფულს არ  
იღებდა, სთხოვა ქალბატონს, შემინახეთ და ერთად წა-  
ვიღებ, მომიგროვდებაო. ქალბატონიც უნახავდა წყალის  
ნაზიდ ფულს.

ერთხელ გადაწყვიტა თულუხჩმა ცოლშვილში წასვ-  
ლა, ქალბატონს უთხრა, მივდივარ და ფული მომეციო.  
ქალბატონმა მყისვე გამოურბენინა თავმოყრილი ფული  
და გზაც დაულოცა.

თულუხჩი მოლასთანაც მივიდა შენახული ფულის წა-  
საღებად, მოლამ არ მისცა, რის გამო დარჩა და ვეღარ  
წავიდა თავის ცოლშვილში ცარიელი ხელით.

ერთ დღეს ქალბატონმა დაინახა თულუხჩი და შე-  
ეკითხა:

- რად მომატყუე, მივდივარო?

- მოლამ ფული აღარ მომცა და რით უნდა წავსულიყავო!

- აბა, მე შენ განახებ მის სეირს, შენ წადი, მის კართან დამიცადე, როდესაც ნახო, მე იმის კიბეზე ავიდე და კარი შევაღო, შენც იქვე შემომყევი და ჩემთან მოხსოვნა ფული.

წავიდა ქალბატონი შინ, ვერცხლის სინზე დააწყო მთელი თავისი ოქრო და ვერცხლი, გაატანა მსახურს და გაშევა.

ავიდა ქალბატონი მოლას კიბეზე, მსახურს სინი ოქრო-ვერცხლით სავსე მოაქვს გადაფარებული. შევიდა მოლასთან და უთხრა:

- მოლაჭან, ამაღამ ჩემი ქმარი შინ არ არის, ეს სიმდიდრე შენ შემინახე, მეშინია, არავინ მომპაროს.

მოლას გაეხარდა, სინი ჩამოართვა, ქალბატონს კი უთხრა — დაბრძანდიო. ამ დროს შემოვიდა თულუხჩი.

- მოლაჭან, ახლა მაინც მომეცით ჩემი ფული.

- კი შვილო, მიიღე, აი ყუთის გასაღები, შენი ხელით ინახავდი იქ ფულს, იცი სადაც არის შენი ფული, ალალია, წაიღე, ღმერთმა მოგახმაროს.

თულუხჩი მივიდა ყუთთან, გააღო, ამოიღო თავისი ფული და გულში ჩაიკრა სიხარულისგან.

თვალებგაბრწყინებული მოლა ხან ქალბატონს უყრებს, ხან მის მოტანილ ძვირფას ნივთებს.

გაიღო კარი, შემოვიდა მსახური და მოახსენა:

- ქალბატონო, ბატონი შინ დაბრუნდა და გთხოვს მობრძანდეო.

გახარებულმა ქალბატონმა აიღო ხელში ვერცხლის სინი თავისი ნივთებით, დატრიალდა და ითამაშა. თუ-

ლუხჩმა ფული უფრო მაგრად მიიკრა გულთან და იმანაც  
ითამაშა. ამის დანახვაზე მოლაც წამოდგა და ითამაშა.  
ქალმა კითხა:

— მე ქმარი მომივიდა, გამეხარდა, ვითამაშე, თუ-  
ლუხჩს ფული მოაქვს, შენ არ აძლევდი, უხარია — ითამა-  
შა, შენ რაღას თამაშობ, მოლა, შენ რაღა გიხარია?..

— მეც შენისთანა რძეძალლმა რომ მომატყუა, ის მი-  
ხარია...

## წმიდა დავითის ამბავი

წმინდა დავითს ოთხმოცდაცხრამეტი ცოლი ჰყავდა,  
ყველანი ლამაზები და უმშვენიერესნი.

ერთ დღეს დავითმა ბრძანა სანადიროდ წასვლა.

შეკაზმეს რაშები, შესხდნენ ზედ დავით და მისი ამალა  
და გასწიეს. გზაზე რომ მიდიოდნენ, ხალხი შეიკრიბა და  
საყურებლად დადგა. ერთი მიწური სახლიდან ამოძვრა  
პატარა ლამაზი ქალი, გამოყო თავი და ისიც მიაჩერდა  
სანადიროდ მიმავალთ. დავითმა თვალი მოკრა ქალს,  
მზესავით ბრწყინავდა, მარმარილოსგან ჩამოსხმულს  
ჰგავდა. იკითხა, ვისი იყო. უპასუხეს, მეცხვარეს ცოლიაო  
და ქმარი ცხვარშია, აქ არ არისო. უბრძანა, წაეყვანათ  
ქალი მის სასახლეში.

წმინდა დავითის სიტყვა იქვე იქნა შესრულებული, ნა-  
დირობიდან რომ დაბრუნდა, ასი ცოლი კარებთან დაუხ-  
ვდა.

მეასე ცოლი ყველას უმჯობესი იყო, ჩრდილავდა  
სხვებს. მეცხვარემ რომ გაიგო ეს ამბავი, სახლს აღარ  
მიეკარა, დაიკარგა.

ამის შემდეგ დავითი ძალიან იტანჯებოდა, აღარ ეძი-  
ნა. მოლია ექიმები, მაგრამ ვერ მოარჩინეს, არაფერი  
ეშველა. ბოლოს მიმართა თავის ბრძენ ვეზირებს და  
სთხოვა, აეხსნათ მისთვის, რა იყო მიზეზი მისი ასეთი  
ტანჯვისა.

ვეზირებმა ხელწერილი ჩამოართვეს დავითს, რომ  
არ დასჭიდა მათ ტანჯვის მიზეზის ახსნის შემდეგ. სამი  
დღე ვადა აიღეს. იმსჯელეს. ვეზირებმა უთხრეს: „ერთ  
მეცხვარეს ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი ყავდა, მეორეს  
კი ერთი ლამაზი პატარა ცხვარი, რომელსაც ზედ და-  
ხაროდა, პირველმა მეორეს მოსტაცა ეს ერთი ლამაზი  
ცხვარიც და თვითონ ასად შეისრულა, საწყალი ერთი  
ცხვრის პატრონი ჯავრით ტყეში გაიჭრა. რა ეკუთვნის,  
წმინდა დავითო, ასი ცხვრის პატრონს, რა სასჯელს მიუხ-  
ჭით თქვენ?..

- უნდა მოკვეთონ თავი ხმლით იმ არამზადას.
- ეს ხომ თქვენ ბრძანდებით?!

დაფიქრდა დავითი, მეცხვარეს თავისი ქალი დაუბრუ-  
ნა, თვითონ მთელი თავისი სიმდიდრე და ქონება გლა-  
ხაკებს დაურიგა, ცოდვის მოსანანიებლად, აიღო ერთი  
ძველი გუდა—ნაბადი და ერთიც ქნარი; დადიოდა ტყეში,  
ლოცულობდა, ღმერთს ევედრებოდა, ცოდვის მოსახდე-  
ლად იტანჯავდა თავს, ქნარზე იმღერდა.

- ერთ მშვენიერ დღეს გამოეცხადა ანგელოზი, უთხრა:
- დავით, ღმერთმა მიიღო შენი ლოცვა.

დავითმა ქნარს ხელი ჩამოკრა, თვალები დახუჭა და  
მიიცვალა, ნათელის ღირსი გახდა.

ერთმა კაცმა დაინახა ლამაზი ქალი, უნდოდა ცოლად შერთვა, უარი მიიღო. კაცმა გაავრცელა ხმები, ის ქალი ჩემი საყვარელია და გაუტეხა სახელი. მოეჭრა ქალს თავი, ყველა უნამუსოს ეძახდა.

კავრისაგან გახდა კაცი ავად, ვერავინ მოარჩინა, საშინლად იტანჯებოდა. ბოლოს მონასტრის ბერებმა უდაბნოს გამოქვაბულში ვართაპეტთან გაგზავნეს. მან აუხსნა ვართაპეტს, როგორც იყო ავად, უთხრა, რომ შეიძლება ცოდვა მტანჯავდეს, ასე მოხდა ამომავალ ქალთანაო.

ვართაპეტრმა უთხრა: „აიყვანე მაღლა მთაზე ერთი ქა-  
თამი, დაკალი, გაასუფთავე და მომიტანეო“

ასეთ მოიწვა.

ჩამოუტანა ვართაპეტს გასუფთავებული ქათამი, მან  
ჰკითხა:

- የዚህን አም ፈጻሚነት ይሆናልበት?
  - ደአምልዋንምቷል...
  - ንግድ, የሚገኘውን ውል ከአመሰግነት ተስተካክለሁ.

წავიდა კაცი მთაზე, მაგრამ ვერც ერთი ბუმბული ვერ ნახა, ქარს წაეღო. მობრუნდა და მოახსენა, რომ ქარს წა-  
უდია. ვართაპეტრმა ურჩია:

- როგორც იმ ქათმის ბუმბულს ვეღარ მოაგროვებ, ასე იმ ქალის სახელს ვეღარ აღადგენ, ჩემი რჩევაა, წადი საყდრის კარზე, შენი სიცოცხლე იქ გაატარე და ცოდვები მოინანიერ.

წავიდა ის კაცი და ახლაც საყდრის კართან სდგას.

## ნათქვამი ეკ. ანტონოვისა

ხაიმ შახი (შალიახი) საზღვარგარეთიდან ჩამოსული ქუთაისსაც ესტუმრა. მდიდარი ვაჭრები ერთიმეორეს ეცილებოდნენ, ჩემსას წამოვიდეს სტუმრადათ. მორწმუნე ებრაელები შემოეხვივნენ, აქეს, ადიდეს, ძვირფასი სადილებით გაუმასპინძლდნენ, მისჩერებოდნენ პირში, რასაც იტყოდა, მისი სიტყვა კანონად მიაჩნდათ. ღამეს ათევდა რიგრიგობით მდიდარი ებრაელების ოჯახებში.

ერთ დღეს ხაიმ შახმა განუცხადა ხალხს, რომ ცოდვა გადიდებულია და საჭიროა ცოდვების მონანიება. შემოეხვია ხალხი და სთხოვა, დახმარებოდა მათ ცოდვების მონანიებაში.

გადაწყვიტა, თითოეული უფროსი კაცი გაროზვილიყო და ფულად გადაეხადნა თვითეულს ერთი თუმანი. მდიდრების უმრავლესობამ გააროზვინა თავი და თითო თუმანიც გადაიხადეს, ხოლო ღარიბები კი მათ სიცილს აყრიდნენ და ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს უამბობდნენ, თუ როგორ ატყუებს მდიდრებს ხაიმი.

დამთავრდა როზგი. ხაიმ შახმა ახალი ხერხი მოიგონა ხალხის გასაყვლეფად. გაემგზავრა რამოდენიმე ხნით სადღაც და იქიდან ჩამოიტანა მრავალი მეზუბები (მეზუბა — კარზე აქვს მორწმუნე ებრაელს, თუნექისგან გაკეთებული, რომელმიაც მოთავსებულია ნომერი ებრაულ ენაზე და რამოდენიმე ასე „შადაი“ ჩანს, რომელსაც სახლიდან გასვლის დროს და შემოსვლის წინ ხელზე კოცნით მიესალმება)

ორ-სამ დღეში მეზუბები გაპყიდა ძვირად. კარგა გვარიანი ფული მოაგროვა, წასვლას დაეპირა. წასვლის წინ

ის მიიწვიეს სალოცავში თებაზე, ერთხელ კიდევ გაეგონა ჭამაათს მისი ლოცვა. შედგა ხაიმ შახი თებაზე, დაიწყო ანააშემი, რომელსაც კაი დღის წინ არ ამბობენ, რაც შენიშნა მეორე შალიახმა და მიაძახა: — ხახამ, აიომ იქმე, ვი დუი, ლო იახოლ (ხახამო, დღეს იქმემია, ცოდვების მონანიება არ შეიძლება), რაზედაც ხაიმ-შახმა გაულექსა და უპასუხა — ბექან ქულამ ყამ აარეც, ხასი შელი, ხასი შელხ, მა შელაკახთი (აქ ყველა უცოდინარია, რაც მაქვს ფული აღებული, შუაზე გაგიყოფ, ჩუმად) და განაგრძო ლოცვა.

ელ მელებ-ჭამაათიც ერთხმად მისძახოდა — ელ მელებ იოშებ ყალქის რახომიმ (ღმერთო, ხელმწიფევ, მჯდომარევ ტახტსა შებრალებისასა).

უკანასკნელი ღამე კი გაათია ყველაზე მდიდრის ოჯახში, საიდანაც გაიტაცა ბევრი ოქრო-ვერცხლი და გაიპარა.

ხაიმ შახის ამბავი მოედო ხალხში, შემდეგ გამოირკვა, რომ მისგან ნაყიდი მეზუზები იყო ცარიელი ქაღალდი და ის იყო მატყუარა.

## ოთხი კაი დღე

ებრაელთა ახალი წელი მეტწილად სექტემბერშია.

ახალი წლის თავი. თვე ტაშრი. წინ დღით საღამოს მამაკაცები მიდიან სალოცავში, დაბრუნებისას შინ ხვდებიან ფეხზე ადგომით და უნცროსები ყველა უფროსებს ხელზე კოცნით ულოცავენ „ლეშანა ტობა“.

სუფრა გაწყობილია, რომელზეც აწყვია: წყვილი ფუ-  
ანი პური, წყვილი სანთელი ანთებული, სამარილე მა-  
რილით, დიდი ჭიქა, ღვინის საკურთხევლად. მოხარშუ-  
ლი თევზის თავი, თაფლი, ბრონეული, კვახი, ვაშლი და  
მოხარშული ჭარხალი. ზედ სუფთად გადაფარებული.  
ოჯახის უფროსი (მამაკაცი) გაავსებს ჭიქას ღვინით,  
აკურთხებს, ყველანი ფეხზე დგომით ისმენენ ღვინის  
კურთხევას. დაამთავრებს, შესვამს ერთ მეოთხედს, მი-  
აწოდებს რიგ—რიგობით ყველას (თუ რომელიმე ქალს  
თვიური აქვს, მისთვის ცალკე ჭიქაა, რომელიც უჭირავს  
ხელში და იმ ჭიქაში ასხავენ რამოდენიმე წვეთ ღვინოს  
მისთვის, რომ საერთო ჭიქიდან არ შესვას). როდესაც  
ღვინოს ყველა მოსვამს, დასხდებიან, ოჯახის უფროსი  
აკურთხებს დაბანილ ხელს, შემდეგ დანარჩენი ოჯახის  
წევრებიც, ყველა ჩუმად გასუსული ყურს უგდებენ, ელო-  
დებიან, როდის აკურთხებს პურს ოჯახის უფროსი. სუფ-  
რას სახურავს მოხდის, ორივე პურს ორი ხელით მაღლა  
ასწევს, შემდეგ ერთს მეორეზე დადებით შუაზე გასჭრის,  
შუაზე გაჭრილს ყუას ჩამოჭრის, ჩამოჭრილი ყუიდან პირ-  
ველი თავისთვის ჩამოჭრის კვლავ პატარას, რომელ-  
საც ამოავლებს თაფლში (ჩვეულებრივად კი მარილში),  
აკურთხებს, შესჭამს და შემდეგ მოჭრილ ყუას წვრილად  
დაჭრის, რომელსაც თავისი ხელით ჩამოურიგებს ოჯახის  
ყველა წევრს უფროსიდან უნცროსამდე, ყველანი თაფ-  
ლზე დააწებენ პურის ნაჭერს და აკურთხებენ (თაფლი  
სიტკბოების ნიშნად, რათა მომავალი წელიწადი ტკბილი  
იქნეს).

შემდეგ იგივე ოჯახის უფროსი აკურთხებს თევზის  
თავს, აგრეთვე წვრილად დასჭრის და ისევე ჩამო-  
არიგებს, რომ მომავალი წელიწადი თევზივით იარონ

თავით და არა ბოლოთი, ასევე მოექცევა ბროწეულს, კვახს და ჭარხალს, რის შემდეგ ივახშმებენ. ვახშმის შემდეგ გალობით ილოცავენ, კვლავ ხელის დაბანის შემდეგ; ოჯახის უფროსი იძლევა განკარგულებას, იყვნენ ოჯახში ერთგულნი, იცხოვრონ ტკბილად, შეკავშირებულად, მოყვრის გასახარებლად.

მეორე დილით უსმელ-უჭმელნი მამაკაცები, ვაჟები და ქმრიანი ქალები, ყველანი სალოცავში მიდიან (საღილი დამზადებულია წინდღით). სალოცავში შეაღოცვის დროს მოისმენენ შოთარს. შოთარის მოსმენის დროს, რასაც შეავეღრებ ღმერთს, აგისრულდება. მეტწილად უნდა ეხვეწო, შეგინდოს ცოდვები. ლოცვის დასრულების შემდეგ ისევე ღვინოს კურთხევით, თაფლზე პერის დაწებით ისაუზმებენ, ისადილებენ და გაერთობიან, არ დაიძინებენ, რომ მომავალ წელში იმათმა დოვლათმა არ დაიძინოს. მზის ჩასვლამდე, დიდიდან პატარამდე მიეშურებიან მდინარის პირზე (წყალის საკურთხევლად), აკურთხებენ წყალს, დაიბერტყავენ კალთას, რათა მათი გასული წლის ცოდვები წყალმა წაიღოს, კვლავ სალოცავში მიეშურებიან, სალოცავიდან ბრუნდებიან რა შინ, გეშინდელი საღამოს მოქმედებას იმეორებენ. ოჯახის უფროსის დარიგება ახალი წლის ღამით: კარგად დაიხსნებე, რა სიგმარსაც ნახავ, წლის განმავლობაში აგისრულდება.

იმავე ღამით ოჯახის უფროსი ორი თუნგით სავსე წყალს შეიტანს, მარკვენა ფეხს შესდგამს, თუნგები ისე უნდა იყოს პირამდე სავსე, რომ შინ ფეხის შემოდგმის დროს ძირს დაიღვაროს, რის შემდეგ წყლის შემტანი ხმამაღლა ლოცავს ოჯახს, რომელნიც კართან დახვდებიან, ზეშანა ტობა — დადგამს თუნგებს და ხელებ მაღლა

აპყრობილი ამბობს — აა, ღმერთო, აბრაამისაო, ღმერთო  
ისაკისაო, ღმერთო იაკობისაო, ღმერთო გამჩენო ცისა,  
და ქვეყნისაო, ღმერთო ერთო, უკვდავო და უცვალებე-  
ლო, შენ გაამსე ყოველი შენი საყვარელი ისრაელის შვი-  
ლის ოჯახი და მათში ჩემიცა დოვლათით, სიმდიდრით,  
შვიდობით და შალომით. ოჯახის წევრი უპასუხებენ —  
ამენ! ორივე თუნგებს აიღებს ხელში, შემოიტანს შინ და  
დადგამს.

ახალი წლის ორივე დღეს ეცადეთ, რომ შინ წყალი  
არ დაიქცეს, თვარა, ჭიანჭველა გაჩნდება.

ეცადეთ, არაფერი გატყდეს ჭურჭელი, თელი წელი-  
წადი გაყვება ჭურჭლეულის ნტვრევა.

ეცადეთ, არ წაეჩხებოთ ერთმანეთს, რათა მჟავე არა-  
ფერი შეჭამოთ, მეტი ტკბილი, რომ ტკბილი წელიწადი  
გვექნეს.

ახალი ტანისამოსი ჩაიცვით, რომ არ მოგაკლდეთ  
წლის განმავლობაში სიახლე და სიკეთე, თალხი არა-  
ფერი ჩაიცვათ, არამედ მხიარული, რომ სულ სიმხიარუ-  
ლე გვექნეს, ნიგვზიანი არაფერი ჭამოთ, მძიმეა, რომ  
არ დაგვიმძიმდეს მაზალი (ბედი). ამ ბედინიერ დღეს ვე-  
ცადოთ, ყველა ოჯახის წევრი შინ ერთად ვიქნეთ, რომ  
მომავალ წელიწადში არაფერ სასიავოთ არ დავშორ-  
დეთ ერთმანეთს. ახალი მთვარე წმინდად დაინახე, რომ  
მთელი წელიწადი წმინდად იქნე, სიძნელეები არ შეგვხ-  
ვდეს, თუ ღრუბლებში ან ხის ფოთლებში დაინახე, იმ წე-  
ლიწადს ცხოვრება გაგიხდება ძნელი — გაგიჭირდება. არ  
იჩქარო მთვარის დანახვა, რომ კარგა მოწმენდილი ცა  
არ იქნეს, მერე გადი გზაში — მინდორჩე, იქიდან დაინახე  
და ოქრო უჩვენე, რომ შენს ჭიბეს ოქრო არ მოაკლო. მი-  
აძახე ახალ მთვარეს: — სიმანტობ, მაზალტობ!

როშაშანის შემომავალ საღამოს ყველა შინაურმა/აუცილებლად უნდა დაიბანოს, რომ გასუფთავებულისა შეხვდეს ახალ წელს.

ოჯახის უფროსი დიასახლისი აანთებს წყვილ თაფლის სანთელს, მას მიბაძავს ყველა ოჯახში მყოფი გათხოვილი ქალები. უფროსი დიასახლისი ხმამაღლა ევედრება ღმერთს (სხვები ჩუმად იმეორებენ): „აა, რიბონაშერყოლმიმ, ბატონო ქვეყნისაო, წმინდა სანთლის მადლო და ძალო, უხსენი მატყვესა ისრაელისას, ულხინე ავანტყოფსა ისრაელისას, ნუ გაუჭირვებ ნურსად მშობიარეს ისრაელისას, ყველა გადაარჩინე შვიდობიანათ ერთი ხმით, ვისაც რა მისცე გასაზდელი და დასარჩენი, ყველას შეახვედრე, გამჩენს დღე ბედნიერი და მთვარე მშვენიერი, მათში ჩემ ქალსაც და რძალსაც. მოუმართე ღმერთო ხელი, ყველგან გზავრსა და ვაჭარს ისრეელისას, დაუტკბე ყველას ზღვა და ხმელეთი, ააშორე ყველასას და ჩემსას ავი ნათქვამი, ავი ნაქნარი, დააბათლე ყველგან პირის წყეულობა ჩვენი სხვაზე და სხვისი წვენზე, გვაპატივე გამჩენო ჩვენი შენაცოდარი შენ წინაშე, მოგვიხსენე ღმერთო მადლები მამების და პაპების, დააბათნე მათი ნეშამყები გან ყედენში კაიაბებში (ცოცხლად სამოთხეში), მოაბათნე მაშიახ შენ დავითი (მესია) და დაიხსენი ისრეელის შვილი ხელისა გაჭირვებისგან, ხელისა შეწუხებისაგან, ძალუმისგან. ღმერთო, ნუ მამიკლამ თუ შენი საწყენოც არ იქნება, ნუ წამართმევ, რაც გიბოძებია ჩემთვის ჩემი ნაგლაბარი ქმარი და შვილი, დამასწარი მათი თავი სიკვდილის საათზე, რომ მეღირსოს მათი ხელით დამარხვა, ღმერთო, აპატიე ჩემ ნაშიერს შენ წინაშე შენაცოდარი, დამიწერე მათი თავი წიგნსა სიცოცხლისასა, წიგნსა შვიდობისასა, წიგნსა სარჩოობი-

სასა, წიგნსა საზრდოობისასა, წიგნსა უტკიცრობისასადა  
უჭირველობისასა, დამიმადლიანე ისინი სარჩო უფლის-  
ზედა შენ საქებლად და სადიდებლად გამჩენო, ნუ გაშა-  
მიკლებ შვილსა და მამაკაცს – ქალსა და რძალს, შინა და  
გარეთ, ტერსა და მოყვარესა...

ქიფურის და ახალი წლის მესამე დღე მარხულობაა.  
წინ საღამოს რომ ივაშემებენ, მეორე საღამოს ვარსკვ-  
ლავის ამოსვლამდე აღარაფერს ჭამენ და წყალსაც კი  
არ დალევენ (ქათმის შემოვლება) მარხულობის სუფრა-  
ზე ტიშრის მეთერთმეტე დღეზე კი ქიფურია.

ქიფურის წინ ყველა მორწმუნე ებრაელი ქათამს შე-  
მოივლებს თავზე, მამაკაცები მამალს, ვაჟები ყვინჩილას,  
ქალები ან გოგოები ვარიებს. შემოვლებული, დაკლული  
ღარიბებს გაეგზავნება, თვითონ არ შეჭამენ.

ქიფურის წინ დღით ე.ი. ათი ტიშრა გათენებამდე  
ლოცვა უნდა გამოვიდეს ხალხი გარბის ნაშუაღამევს  
ათარის ასაშვებად. (ცოდვების პატიება). გაჩაღებულია  
სალოცავი. მამაკაცები შიგ შედიან, დედაკაცები კი საქა-  
ლებოდან საღიბოთს (ქიფურამდე ორმოცი დღეა, რო-  
დესაც გათენებამდე ლოცულობენ. მარუმუქნი ხშირად  
ორმოცი დღის განმავლობაში ყოველ ორშაბათ-ხუთშა-  
ბათს მარხულობენ, ხოლო როდესაც ქიფურს 10 (ათი)  
დღე დააკლდება, ყოველდღე მარხულობენ, გარდა შა-  
ბათი დღისა). საღიბოთის ლოცვა სანამ დაიწყებოდეს,  
ერთმანეთს მეხილს (პატიებას) თხოვენ. მიცვალებულ-  
თა სულის სახსენებლად სქანდილზე ზეთს ასხამენ, ღა-  
რიბებზე ფულს არიგებენ. თუ ვინმე ერთმანეთზე დაუბ-  
რებული არიან, შეარიგებენ. ხახანი გადმოდგება თებაზე  
(ტრაპეზი), აკურთხევს და წაიყვანს ჭამაათს. ევედრება  
ღმერთს შეუნდოს ისრეელის შვილს ყველა შენაცოდა-

რი, მოუწოდებს ჯამაათს დაბრუნდნენ თეშებზე (ისრა-  
ელის რწმენაზე), იწამონ ღმერთი ერთი ისრეელის; არ  
უღალატონ მოშეს თორას, არ უღალატონ ერთმანეთს და  
სხვა.

დაიწყება მეხილა, დაიძახებს ხახანი: მეხილ შვილებო  
ისრაელისაო (ტირილით), თუ რამე მიწყენინებია თქვენ-  
თვის, მაპატიეთ, თქვენც თუ ერთმანეთისთვის გიწყენი-  
ნებიათ, გაპატიოს გამჩენმა. — ამენ! — ამენ! — მიაძახებს  
ერთხმად ჯამაათი.

საქალებოში ქალები მანდილში გახვეულნი ფანჯრე-  
ბიდან ისმენენ ლოცვას და იმეორებენ, რასაც სალოცავ-  
ში მამაკაცებისგან გაიგონებენ.

გზაზე ერთმანეთს კვლავ მეხილს ეუბნებიან, ბრუნდე-  
ბიან შინ. ცხვება ნამცხვარი ნაირ-ნაირი, შეძლებულ ოჯა-  
ხებში კეთდება სხვადასხვა საჭმელები, რომელიც მიცვა-  
ლებულთა სულის სახსენებლად ურიგდება ღარიბებს.  
რაც კი იმ დღეს ოჯახში რაიმე საჭმელი გაკეთდება, ყვე-  
ლას წილი უნდა დაედოს და ღარიბებს უნდა მიუვიდეს.  
ქიფურის წინ დღეს შვიდჯერ უნდა გაიშალოს სუფრა და  
იკურთხოს პურ-მარილი. საღამოს მზის ჩასვლამდე ყვე-  
ლა სრულწლოვანი (გარდა ავადმყოფისა, მელოგინისა  
და თვიურის მქონისა) ცამეტი წლის ზევით ვალდებულია  
სალოცავში წავიდეს.

აუცილებლად ყველამ უნდა დაიბანოს, სუფთა და  
თეთრები ჩაიცვას.

სამხრის წინ დიდ ღრმა ჰერჟელზე შანდლებით კე-  
ლაპტრები აინთება, უფროსების სახელზე შინ ჩამო-  
ქნილი, დანარჩენებისთვის კი მომსხო სანთლები, თითო  
სულზე წყვილი, პირველად ოჯახის უფროსი აანთებს  
მისთვის გამრავლებულ კელაპტარს, რიგ-რიგობით...

კელაპტარზე ოჯახის დანარჩენი წევრებიც ანთებულ ხან-  
თლებს, ევედრებიან ღმერთს, რომ სანთლები მიიღოს  
მათი სიცოცხლის სანაცვლოდ. შეაში კელაპტრები ან-  
თია. მის ირგვლივ დიდ ტაშტზე შემომწკრივებული სან-  
თლები ლაპლაპებენ. ყველა მისჩერებია მის მიერ ანთე-  
ბულ წყვილ სანთელს, თუ ალი პირდაპირ ადის, კარგი  
ნიშანია, თუ ალმა გადაუხვია, ცუდი ნიშანია. ამის ამნ-  
თებს მომავალი წლის განმავლობაში დიდი გასაჭირი  
მოელის და თუ რომელიმე სანთელი ჩაქრა, სიკვდილის  
ნიშანია, გულის ფანცქალით შეჰყურებს მორწმუნე ოჯახი  
ანთებულ სანთლებს.

სამხრის დაწყებამდე ოჯახის უფროსთან მიდის თი-  
თოეული წევრი, ითხოვს მეხილს, ეხვევა, კოცნის, უფრო-  
სიც ყველას აკურთხებს, უსურვებს სიცოცხლეს, ჯანმრთე-  
ლობას, პატიოსან ცხოვრებას. ვაჟებს მსგავსად აბრაამ,  
ისააკ და იაკობისა, მოშე, არონ, დავით და შელემისა.  
ქალებს სარა, რიპკა, რახელ და ლია, დედა ჩვენებისა.  
ეხვევიან ერთმანეთს, ახვეწებენ ღმერთს, აპატიოს ყვე-  
ლას ცოდვები. ყველა ხელს დაიბანს, ისამხრებენ და მი-  
დიან სალოცავში – თეთრად ჩაცმულნი. მზის ჩასვლამდე  
უნდა დაიწყონ ლოცვა, იწყება ლოცვა.

მამაკაცები თეთრ სისიტებში, დედაკაცები თეთრ მან-  
დილებში გახვეულნი ისმენენ ხახამის ლოცვა-კურთხე-  
ვას, რომელიც ძველ ებრაულ ენაზე ლოცულობს, რასაც  
ქართულად თვითონვე თარგმნის, ვინაიდან ძველებ-  
რაული ენა უმრავლესობას არ ესმის. ჯამაათი ისმენს  
სულგანაბული, რას იტყვის ხახამი, რომელიც ხელებგაშ-  
ლილი სისიტეში გახვეული მაღლიდან ოთხივ-კუთხივ მი-  
მართავს მორწმუნეთ, ახსნა-განმარტებითა თუ დღეის-  
დღეს ქიფურს, რა რიგ აპატიებს ღმერთი დაბრუნებულ

ისრეელის შვილს შენაცოდარს. იგი მაღალი ხმით ავედ-  
რებს ღმერთს, დაბეჭდოს მისი საყვარელი ერი წიგნსა-  
სიცოცხლისასა, შვიდობისასა, ებრასხელის ამაობისა-  
სა. სარჩო უფლისასა, შინ შვიდობას, გარეთ გამარჯვე-  
ბასა. უტკივარ-უჭივრელობისასა. შეურცხვნელობისასა.  
ღმერთთან, მის გაჩენილთან და სხვა (მზის ჩასვლამდე  
კვლავ შოთარს ისმენენ). ისმენს ჯამაათი და თვითეული  
ხახამის წინადადებაზე მისძახის — ამენ!

ქიფურის ლოცვას ხანშესულნი ხშირად სალოცავში  
ასრულებენ, მეორე საღამომდე შინ არ წავლენ. უფრო  
ახალგაზრდები კი ღამით შინ ბრუნდებიან. დილით ისევ  
ადრე მიიჩქარიან სალოცავზე.

მთელი დღე-ღამის განმავლობაში (წინა საღამოდან) არაფერს სჭამენ, არც წყალს დალევენ. თორას მოინახუ-  
ლებენ, ლოცულობენ, საღამოს კარგა დაღამებისას ხელ-  
ში ანთებული სანთლებით მიდიან შინ და სანამ რამეს  
დაკბილავდნენ, სარს დაასობენ სუქისთვის, რომელზე-  
დაც ანთებულ სანთელს მიაკრავენ ლოცვა-კურთხევით.

შინ შესვლისას ოჯახის უფროსი ღვინოს აკურთხებს,  
კვლავ ყველას ჩამოურიგებს და ივახშმებენ.

## სუქათი

როშაშანის მეთხუთმეტე დღეზე იწყება სუქათი. აკე-  
თებენ სუქას: შეერის ტოტებისგან ირგვლივ და ზევი-  
დანაც მისითვე ხურავენ. შესავალ კართან ორ ჭერემის

გრძელ ტოტებს არჭობენ მიწაში, რომლის ფოჩქებიც კა-  
რავს სახურავის ზევით უნდა სწვდებოდეს. შიგნით კარა-  
ვი მორთულია სუფთად ფარჩეულობით და ხსლიჩებით.  
მაღლა ჩამოკიდებულია ტოტებით შეაზე სხვადასხვა  
ხილი, მსხალი, ვაშლი, ბია, ყურძენი, ბროწეული და სხვა.  
ერთ კუთხეში მაღალი სავარძელი მორთულია აბრეშუ-  
მით, ფარჩით, ზედ ბალიშია მიფარებული. იმ რწმენით,  
რომ ყოველი ოჯახის დროს ჩამოივლის „ელიაჟ ნაბი“,  
ჩამოჯდება მის სავარძელზე და ოჯახს აკუთხებს. დღე-  
ში სამჯერ სუქაში სჭამენ, მოხუცები კი ძალიან ხშირად  
წყალსაც არ დალევენ, რვა დღის განმავლობაში სუქის  
გარეშე. მერვე დღეს იწყება ეგრედწოდებული „ოშაყანა“.  
გათენებამდე სუქაში სხედან, თორას ჭირნახულობენ, არ  
დაიძინებენ, არ მარხულობენ, არამედ საუკეთესო ნამცხ-  
ვრებს და ყავას აკეთებენ ღამის სათევად. გათენებამდე  
სალოცავში მიდიან, ღმერთს ევედრებიან, მომავალი წე-  
ლიწადი მათთვის გადაწყვიტოს სასიკეთოდ.

ახალ გათენებულზე ტირიფს აკურთხებენ, შეკრული  
კონებით დიდსა და პატარას შინ მოაქვს კონა ტირიფისა,  
რომელსაც მაღლა ჩამოკიდებენ და მომავალ წლამდე  
შეინახავენ.

მორწმუნე ებრაელს სწამს, რომ როშ აშანას ყოვე-  
ლი ისრაელის შვილი დაიწერება მაღლა ღმერთის დავ-  
თარში, იმაზე თუ რა მოელის მომავალ წელს. ქიფურში  
— დაიბეჭდება, ოშაყნაში კი გადაწყდება, ხოლო თუ ვი-  
ნიცობაა, რამე აშანაში დაიწერა რაიმე ცუდზე, მაგრამ  
ოშაყანამდე მან მოინანია ღვთის წინაშე თავისი ცოდვე-  
ბი და გამოსწორდა, უფალი შესცვლის დაწერილს, ხაზს  
გადაუსვამს და გადაწყვეტს სასიკეთოდ.

ოშაყანის დილაზე რომ შინ დაბრუნდებიან ხელში ტი-

რიცის კონებით, კვლავ იწყება ღარიბებისთვის უღუდეს  
გაგზავნა, პირველად ერთად აკურთხებს ოჯახის უფროსი  
ყველა სურსათს, რაც კი ამ დღისთვისაა მომზადებული,  
შემდეგ დიასახლისი ყველაფერს დაანაწილებს, სუფ-  
თად შეახვევს და უგზავნის ხელვიწრო კუთხ-მეზობლებს,  
ხოლო შემდეგ თვითონ შემოუსხდებიან სუფრას და მხი-  
არულობენ.

მიდიან ისევ სალოცავში, ნაშუადღევს ბრუნდებიან  
დიდი მიწვევ-მოწვევით, მტერ-მოყვრით, ილხენენ და  
მერვე დღეს მზის ჩასვლამდე სუქას გამოემშვიდობებიან.  
იმავე საღამოს იწყება „სიმხა თორა“, რომელიც სამჯერ  
უნდა იქნეს შესრულებული მთელი დღე-ღამის განმავ-  
ლობაში.

ჯამაათს წინასწარ აქვს ნაყიდი თორის გამობრძანება,  
უფრო შეძლებული რომელმაც იყიდა, პირველად თვი-  
თონ გამოასვენებს სეფერ თორას, რომელიც შენახუ-  
ლია სუფთად განსაკუთრებულ განჯინაში და ცალკეა  
ნაყიდი კარების გაღება. ხალხი მოსულია ძვირფასი სა-  
ჩურებით და ყვავილებით. ყვავილებს მიართმევენ სე-  
ფერ თორის თამაშობის ცერემონიას. ხოლო საჩუქრებს  
კი სალოცავს. საჩუქრები ხშირად ვერცხლის ან ოქროს  
გალმის ტარი, სეფერ თორის კაბა, ფარჩის ან ხავერდის,  
ძვირფასი აბრეშუმის ბაღდადი, ვერცხლის თასი და სხვა.

როდესაც მორწმუნე ებრაელს ვინმე ახლობელი ავად  
გაუხდება, შეკვეთავს (ნედერ); ღმერთო, ოღონდ ამ გა-  
ჟირვებას გადამარჩინე და სეფერ თორას ამას და ამას  
შევწირავო. რომელსაც აუცილებლად აასრულებს, გადა-  
რჩება თუ არა, მაინც.

ხშირად სანატრელი შვილის თმის მოჭრაზე აქვს ნე-  
დერი, ცხრა წლამდე არ მოჭრის, ოღონდ გაეგზარდოს

შვილი; თუკი ცხრა წელს მიაღწიევს, დიდი ზეომითა და ლხინით მოსჭრიან თმას, სავსე ჭურჭლით წყალიგ დაკადება ბავშვი, თმა უნდა მოსჭრას ისეთმა დედამ, რომელ-საც შვილი არ აკლია, მოსჭრიან თმას, იქვე აწონიან და თმის წონას ოქროს გადასდებენ, რომელიც დაპირებისა-მებრ იერუსალიმში გაიგზავნება ან სიმხა თორის დღეს სალოცავს მიერთმევა.

ასეთი საჩუქრებიანი ამ დღეს მოჰყავთ სალოცავში, როდესაც სეფერ თორას გამოასვენებენ (ყველას, რაც კი განჯინაშია) ხალხი სიმღერით და ცეკვით ცხრაჭერ შემო-ატარებს თების ირგვლივ, არც ერთი ცამეტი წლის ზევით ვაჟი არ დარჩება, რომ არ მიიღოს მონაწილეობა თორის შემოტარებაში, ყველას შესთავაზებენ.

ასე სიმხიარულით ასრულებენ „ოთხ კაი დღეს“: 1) როშ აშანა, 2) ქიფური 3) სუქოთი და 4) ოშაყანა—სიმხა თორა.

სუქოთის შუა დღეებში აკურთხებენ „ლულაბ—ეთრო-ლი“ —ს, რომელიც შემოდის საზღვარგარეთიდან, ლიმონის მსგავსი ნაყოფი, გახვეული წმინდა მატყლში, ყველა ისრეელის შვილი ვალიანია მისი კურთხევისა.

ქუთაისი, სექტემბერი, 1937 წ.

# ა გეგმი ა

\*\*\*

მორწმუნე ებრაელი შაბათ-უქმე დღეს სიმძიმეს არ ასწევს, — ცოდვად მიაჩნია.

ერთ შაბათ დღეს მივიდნენ ხახამთან და უთხრეს:

- რაბი, ვირი გადაგვეჩება ხრამში, როგორ მოვიქცეთ, ამოვიყვანოთ თუ არა?..
- ხასვე შალომ!.. დღეს ხასი შაბათია, სიმძიმის აწევა, ლო ალეხემ, არ გაბედოთ....

მოსულმა ებრაელებმა ერთხმად მიაძახეს:

- რაბი, თქვენი ვირია, თქვენი, როგორ მოვიქცეთ?..
- ამ საათში ამოვიყვანეთ, იცოდეთ: ხსნა სულისა პირუტყვისაც მადლია, მადლი, შვილებო, ემეთ.

\*\*\*

ხახამ ბაბომ უხშირა სალოცავში სიარულს, რომ ყურადღება დაემსახურებინა მორწმუნეთა თვალში; დღე და ღამ ლოცულობდა.

მეზობლები ძალიან შეწუხდნენ მისგან უდროვო დროს კარების ღება-კეტვით, ახალგაზრდებმა მოილაპარაკეს, შეეშინებინათ.

ერთ საღამოს, როდესაც ბაბო სალოცავიდან გვიან

ბრუნდებოდა შინ, სალოცავის კარებში თეთრებში გახ-  
ვეული რამდენიმე ერთად დაუხვდნენ და გაღიაბით მის  
აძახეს:

- ბაბო, იმ ყოლამ გიბარებენოო...  
გამჩენს მოსწონს შენი ლოცვა-ვედრებააო...  
ცოცხლად უნდა დაგსვას გან ყედენში...

ბაბოს შიშისგან ენა ჩაუვარდა, კანკალი დაიწყო, და-  
იჩოქა „ანგელოზების“ წინ და ძლივს ამოილუდლუდა გა-  
ლობითვე:

- ბატონოო, ანგელოზებოო...  
ცოტა ხანს მადროვეთ,  
ცოლსა და შვილსააა..  
დავემშვიდობებიოოო...  
მერე კი ნება ადონაისა  
აასრულდესოო...

„ანგელოზებმა“ ადროვეს, ოღონდ მალე დაბრუნებუ-  
ლიყო. წავიდა ბაბო შინ, გამოემშვიდობა ცოლშვილს,  
შეიქნა ერთი ზარი, ბაბოს სიკვდილი დაეზარა, მაგრამ  
მას „ანგელოზები“ შეპირდნენ, ცოცხლად განყედენში  
იქნებოდა; დაემშვიდობა ცოლშვილს, დაბრუნდა სალო-  
ცავის კარებთან, მაგრამ იქ აღარავინ დაუხვდა.

\*\*

მამალმა უთხრა დედალს:

- ოღონდ დამნებდი, რაც ქვეყანაზე სიმდიდრეა,  
ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, ყველას შენ  
მოგიტან.  
დედალი დანებდა.

გაიარა ერთმა ხანმა და მამალმა რომ დაპირებული  
არ შეუსრულა, მოაგონა.

მამალი დაიფერთხა, ფრთები მაღლა ასწია და დაუთ-  
ვალა:

— აი, ამ ფრთების ქვეშ შემომეკიდოს ცეცხლი თუ  
რამე გამაჩნდეს და შენს იქით სხვაგან წავიღო, არაფერი  
არა მაქვს და დაპირებული საიდან მოგცე.

\*\*\*

ახალციხეში, ერთი ებრაელის ოჯახში, რძალ-დედამ-  
თილი ვერ ეგუებოდნენ ერთმანეთს. ტრადიციის მიხედ-  
ვით, დედამთილ-მამამთილის წინ რძალი არ დაიღაპა-  
რაკებს.

დედამთილი მუდამ იწყევლებოდა, სცემდა რძალს  
და ჩაგრავდა, რძალი ხმაამოუღებლად ითმენდა, ცხარე  
ცრემლებს ღვრიდა. ერთხელ, როდესაც მოთმინებიდან  
გამოსული რძალი შაბათის სახელზე პურის ცომს ზელდა  
ჩუმად, დედამთილისგან გამწარებული ცომში ცრემლებს  
აყოლებდა. დედამთილმა თმით მოზიდა, შენი ცრემლე-  
ბით მოზელილი პური ვისღა ვაჭამოვო, რძალმა დაადვა  
ვერ ცომს ორივე ხელი, მერე ტუჩებზე მიიდვა, შემდეგ კი  
ორივე ხელი მაღლა ააპყრო, ასე რამოდენიმეჯერ გაიმე-  
თარა. ეს იმას ნიშნავდა:

— მე ჩუმად ვარ, ამან, დაბალმა, პურის მაღლმა და  
იმან, მაღლალმა (ღმერთმა) ნუ შეგარჩინოს ჩემი დაძაბუ-  
ნება.

ნათქვამი ხავა ხანანაშვილისა



ა ქ მ ი ს ვ ა ხ

## ნათვალების (ხელში ნახშირით)

თვალი გეცა დიაცისა, თვალი გეცა მამაცისა, შინა-  
 ურის, გარეულის, ქრისტიანის, ურისა, ქალისა, კაცისა,  
 კოჭდაბალისა, კოჭმაღალისა, დედისა, მამისა, დისა, ძმი-  
 სა, ვისიც თვალი გეცა, თვალთა ღადარი, გულთა ლახვა-  
 რი, ერდოს მეხი, კარს ცეცხლი, გასკდა შანთი, მოხვდა  
 თვალში, ასალა, მასალა, შავი ჭირი სანსალა, წითელი  
 გველი გასანსალებული გულ-მუცელში ეტაკა, გახურე-  
 ბული კერია უკუღმა ნაჩი ტენია, გადავიდა ღობეზე, მო-  
 იშალა ღონეზე. ღობეს იქით ცეცხლი იყო. ღობეს აქეთ  
 წყალი არი, წავარდა წყალი. დაამსო ცეცხლი. ისემც  
 ქრებოდეს, ისემც შრებოდეს შენი ავი თვალისა, შენი ავი  
 გულისა.

გასკდა შავი კლდე, მას გამოყვა შავი კაცი, შავი ცხე-  
 ნით, შავი იარაღით, ხელთ ეჭირა შავი გველი, გადავკარ  
 შავსა სიპსა ქვასა, ისემც სკდებოდეს შენი ავი თვალის  
 გადამვლები.

გასკდა წითელი კლდე, მას გამოყვა წითელი კაცი, წი-  
 თელი ცხენით, წითელი იარაღით, ხელთ ეჭირა წითელი  
 გველი, გადავკარ წითელსა სიპსა ქვასა, ისემც სკდებო-  
 დეს შენი ავი თვალით შემხედავი.

გასკდა თეთრი კლდე, მას გამოყვა თეთრი კაცი, თეთ-  
 რი ცხენით, თეთრი იარაღით, ხელთ ეჭირა თეთრი გვე-  
 ლი, გადავკარი თეთრსა სიპსა ქვასა, ისემც სკდებოდეს

## შენი ავის მდომელი.

ყველა ვიცი, ვინც არი, ჩავხდი ნიფხავსა, ჩაუსვაშ კა-  
ტასა, მივაბჭყალინებ, მოვაბჭყალინებ, შევარცხვენ, გა-  
ვაწილებ ღმერთითა, აბრაამ, ისხაკ და იაკობის წყალო-  
ბითა.

მე მლოცველი – ღმერთი შენი მარგებელი (სამჯერ).

## მონახდომის

### (ხელში უჭირავს შავტარიანი დანა)

მონახდომო დედიანო, მონახდომო მამიანო, მონახ-  
დომო შვილიანო, მონახდომო ძირიანო, მონახდომო  
ძმიანო, მონახდომო დიანო; დილას მოხვედი – მაიც  
მონახდომი ხარ, საღამოს მოხვედი – მაინც მონახდომი  
ხარ, აის მოხვედი, დაის მოხვედი, მაინც მონახდომი ხარ,  
წყლის ანგელოზი მოხვედი, ხის ანგელოზი მოხვედი,  
მიწის ანგელოზი მოხვედი, პაერის ანგელოზი მოხვედი,  
ლოგინთ ანგელოზი მოხვედი, კართ ანგელოზი მოხვე-  
დი, სისხლთ ანგელოზი მოხვედი, მაინც მონახდომი ხარ.  
სტირიან დედანი თქვენი, სტირიან მამანი თქვენი, სად  
არიან შვილნი ჩვენი, სად არის ძირი ჩვენიო, თავით შე-  
ვედი, ფეხით გამოდი, ფეხით შეხვედი, თავით გამოდი,  
გამოდი, ფეხის ფრჩხილი გამოიარე, ხელის ფრჩხილი  
გამოიარე, გამოქროლდი ქარივითა, გამოდინდი წყა-  
ლივითა, გამოდი ნებითა, თვარემ გამოგიყვან ძალითა.  
ჩემისა შავისა, შავ ტარიანი დანითა, გაეყარე (იხსენება  
სახელი ავადმყოფის), სხვას შეეყარე.

(შემლოცავს ხელში უჭირავს აბრეშუმის სარტყელი, გულზე დაბნეული, ზომავს მტკაველით, შელოცვის შემდეგ, თუ შეშინებულია, ზომით ნაკლებია სარტყელი)

დედამ შეგაშინა, მაინც შეშინებული ხარ, მამამ შეგა-  
შინა, მაინც შეშინებული ხარ, დამ შეგაშინა, ძმამ შეგა-  
შინა, შესულმა-გასულმა, მაინც შეშინებული ხარ, დაყვი-  
რების შეგეშინდა, დაძახების შეგეშინდა, ხელის აქნევის  
შეგეშინდა, ძაღლის ყეფის, კატის ჩხავილის შეგეშინდა,  
მაინც შეშინებული ხარ, გულო, რას შეგშინებია, გულო,  
რას კანკალობ, გულო, რას ძიგძიგობ, გულო, მოდი სა-  
გულესა, შეგიკერავ საგულესა, თეთრი ქორი ქანდარასა,  
ქათამი საბუდარასა, შენი გული აქანასა, მოდი გულო,  
მოდი სულო, მოდი ჭანო, მოდი ლონე, ლმერთო, არგე-  
ლოცვა ჩემი და ბრძანება შენი (სამჯერ).

8300-ის შეტაცვა

ფუტის ჯამსუფა, ფუტის მეფუნა, ფუტის ბატონს, ათასი წლის მერცხლის დედოფალს, ძღვენი მომქონდა, ქადა-ხაჭაპური და ქათამი, დამიხვდენ რუსის ქალები და იმათ-მა წამართვეს. და აწი ერჩოდე მათსასა და არა ჩვენსასა, ბრძანება არის ღმერთისა; მგელი ვარ და მგელზე ვზი-ვარ, მაღლა მერცხლისა ბოლოსა, ფუტსა ვსვამ, ფუტსა ვჰამ, ფუტი მაცვია, ფუტი მახურია, ფუტი, ასე გამქრალა, უმისა და უხარშავის მჭამელი (საძჭერ).

ტით, ტით, ტიტიმანი, ატმანატი და ჩანახი, კოლო ვარ, კოლო წითელი, კაბა მაცვია ყვითელი, იფნისა ჭოხი მიჭირავს — გველის საწკაპუნებელი, გველი მოვიდა ანკარა, თავით ბოლომდე გეყარა (სამჯერ).

## დამწვრის შელოცვა

ელი ელამდა, მელი მელამდა, ზღვა ფოფინობდა, ვის გაუგონია, სამი დღის მერე დამწვარი გაძნელებული (სამჯერ).

## წყლისას შელოცვა

(ხელში ბზის სავარცხელით ტკივან ძუძუს უსვამს)  
ანი იყო, ბანი იყო, წყალთა შუა ნავი იყო, ნავის თავ-  
ზე საყდარია, იმაშია დედაკაცი, დედაკაცო, გადმომიგდე  
კალამი და კალმის ტარი. ავალ ზეცას, ვეტყვი დედას,  
სამი ძმანი მოდიოდა, ერთსა ერქვა ისა, მეორესა ღვთი-  
სა, მესამესა წყლისა. დაუსვი და დაუბერე სავარცხალი  
ბზისა (სამჯერ).

8 გემომოყვანილი შელოცვები ნათქვამია 1902 წელს, ქ.  
ქუთაისში, დებორია ელუაშვილის მიერ, რომელმაც ძა-  
ლიან მთხოვა, დამეწერა, რაც შეასრულა.

(ჩამწერის შენიშვნა)

## მუცლის ტკივილის შეღოცვა



როდესაც ჩვილ ბავშვს მუცელი ჩხვერს, დედის პირ-  
ველი შვილი ხელში აიყვანს, ჭიპზე თითს დააჭერს, სამ-  
ჯერ თავის თავზე შემოატრიალებს და სამჯერ იტყვის:  
პირველი ვარ დედისა,  
წამალი ვარ ჩხვერისა.

## სურდოს შეღოცვა

სურდო მეწვია სადილად,  
რა მივართვა საჭმელათ:  
ანკალი, ბანკალი, დათვი დამპალი,  
დაუკარი ტაში, გააგდე კარში (სამჯერ).

## დამწერის

### (კუკულა)

ელი ელამდა, მელი მელამდა, ზღვა ფოფინობდა, წი-  
თელ ხუცესსა ხარი გეემბა; ვის გინახამს ქვიშა ნახნავი,  
ყანა ნათესი, დამწვარი სამი დღის მერე გაძნელებული,  
საქმიანი ქალის ლეჩაქი დამწვარ-დაკერებული.

ორკო, ორკო, ორკოლმართო, თავდაღმართო ჭენ-ჭერხო, რას გადმომდგარხარ მაღალსა გორასა, რას წამოგისხამს შავი მაზარა, რას გადმოკივი წითელსა მამალივითა, რას ლაპლაპებ წითელსა პეპელივითა, აქ ჭრი, დაგჭრი ჩემი შავტარიანი დანითა, გადაგაგდებ რიონსა, არც ხქონდეს სამყოფი შენი, არც ხქონდეს სად-გომი შენი.

## საყმაწვილოს და ბედნიერის ლოცვა

მე გილოცამ ბედნიერისასა, ბედო ბედნიერო, ლა-მაზო და მშვენიერო, არ გაგიშვებ ამ ყმაწვილის ტანში, ტანის საჭინჭულიანებლად, სისხლის სასმელათ, ხორ-ცის საჭმელად, ძვალის სახვრეტად, ძილის სატეხლად. აგჭრი და დაგჭრი ჩემი შავტარიანი დანითა, დაგაყრევი-ნებ ქვირითასა, ჩაგაგდებ ქვენასა, არ ამოგიშვებ ზენასა, არც გაგაღვიძებ მამლისა ყივილსა, არცა რა წყალისა შეუილსა, შე ობოლო მარგალიტო, თავით შესულხარ, ფეხით გამოდი, ფეხით შესულხარ, თავით გამოდი, არ გამოხვალ ნებითა, გამოგიყვან ძალითა.

ნათქვამი კუკულო თაკობიშვილისა

# სამეცნიერო

იმერული ხილი – კაკალი და თხილი  
 ბროწეულო და ბიაო, რა გული გამოგბმიაო.

თანდურიხე – ხე არიო, კოჭებს გააქვს ბზრიალიო.

არა დადგა რა გლახისა (არ გაიშვა რა გლახისა).

არუნმა შენი არა ქნას, შენ არუნისა ქენიო.

ფუი ეშმაკს – ფული ჩვენ.

სტეფანჯან, შენი ელფერი ქალი ვერ შეგხვდა შენფერი.

მოიარე ოდიში – მოიხადე ბოდიში.

ცამეტი წლის ქალიშვილი ან ქმარს ქვეშ ან ქვას ქვეშ.

არ მინდა შენი ვიშიო, ოღონდ ნუ შემომხვენეშიო.  
 ქალს რომ ქმარი მოუკვდება, თავიც მაშინ მოუკვდება.

წადი, ისე იარე, როგორც ჭაჭვის ხიდზე ფურგუნები.



შენ დაგეცა რუის კლდე.

ზოგს იაჯი და გვირგვინი, ზოგს კი ვიწრო სამარეც არა.

გაეცი ხელით – ვეღარ აიღე, იარე ფეხით.

შინაური ნატვრამ მოკლა, გარეული სურვილმაო.

არ დაგივარდა დოვლათი.

გინდ მკვდარი და გინდ შინ არ დაბრუნებული.

წავა ნაგაზისა, არა კორმანდისა.

ვის მიჯნური არ ყოლია, რომ თან არ გადაყოლია.

ცოლი და შვილი ბჟირიო – დედმამიშვილი ძვირიო.

ურია ურიის მტერია – ღმერთი ორივეს მტერია.

ხახამ დანიელო – ჭკუა ცარიელო.

ქნა ხალა — გადაყვა თანა.

ხახამის ნათქვამი გაიგონე — მისი ნაქნარი კი არა ქნა.

ნუ სჭამ ყვავის ტვინასაო, ჩასდექ თავისთვინაცაო.

რძალო, არა ვთქვი, არა ვთქვი, კორკოტი გადმოვიდაო.

ურიას რომ ესროლო — მოიქრისტიანებს.

გავიარე, იყო — გამოვიარე, აღარ იყო.


ქმარი შემოგივიდეს, დიდი ლუკმა ჩაიდევი, შვილი შე-  
მოგივიდეს — პატარა.

მამაკაცს არ შეახედო — არც მოდუღარე ქოთანი, არც  
გაფუებული პური.

ცხვარმა დააცხვინგა, მგელმა უთხრა: „ღვთის  
წყალობა“-ო

ცხვარმა უპასუხა: „წყალობათურამეიქნებათქვენგან“-ო.

ერთი შვილი — ღობეს ჩხირი, ორი შვილი — არა შვილი,  
სამი შვილი — დასტურ შვილი.



ღმერთო, ნუ მისცემ ქრისტიან კაცსა,  
ურიის ვალსა, ვით ცხვარი მგელსა,  
თორემ ჩაგიგდებს ურია ხელსა,  
საშველს არ მოგცემს, გაწვალებს ბევრსა.



სახელმწიფო ბიბლიოთეკა

\*\*

ბრძანება არის ღმერთისა: უმოთაყოლამი აღდგომა-  
 ში რომ ხაზირის ძვალს გაკვნეცს – მოწვიმს.

\*\*

ერთ მშვენიერ დილით ღარიბი კაცი გამოვიდა ქოხი-  
 დან, სწუხდა, რომ მას თაგვებმა ღამით ჭადი შეუჭამეს.  
 მეზობლებმა გაიცინეს და ერთმანეთს გადაულაპარაკეს  
 – ამ უბედურს თავისი საჭმელი ჭადი არ გააჩნია, თაგვი  
 რას შეუჭამდა, ტყუილს ამბობსო.

იქვე მდიდარმა სთქვა, მას თაგვებმა რკინა დაუჭამეს,  
 რაც დაუკერეს, ალბად დაუჭამაო.

\*\*

ორი სახლის წინ ხეზე ჩიტი ჩამოკდა და ჩამოიძახა.  
 ორივე სახლის დიასახლისებმა ერთხმად მიაძახეს:

– კაი ამბავი მე, ოქროს ნისკარტი – შენ. ერთმანე-  
 თის ხმა რომ გაიგონეს, ჩხუბი მოუვიდათ, ორივე ჩემობ-  
 და, ჩიტმა მე მახარაო, ჩაერიენ მეზობლები და ძლივს  
 დააშორეს მოჩხუბრები ერთმანეთს.

\*\*\*

აბრამა ჩახვაშვილმა სთქვა: „ამ ჩემი სულის ვერა-  
ფერი გავიგე, ცივი შევჭამე, გაათბო, თბილი შევჭამე,  
გააცივა“ -ო.

\*\*

ლუშკო ჩიკვაშვილს კითხეს: – რომელი საათიაო.

– ურია, ღმერთი ხომ არ გაწუხებს, მე რა ვიცი, ან  
რად მინდა საათი. გათენდება – ავდგები, დაღამდება,  
დავწვები, მამშივდება – ვჭაამ.

\*\*

ხანია ხანანაური მოხუცდა და დაბრმავდა. თავის  
ნაშიერმა ვაშლი მოუტანა, ხანიამ ვაშლი გაკბიჩა, ეამა,  
გემრიელი იყო, შეეკითხა: – შვილო, სადაურია ეს ვაშ-  
ლიო? მისმა ნაშიერმა სიცილი დააყარა და უპასუხა, რას  
კითხულობ, სადაურია. გემრიელი ხომ არის, სულ ერთია,  
სადაურიც არ უნდა იყოსო.

\*\*

შიმყონა თაფლიშვილს კითხეს: ლოცვაზე რად არ  
დადიხარო? შიმყონამ უპასუხა: ყოველ ცისმარა დღე  
ელოაი წეშიმას ყვებიან, მამბეგრდაო.

\*\*

ერთი ღარიბი ებრაელის ქალი კარგა ხანი ავადმყოფობდა, დღითი დღე უარესად ხდებოდა, სიკვდილი ეზარებოდა.

იმავე დღეებში უცრად გულის სიდამბლით გარდაიცვალა ქუთაისში კარგად ცნობილი მდიდარი ვაჭრის — ნონია ელიგულაშვილის ცოლი; ღარიბმა მომაკვდავმა ქალმა გაიცინა და წარმოსთქვა: „ესეც შენი დიდი ნონიას ცოლი, რომელიც დიბა-ატლასეულობას ზანდუკში ინახავდა, ეშინოდა, არ გაცვდესო. ჩინჩავდა და არ იცვამდა. მოკვდა ისიც, ხომ გავიძლვანიე წინ, ანა რუნი მის საქმეს, აწი მეც თუ მოვკვდები, აღარ დავეძებ”.

\*\*

ერთ ქალს მოუკვდა ქმარი. ებრაული წესისამებრ მიცვალებული შესუდრეს. ცოლი ტირის, კივის, იხოკება, ტანისამოსს ტანზე იხევს, ძლივს აკავებენ, მისი დასისხლიანებული სახე უზომო მწუხარებითაა მოსილი.

მიცვალებულს სახლიდან მოასვენებენ, ჩვეულებრივად თავდახურულ კუბოში. ცოლმა დაჯინებით მოითხოვა, ქმრის სახე მისთვის ეჩვენებინათ უკანასკნელად, მაგრამ ერთ-ერთმა უფროსმა მოსწრებულმა ქალმა მას ყურში ჩასჩურჩულა:

— მიცვალებულს რომ სახეზე დახედო, ვეღარ გათხოვდები...

ქვრივი სწრაფად გაშორდა კუბოს და უკან დაიხია.

\*\*

მორწმუნე ებრაელი შაბათ-უქმე დღეს ფულს არ მე-  
ეხება. ერთმა ხახამმა შაბათ დღეს დაინახა ძირს ფული,  
რა ქნას, ხელს ვერ მოკიდებს, ფული ხიბლავს, კბილებს  
აკრაჭუნებს სიმწარიდან, იფიქრა, იფიქრა, ფეხით ფული  
ქვასთან მიაჩოჩა და ფეხითვე ჯახირით ქვა ზედ დააღო.  
იქით-აქეთ იხედება, ხომ არ უყურებს ვინმე, როდესაც  
დარწმუნდა, რომ არავის დაუნახია, მხიარულად გასწია  
თავის გზაზე.

კვირა დილით ღმერთს გათენებაც არ აცალა, მთელი  
ლამის უძილარი სწრაფად წამოდგა, მიირბინა დანიშნულ  
ქვასთან, მაგრამ ფული აღარ დაუხვდა.

\*\*

ერთ მზიან დღეს მიცვალებულს მიასვენებენ, რო-  
მელსაც ძალიან ბევრი ხალხი აცილებდა: ცხედარი სა-  
ვაჭროების წინ რომ გაატარეს, ჩვეულებრივად დარა-  
ბები წინასწარ მიიხურა, მიცვალებულის პატივსაცემად.  
ქუდმოხდილი ხელოსნები და სხვანიც თავიანთი შეგირ-  
დებით დარაბების წინ იყვნენ დაყუდებულნი, სანამ პრო-  
ცესია არ გაივლიდა.

ერთი ხაბაზი მიუბრუნდა შეგირდს და უთხრა:

— შენ, ბიჭო, წადი, გაჰყევი იმ ხალხს და გამიგე, აი  
ეს მიცვალებული ცხონებულია თუ წაწყმენდილიო.

შეგირდი სწრაფად გატრიალდა, ზღვა ხალხში აირია,  
ხან ერთს ეხეთქებოდა, ხან მეორეს, ვინმესგან გაეგონა  
მიცვალებულზე, წაწყმენდილია თუ ცხონებული, მაგრამ  
ვერას გახდა, მსგავსი რამ ვერ გაიგონა. ბევრი ხეტიალის  
შემდეგ დაუბრუნდა თავის დაზგას, დარცხვენით მიაჩერ-

და ხარაგს, რომელიც პასუხს თვალების ბრიალით ანიშნებდა, რომ ელოდა. ენაჩავარდნილმა შეგირდმა კარგადან ხანი დუმილის შემდეგ გაბედა და უპასუხა, რომ ვერაფერი გაიგო. ხარაგმა გადაიხარხარა და მიუგო: — შე საპყარო, შენა, რა დიდი ამბავი უნდოდა მაგ ამბის გაგებას, როდესაც ხალხში გაერიე, ყურს მოკრავდი, მიცვალებულს როგორ ახსენებდნენ, თუ კარგად — ცხონებულია, თუ არადა წაწყმენდილი.

\*\*

მამის მიტანილზე მამაც იცინის და შვილიცა;  
შვილის მიტანილზე შვილიც ტირის და მამაც.

\*\*

ვაშლი — გაშრი.

კაკალი — დაიწყე კანკალი.

ქათამი — ქათქათი.

ღვინო — წაგივიდა, ღვრიო.

კვერცხი — გაგიხმა ფერცხი.

ბია — გაგიჩდა თია.

კუდიანი — მოგიკვდა ქუდიანი.

სოკო წითელი — მოგწყდა კისერი.

ეული მეული, დაგემართა სნეული, არა ჭამე წრეული,  
არცა გაისეული, არცა მერმისეული.

მოგიკვდა კაი და არა გლახა.

გადაგიშენდა — არ მაგიშენდა,

ია და ვარდი — კლდეს გადავარდი.

ვაი შენ და ღვთისა და ბატონის გამოშვებული რისხვა.

ატამი — დაგაწვა სატანი.

პური — დაგიდგა ყური.

ქოთანი — გაგიჩნდა ქოთაუ.

ურჩხელი — უნელებელი, უშაღავათებელი.

შორს, შორს ქვასა და ხეს, წყალსა და მეწყერს, ქარსა და ნიავს, დამძალავსა და შემაჭივრებელს — ისრეელისას.

\*\*

ღმერთო, ნუ მისცემ ვაჟკაცსა კაცსა,

ცოლსა ბინძურსა, დიდგულსა, ავსა,

ის მოკლავს, ის მოინელებს,

ის მისცემს წყალსა მდინარსა.

\*\*

ბეჩა კაკიაო,

ჰერა გაკლიაო,

მე რომ მინდურეფო,

შენ რა გარგიაო.

\*\*

აბრამიკა თოფჩიაშვილი ლავაშებს აცხობდა და ჰყიდდა. ერთ დღეს მისი ლავაშები არ გაიყიდა, რადგანაც ცუდი გამომცხვარი იყო, რის გამო იზარალა და გაბრაზდა.

აბრამიკის ლავაში

არ გავიდა ბაზარში,

მოუვიდა გული,

გადაყარა ტალახში.

\*\*

ღადო შამელაშვილის დედა ისთერი, შალომია შა-  
შუაშვილის ქალიშვილი, დიდი ამბით მიათხოვეს ისხა-  
კის. მის ქორწილზე დიდი ლხინი გადაიხადეს, რის შემ-  
დეგ ეტლებით წაიყვანეს ნეფე-დედოფალი. ისთერს  
მზითვებიც ბლომად გაატანეს, რომელიც „დროშკებით“  
წაიღეს. ისთერის მაზლები, ყობო ტაშრში ჩავარდნილი,  
აბრამს შავქლიავი და მეფურნე პატარა მოშია, რძალს  
ავიწროვებდნენ, რის შემდეგ სახლიდან გააგდეს და  
მისი მზითვები დანგრეული ურმით გაუგზავნეს. ისთე-  
რის დედა სტიროდა და მოსთქვამდა, თუ რარიგ ბრდიდა  
ქალიშვილს, როგორ აკვნიდანვე უმზადებდა მზითვებს.  
ქორწილი ძვირი დაუჭდა, დიდი „დროშკით“ წაიყვანეს  
და ძველი ურმით დაუბრუნდა სანატრელი ქალიშვილი.

ისთერ ბამბაში ნახოვო, დედა ისთეროო,  
სულ ბულკის პურით გაგზარდე, დედა ისთეროო,  
თალხი არ მოგაკარეო, დედა ისთეროოო,  
სულ შავი ღვინით გაგზარდე, დედა ისთეროო,  
თეთრი არ მოგაკარეო, დედა ისთეროო,  
სულ ხასი და ხასი გაცვი, დედა ისთეროო,  
ხამი არ მოგაკარეო, დედა ისთეროო,  
დიდი დროშკით წაყვანილო, დედა ისთეროო,  
ძველი ურმით მოყვანილო, დედა ისთეროო...  
ვაი, ვეი დედა შენსა, დედა ისთეროო.

\*\*

ებრაელის ოჯახში რძალი უფროსების წინ ხმას არ  
ამოიღებდა, ჩუმად ასრულებდა ყველა სამუშაოს.

ერთმა ახალმა პატარძალმა კი დაიწყო ლაპარაკი,

რაზედაც უფროსმა რძალმა მიუთითა და უსაყველესობა,  
ოსან მიშობიაო – ოსან გამიზდიაო – ლამ–დავით მო-  
უცელში მიზის, ჭერ ხმა არ ამამიღიაო...

\*\*

ბატონა კაკიტელაშვილს ცოლი არ ყავდა ლამაზი, სა-  
მაგიეროდ, მიზნად დაისახა რძლები ყოლოდა ლამაზები,  
სამ უფროს მის ვაჟებს ლამაზი ქალები აურჩია, მეოთხემ  
კი არ დაუჯერა, ითხოვა ულამაზო ქალი, რაზედაც ბატო-  
ნა უკმაყოფილო დარჩა.

ოსიას ცოლი მზესა გავს,  
დუხიას ცოლი – მთვარესა,  
მოშიას ცოლი ანათებს  
იქაურ არე-მარესა,  
ისრელის ცოლი მისტირის,  
ვაი, ყველაზე მდარესა.

\*\*

ახალციხეში ისრეელის ქალი მირო ცოლად გაპყვა  
თათარს, რის გამო ახლობლები უკმაყოფილებას გამო-  
თქვამდნენ.

მირომ აანთო კვარი,  
თათარს გაუღო კარი,  
შემოვიდა – შემოყვა,  
თან მიაწოდა დგამი.  
მირო, რად გინდა თათარი,  
ბრუნდა აქვს მათ დავთარი,  
გიყვარდეს ისრეელი,  
სეფერ–თორა მართალი.



\*\*

პატარძალი ბევრს ლაპარაკობდა, წყალზე ხშირად დადიოდა.

პატარძალო პატარაო,  
წყალს მოიტან, სხვას არაო,  
ჩამოჯდები კერასაო,  
ატანტალებ ენასაო,  
გამოაცხობ ჭადის კოკორს,  
დაამწარებ ყველასაო.

\*\*

ქალი ძალად გაატანეს ქმარს, რომელსაც კარგი ტანისამოსი ეცვა. სხვაზე არც ფიქრობდა. ცოლი შეწუხებული ჩიოდა, ქმრისგან უკმაყოფილო, როდესაც სახარჯო არ ქონდათ ხოლმე.

პალტო გაცვია მირინობისა,  
ფული არა გაქვს პაპირობისა.

\*\*

აბრამია ელიგულაშვილს (კატაპარიას) ერთ წელს აბრეშუმის ცედი მოსავალი ქონდა, რისთვისაც მისი ცოლი მირო დარღიანი ჩამომჯდარიყო და ჩასძინებოდა. აბრამიამ დაუმღერა:

ბებია — აადეე!  
რავა დაგძინებიაა — აადეე!..  
აბრაშუმმა გვიღალატა, თვალი მირო, გენაცვალე,  
ბამბა მაინც ბევრიაა — აადეე!..

\*\*

პარასკევ დღეს ებრაელის ოჯახი ემზადება, შაბათის  
ულუფას ამზადებს, აცხობს, აკეთებს, ხოლო სულ უკანას-  
კნელად ღომს ჩააყრის, დაიბანს და სანთელს შემდეგ  
აანთებს (ქუთაისში).

დია!..

ღომი ჩაგიყრია.

რა არის სადილათ?

— ქურჩული და ბარკალი.

\*\*

ნეტავ რა არს იმისთანა,  
თავის ნება შვილისთანა,  
ვაჟი მამულს მოუხდება,  
ჭირისუფლად ქალისთანა.

\*\*

არც ისე ქალისთვინაო,  
იმ კარგი მოყვრისთვინაო,  
არც ისე მოყვრისთვინაო,  
იმ კარგი მოდგმისთვინაო.

\*\*

ჭიანჭველას ღმერთი მაშინ გაუწყრება,  
როცა ფრთები გამოუვა,  
ზეცას ფრენას მოინდომებს,  
გზაში სული ამოუვა.

\*\*

აჭაკელა ტიროდა,  
 ბევრი ერბო უნდოდა;  
 ასი კვერცხი რომ დაასხეს,  
 ასიც კიდევ უნდოდა.

\*\*

სიძევ, შენი ქისაო,  
 ფერად ნარინჯისაო,  
 შიგ ნადები საფასური,  
 კვნიტი მარილისაო.

\*\*

არ მომწონხარ, ამბრის ღილო,  
 არ გიმშვენებ საყელოსა,  
 მე ავიღებ, სხვას დაუგებ,  
 დაგიმშვენებ საყელოსა.

\*\*

დანიელო, დანიელო,  
 სიტყვა-პასუხ განიერო;  
 ადონები მობძანდება,  
 ჩუ-ჩუ დააფანიერო.

\*\*

თათარო, ჩამომეთხოვე,

ცუდ ალიან-ჩალიანსა,  
 თორემ ასეთ საქმეს გიზამ,  
 რომ არ ექნას ტარიელსა,  
 არბრუმამდე ასე მოგდევ,  
 როგორც ქორი ვარიასა,  
 ცხენებს დაგატევებინებ  
 ძუა—ფაფარ ლალიანსა.

\*\*

საყვარელო, კეკლუცო,  
 მინდა ვთქვა შენი ქება,  
 ქება შენი უთვლელია,  
 მალე არ გათავდება.  
 თუმცა ქაღალდზე დავწერო,  
 კალამს წვერი მოტყდება,  
 ლამაზ ლოყას გაკოცო,  
 ნეტავ როდის მოხდება.

\*\*

ოდეს ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩდეს,  
 თევზი მთას ვლიდეს — სიარულითა,  
 ბელი შვილს შობდეს, დათვი უვლიდეს,  
 მგელი თავს ვლიდეს — ჭიანურითა,  
 მაშინ გეღირსოს, ჩემო არშიყო,  
 ჩემთან ალერსი და დროს ტარება.

\*\*

შენი ჭირი ჭიასაო,  
 გაზდილსა კოტინასაო;  
 ქუთაისს – რიეინაშვილსა,  
 რაჭაში – შიმშილაშვილსა,  
 ლეჩხეუმში – მეგრულიშვილსა,  
 საჩხერეს – ხიხინაშვილსა.

\*\*

ახალ-ახალ შვიდობაში  
 თავი ჩაკარ კიდობანში,  
 ეს ერთი და სხვა ათასი,  
 ეს ძველი და სხვა ახალი,  
 მიწას თავი დაახალი,  
 ელაში, მელაში, გოგოების (სულ ბიჭების) დევნაში.

\*\*

ლამაზო, შენის ეშითა  
 ვიწვი ცეცხლის ალშია,  
 შენ თუ ჩემი არ იქნები,  
 მოვკვდები მე დარდშია.  
 და თუ კიდეც არ მოვკვდე,  
 ჩავვარდები დარდშია,  
 და მით ჭლექი გამიჩდება  
 სიყმაწვილის ტანშია.  
 იცოდე, რომ წაწყდები,  
 მიწაც აღარ გიხილებს,  
 სამოთხეში რომ შეხვიდე,

ანგელოზი გიყვირებს.  
 ჭოჭოხეთში გაგგჩავნონ,  
 ეშმაკები გიხილებს;  
 მაშინ შენი საყვარელი  
 ცხარე ცრემლით გიტირებს.

\*\*

ქალსა ყველას ქალი ქვია?  
 ზოგი ქალი — ქალუნაი,  
 კაცსა ყველას კაცი ქვია?  
 ზოგი კაცი კაცუნაი.

\*\*

გენაცვალოს დედა შენი,  
 მერეთ-შენი მამიდაო,  
 შენი წილი შეჭამანდი,  
 თაროშია ჭამითაო.

\*\*

ადე, ბიჭო, ზაქარია,  
 გარეთ გადი თუ დარია,  
 ან წვიმს ან თოვს ან დარია,  
 არც წვიმს, არც თოვს, არც დარია,  
 ღრუბელი ძალიანია.

\*\*

აკაკაჩია, ბაკაკაჩია,  
 გისვია, გიჭამია,  
 გზა გაგაჩნია.

## განმარტებანი



ანააშემ – ცოდვების მონანიება.

ბეყებრათ აელ – გამჩენის შეწევნით.

ბეხააბოთ – ინებე.

ბრით მიღა – ნათლობა.

გაღუთი – დიასპორა, უცხოობა; ტანჯვა.

გან ყედენი – სამოთხე.

დავრიში – მოხეტიალე მუსლიმანი ბერი.

დაიანი – მოსამართლე.

დარუში – ქადაგება.

დინი – წესი.

ეიშალამ – ნათლობის ლოცვა.

ელიაუ ნაბი – ილია წინასწარმეტყველი.

ელოაი ნეშიმა – დილის ლოცვა.

ემეთ – ჭეშმარიტება.

ეშეთხაელი – პატიოსანი, კეთილშობილი ქალი.

ზერეში – უწმინდური.

ზიუღი – იღბალი.

თალმიდი – მოწაფე.

თება – ტრაპეზი.

თეშუბა – ღვთის გზაზე დადგომა.

თორა – (ძვ. ებრ. მოძღვრება, კანონი). ბიბლიის ხუთწიგნეული.

კადიში – მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი ტექსტი.

კიდუში – რიტუალური ღვინო.

კინონი – პირობა ფიცით.

ლეშანა ტობა – კეთილი წელიწადი.

**ლიმუდი — სასწავლო.**

**მაზალი — ბედი.**

**მაღას გაბრიელი — მფარველი ანგელობი გაბრიელი.**

**მაღას რეფიელი — მფარველი ანგელობი რაფაელი.**

**მეზუგა — ბინის კარზე მორწმუნე ებრაელის ცხოვრების ნიშანი.**

**მენედაბე — მათხოვარი.**

**მენუხა — სულის ხსენება.**

**მოელი — მომნათლავი.**

**მონახდომი — რაც მოხდა.**

**ნეშამყი — სული.**

**ოშაგანა — ბედის გადამწყვეტი დღე.**

**რაბინი — მოსეს რკულის სწავლული მოძღვარი.**

**როშაშანა — ახალი წელი.**

**სალიხოთი — მონანიება, პატიების თხოვნა, სინანული.**

**სამილოთ — ნათლობისთვის.**

**სამოძირო — სამემკვიდრო.**

**სამჭრელო — დანა.**

**სანდაკი — ნათლია.**

**სეფერ თორა — ათი მცნება.**

**სეფუდა — ნათლობის ლხინის პურ-ღვინო; ნათლობის სუფრა.**

**სისიტ უფილინში — სპეციალური მოსასხამი ლოცვის დროს.**

**სპედაობა — გლოვა.**

**სუქი — კარავი.**

**სუქოთი — ებრაული კალენდრის ერთ-ერთი დღესასწაული „კარვობა“.**

**უმოთაყოლამი — არაებრაელი; მსოფლიო ხალხები.**

- უნაჭმეული** — ბისკვიტი, ნამცხვარი და შაქარი, რომელ-  
საც სარძლო მეზობლებში არიგებს.
- ქალ სოსონ** — საქორწილო გალობა.
- ქარქვეტა** — მცენარეა, სუსტფესვიანი.
- ქაშერი** — სუფთა, წმინდა (მაგ.: ღვინო); ალალი.
- ქეთუბა** — ქორწინების კონტრაქტი.
- ქისიელიაუ** — სანათლი მოწყობილობა.
- ქიფური** — ცოდვათა მიტევების დღე.
- ყაინარაფი** — ავი თვალი.
- ყანდილი** — ანთებული ზეთი; სანთელი.
- შოთარი** — ცხვრის რქისგან დამზადებული მუსიკალური  
საკრავი.
- შალიახი** — მოგზაური; მისიონერი.
- ხაზანი** — მლოცველი; რიტუალური ტექსტების წამკითხ-  
ველი სინაგოგაში.
- ხაზირი** — ღორი.
- ხახამ-თალმიდი** — თორის სწავლული, ბრძენი.

ურთიერთთანადგომის მადლით და სიკეთით	3
<b>ზღაპარი</b>	<b>9</b>
ზღაპარი	11
ნანახას ზღაპარი	16
ხან-ჩობანის ზღაპარი	21
ქრისტე ღმერთის ზღაპარი	25
...იყო ერთი დიდებული ხელმწიფე	28
...იყო ერთი დიდებული მეფე	31
საწყალი კაცის ზღაპარი	36
ხალხური ზღაპარი	45
სამი ხელობის ზღაპარი	51
ოქროს ქოჩრიანი ვაჟის ზღაპარი	60
<b>ლეგენდა</b>	<b>69</b>
ლეგენდა სოლომონ ბრძენზე	71
დედინაცვლის დარუში	74
ძველებრაული დარუში	85
<b>პრაპი</b>	<b>93</b>
დედინაცვლის არაკი	95
მეფიზნის არაკი	103
ანჩხლი დედაკაცის არაკი	112
არაკი სიმართლეზე	115
<b>პმბავი</b>	<b>119</b>
ერთი მოლას ამბავი	121

თულუხნის ამბავი . . . . .	123
წმიდა დავითის ამბავი . . . . .	125
ლამაზი ქალის ამბავი . . . . .	127
ხაიმ შახის ამბავი . . . . .	128
ოთხი კაი დღე . . . . .	129
სუქათი . . . . .	127
<b>ანეპლოტი . . . . .</b>	<b>141</b>
<b>შელოცვა . . . . .</b>	<b>147</b>
ნათვალების (ხელში ნახშირით) . . . . .	149
მონახდომის (ხელში უჭირავს შავტარიანი დანა) . .	150
შეშინებულის . . . . .	151
გველის შელოცვა . . . . .	151
მეორე ვარიანტი . . . . .	152
დამწევრის შელოცვა . . . . .	152
წყლისას შელოცვა . . . . .	152
მუცლის ტკივილის შელოცვა . . . . .	153
სურდოს შელოცვა . . . . .	153
დამწევრის . . . . .	153
წყლისა . . . . .	154
საყმაწვილოს და ბედნიერის ლოცვა . . . . .	154
<b>ანდაჩა . . . . .</b>	<b>155</b>
<b>სხვადასხვა . . . . .</b>	<b>161</b>
განმარტებანი . . . . .	177

კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკა წიქარიშვილია  
გრაფიკოსი გიორგი გაწერელია  
დიზაინერი გიორგი დემეტრაშვილია  
პროექტის მენეჯერი სოფო ლობჟანიძე

K 331.499  
3  
00000000000000000000000000000000